„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ქართული სიტყვა

№41 (305)

ფასი 1 ლარი

21–27 ოქტომბერი 2015 წ.

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

გაბედულ ეთნოგაზეთი

ეკა მიშველაძე პოლიტიკაში მიდის?!

>>> მე-8-9 გვ.

ქართველი სპეცსამსახურელი ჰააგის ტრიბუნალს „ნაციონალებსა“ და „ოცნებაზე“ სკანდალურ ჩვენებას მისცემს

„ხალხი იმ დონეზეა გაჭირვებული, რომ ყველაფერზეა წამსვლელი. პატარა ნაპერწკალია საჭირო და აქ ისეთი ამბები დაიწყება, რომ უმართავი პროცესები წავა! დასაკარგი არავის არაფერი აქვს და მოსახლეობას ხელისუფლებაც ფეხზე ჰკიდია და ოპოზიციაც!“

>>> მე-2-3 გვ.

რა წერილების გასაჯაროებას აპირებს ტელეჟურნალისტი

„ის, რომ ცოლად „თავისუფალი დემოკრატების“ გენერალურ მდივანს გავყევი, იმას ნიშნავს, რომ ამ პარტიის უნდა ხაზი გავატარო? მე და ბუკა პეტრიაშვილს ურთიერთობა გუშინ არ დაგვიწყია, მაგრამ ერთი შენიშვნაც არ მიმიღია არასოდეს, რომ მიკერძოებული ვარ და ვინმეს მხარს ვუჭერ. პროფესიონალებისთვის სიყვარული, ოჯახი და საქმე აბსოლუტურად გამიჯნულია, თორემ ვაი-ჟურნალისტებისა და ვიღაცებისთვის, ან მათთვის, ვინც ეს თქვა, როგორც ჩანს, გამიჯნული არაა“.

„ეს იყო ეთნიკური წმენდა!.. ხალხს „გუდრონში“ ყრიდნენ, ბეტონში ატანდნენ და მერე, ზედ „ბულდოზერით“ გადადიოდნენ!“

>>> მე-10-11 გვ.

გიორგი მარგველაშვილი „ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე ხდება?

>>> მე-11 გვ.

რას ჰყვებიან სოფელ ერედვიდან დევნილები აგვისტოს ომზე – დოკუმენტური მასალები ჰააგის ტრიბუნალისთვის

ლისის ტბის წართმევის საქმეში მამუკა ხაზარაძე ფიგურირებს?!

>>> მე-12 გვ.

რამაზ ახვლედიანის „გაკულაკების“ უცნობი დეტალები – „ახალგაზრდა ადვოკატები“ სკანდალურ დოკუმენტებს ასაჯაროებს

მსოფლიოს აუტიზმის ეპიდემია ემუქრება?!

რა დაავადებაა აუტიზმი, იკურნება თუ არა და რატომ არ ანიჭებენ აუტისტებს შეზღუდული შესაძლებლობის პირის სტატუსს

>>> მე-14 გვ.

№ 41 (305)
21-27 ოქტომბერი
ქართული ოცნება
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა. ზელიჩნეული. პოლიტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“
გიორგი მარგველაშვილი

სკანდალური ექსკლუზივი

ქართველი სპეცსამსახურელი ჰააგის ტრიბუნალს „ნაციონალებსა“ და „ოცნებაზე“ სკანდალურ ჩვენებას მისცემს

უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე, რომელთანაც „ქართული სიტყვა“ წელიწადზე მეტია, ექსკლუზიური ინტერვიუების ციკლს აქვეყნებს, აცხადებს, რომ ჰააგის სასამართლოსთან ითანამშრომლებს და 2008 წლის აგვისტოს ომზე ჩვენებას, მოწმის სახით, მხოლოდ საკაკაშვილსა და „ნაცმოძრაობაზე“ კი არა, „ოცნების“ იმ მაღალჩინოსნების წინააღმდეგაც მისცემს, რომლებიც იარაღით უკანონო ვაჭრობის თემას არ იძიებენ. გარდა ამისა, ქართველი სპეცსამსახურელი „ენ-დი-აი“-ს კვლევებსაც ეხება და ამბობს, რომ თუკი ხელისუფლება ამ კვლევის შედეგებს არ ენდობა, მაშინ აშშ-ის ადმინისტრაციას ოფიციალურად უნდა მიმართოს და ზემოხსენებული ავტორიტეტული ორგანიზაცია ქვეყნის წინაშე ძირგამომთხრელ საქმიანობაში ამხილოს. კიდევ ერთი თემა, რომელზეც ფორჩხიძე „ქართულ სიტყვასთან“ საუბრობს, უკრაინული საიტის მიერ გავრცელებული ტყეში გაუპატიურებული პატიმრის კადრებია და მიანიშნებს, რომ ყველაფერი ეს მმართველ გუნდს შესაძლოა, ბუმერანგივით დაუბრუნდეს... დღევანდელ ინტერვიუში კი, ყველაზე სკანდალური პრეზიდენტ მარგველაშვილთან დაკავშირებული პროგნოზია, ანუ ქართველი სპეცსამსახურელი, პირად წყაროებზე დაყრდნობით, ვარაუდობს, რომ ფიქრია ჩიხრაძის პრეზიდენტის მრჩევლად დანიშვნას ერთი მიზანი აქვს – მომავალში გიორგი მარგველაშვილი შესაძლოა, „ახალი მემარჯვენეების“ პარტიული ლიდერი გახდეს...

გიორგი მარგველაშვილი „ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე ხდება?

„რატომ გამორიცხავთ, რომ კადრები მიშამაც გაავრცელოს?.. მიშა იმ კადრებს გაავრცელებს, თუ როგორ უხდიდა მაშინდელ ოპოზიციას ფულს... მიშა და, საერთოდ, „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკურ ოპონენტებთან მიმართებაში ნაბიჯს ისე არ დგამდა, რომ ყველაფერ ამის ფიქსაცია არ მოეხდინა. ყველაფერ ამაში კი, პირველ რიგში, ამირან მესხელი იყო ჩართული. მამაცხონებულო, თუკი ბრალი დათა ახალაიას წაუყენე, მესხელს რატომ არ უყენებ? – თუნდაც ე.წ. ნავთლულის ოპერაცია დათა ახალაიამ მესხელის ნებართვის გარეშე ჩაატარა? ამას ერთი ოპერატიული მუშაკიც არ დაიჯერებს“.

– ბატონო კონსტანტინე, „ენ-დი-აი“-ს კვლევებზე ჯერ კიდევ მაშინ ვილაპარაკეთ, ვიდრე გამოქვეყნდებოდა... 2012 წლის არჩევნებიდან პირველად, „ოცნების“ რეიტინგი „ნაცმოძრაობისას“ მცირედ, მაგრამ მაინც ჩამორჩება. ხელისუფლება ამას იმით ხსნის, რომ ამერიკული ინსტიტუტის გამოკითხვის საველე სამუშაოები „ყოფილებთან“ ასოცირებულმა ხალხმა ჩაატარა. იზიარებთ ამ მოსაზრებას?

– „ენ-დი-აი“-ს გამოკითხვის კულუარულ შედეგებზე წინა ინტერვიუებშიც ვისაუბრეთ, მაგრამ ხელისუფლებისთვის უფრო მძიმე შედეგი „დაიდო“. თუ „ენ-დი-აი“-ს ბოლო სამ კვლევას განვიხილავთ, პროცენტული ცვალებადობა მყისიერია, ანუ კვლევიდან კვლევამდე „ქართული ოცნება“ 10 პროცენტამდე კარგავდა, რაც საგანგაშო იყო და ხელისუფლებას აქცენტი, პირველ რიგში, ამაზე უნდა გაეკეთებინა.

– კი ბატონო, მაგრამ ხომ გითხარით, რომ ხელისუფლება ამ კვლევებს არ ენდობა?

– „ენ-დი-აი“ ავტორიტეტული ამერიკული ორგანიზაციაა და თუ არ ენდობი, ფაქტები უნდა დაუდო, რომ კვლევა გაყალბებულია და შენს სტრატეგიულ პარტნიორს მიმართო, ანუ თუ ამ ორგანიზაციის მიმართ პრეტენზია გაქვს, არსებობს დიპლომატიური არხები და აშშ-ის ადმინისტრაციას უნდა მიმართო.

– აშშ-ის ადმინისტრაცია რა შუაშია, როცა „ენ-დი-აი“ არასამთავრობო ორგანიზაციაა?

– თუკი ეჭვობ, რომ ეს ორგანიზაცია კვლევის შედეგებს აყალბებს, ეს ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული ძირგამომთხრელი საქმიანობაა და შენც ადექვატურად უნდა მოიქცე, თორემ იმის თქმა, არ ვენდობიო, მაპატიეთ და, ბელეტრისტიკაა და მეტი არაფერი! არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: „ნაცმოძრაობის“ პროცენტული შემადგენელი თითქმის არ იცვლება და 13-დან 15 პროცენტამდე მერყეობს, ანუ „ნაცმოძრაობას“ თავისი რესურსი შენარჩუნებული აქვს.

– ეს მონაცემები იმას ნიშნავს, რომ 2016 წელს, „ნაციონალები“ პარლამენტში უმრავლესობით მოვლენ?

– ეს გამორიცხულია, მაგრამ აქ სხვა რამაა მნიშვნელოვანი.

– რა?

– რა და, – მოსახლეობის ის 70 პროცენტი, რომელიც დეზორიენტირებულია და

რომელსაც „ოცნების“ ნდობა აქვს დაკარგული. საგანგაშოც სწორედ ესაა. თუ „ოცნება“ არჩევნებამდე ყოფნას ასეთ მონოტონურ მდგომარეობაში აპირებს, შეიძლება, ისე გამოვიდეს, რომ ხელისუფლება დაკარგოს.

– თუკი ამის ალბათობა არსებობს, აბა, ხელისუფლებაში ვინ მოვა?

– გააჩნია, არჩევნებისთვის პარტიები როგორ დაჯგუფდებიან, თუმცა საქმე მაინც სხვა რამეშია – როცა ხელისუფლებაში ხარ და გეუბნებიან, რომ მოსახლეობის 70 პროცენტი გაურკვევლობაშია, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ, ხელისუფლება ხალხთან ოპოზიციაში ხარ. ყველაფერი ეს კი, არასწორი მენეჯმენტის, საკადრო პოლიტიკისა და არშესრულებული დაპირებების შედეგია. პირველი არშესრულებული დაპირება კი, სამართლიანობის აღდგენაა – ერთი მანახეთ, წართმეული ქონება ვის დაუბრუნდა?

– როგორც მახსოვს, რამდენიმე წართმეული ავტომანქანა დააბრუნეს...

– ეს გასაგებია, მაგრამ მსხვილ ქონებაზე ვლაპარაკობ.

– სამაგიეროდ, სამართლებრივი დავა „რუსთავი 2“-თან მიმდინარეობს. მართალია, „ოცნება“ ამტკიცებს, რომ ქიბარ ხალვაში დამოუკიდებლად მოქმედებს, მაგრამ ესეც ხომ სამართლიანობის აღდგენის პროცესის ნაწილია?

– ამ „რუსთავი 2“-თან დავას თავი დაანებონ, რა?! საერთოდ, მედიასთან დაკავშირებით აჟიოტაჟს ხელისუფლება ქმნის.

– ამას რის საფუძველზე ამბობთ?

– ხელისუფლების წარმომადგენლები და თანამდებობის პირები აცხადებენ, „რუსთავი 2“ „ნაცმოძრაობის“ ტელევიზიაა. კი ბატონო, „რუსთავი 2“ „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკას ატარებს, მაგრამ ხომ ხედავ, რომ იმ 13 პროცენტზე მეტი ვერ მოაქვს, რომელიც „ენ-დი-აი“-მ დადო? ყველამ გაიგოს: „ნაცმოძრაობის“ დაბრუნების შანსი, თუ ხელისუფლება ძალით არ აიღო, არ არსებობს!

– ერთი მოსაზრებით, „ოცნების“ რეიტინგის ვარდნა ე.წ. კოჰაბიტაციის შედეგია. ამასთან, რიგითი „ოცნებელები“ ამტკიცებენ, რომ თუკი წამების კადრების საჯარო ჩვენება ადრე მოეწყობოდა, დღეს ხელისუფლებას უმაღლესი რეიტინგი ექნებოდა...

– ამ კადრების საჯარო ჩვენება არც ადრე შეიძლებოდა და არც ახლა შეიძლება, რადგან ამას ბუმერანგის პრინციპი ექნება და ისევ „ოცნებას“ დაუბრუნდება! ყველამ ვიცით, რომ რეჟიმი არსებობდა, მაგრამ ასეთი ჩანაწერები უნდა განადგურებულიყო!

– კონკრეტულად ის კადრები, რომელიც რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთმა უკრაინულმა საიტმა გაავრცელა, ვერ განადგურდებოდა, რადგან საქმეში ნივთმტკიცებად იდო...

– კი ბატონო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი სხვა კადრებიც არაა განადგურებული.

– ბატონო კოტე, როგორც უსაფრთხოების ექსპერტი, როგორ ფიქრობთ, კადრები, რომელიც საქმეში ნივთმტკიცებად ინახება, სხვის, ანუ ამ შემთხვევაში, უკრაინული მედიის ხელში როგორ შეიძლება მოხვედრილიყო?

– როგორ და, – ძალოვანი უწყებების დახმარებით. პროკურატურაში მე ხომ ვერ შევიდოდი და გამომძიებელს ნივთმტკიცებას ვერ მოვპარავდი? ქართული ანდაზაა, ციხე შიგნიდან ტყდებაო. ამიტომ, კადრების გამტანი შიგნითვე ეძებონ.

– ამ ლოგიკით, იმის თქმა გინდათ, რომ წამების კადრების საჯარო სივრცეში მოხვედრა „ოცნებას“ აწყობდა, რათა „ნაციონალების“ მიმართ უკმაყოფილების, გნებავთ, აგრესიის ახალი ტალღა აგორებულიყო?

– ამ კადრებმა ერთხელ უკვე იმუშავა.

– საგულისხმოა, რომ ტყეში გაუპატიურებული პატიმრის კადრები ზუგდიდსა და თბილისში საჯაროდ აჩვენეს, რასაც საქართველოს რამდენიმე ქალაქში „ნაცმოძრაობის“ ოფისების დარბევა მოჰყვა...

– თუ „ოცნებაში“ ვინმე ფიქრობს, რომ ამ კადრების ჩვენებით ხალხს „ნაცმოძრაობა“ უფრო მეტად აღარ მოუნდება, ძალიან ცდება! ჯობია, ახალზე იფიქრო, მით უმეტეს, რომ ხალხს საჭმლის ფული აინტერესებს და მეტი აღარაფერი! დააკვირდით, სწრაფი სესხების კომპანიები როგორ მომრავლდნენ და ამ კომპანიებთან რამხელა რიგები დგას. იცით, ადამიანები სწრაფ სესხს რისთვის იღებენ? – გადასახადები რომ გადაიხადონ და პური იყიდონ!

– გასაგებია, რომ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონია, მაგრამ სამაგიეროდ, თავისუფლად ვსუნთქავთ, ანუ არ ჯობია, მშივრები ვიყოთ და არავინ გვაწამებდეს, ვიდრე – მაძღრები და ცემა-წამების შიში გვქონდეს?

– ავტორიტარიზმი მხოლოდ წამებას და გაუპატიურებას არ ნიშნავს. ისიც ავტორიტარიზმია, როცა ხალხი ღარიბდება! დემოკრატიულ ქვეყნებში ავტორიტარიზმის ნიშნები იმიტომ არაა, რომ იქ აქცენტი მოსახლეობის კეთილდღეობასა და ადამიანის უფლებებზე კეთდება. ისე, სიღარიბეც ადამიანის უფლებების დარღვევაა. 20 წელზე მეტია, ჩვენთან ასე ხდება: ხელისუფლებაში სხვადასხვა ადამიანთა ჯგუფი სხვადასხვა დაპირებით მოდის, კონსტიტუციით არსებულ ძალაუფლებას ირგებს და ყველაფერი ამით მთავრდება. საერთოდ, მნიშვნელობა არ აქვს, ქვეყანაში ერთი ადამიანის ავტორიტარიზმია თუ კოლექტიური. სხვათა შორის, აღარავის ახსოვს, „ოცნების“ ზოგიერთი წევრი 2012 წლის არჩევნებამდე რომ ამბობდა, მილიონის საშოვნელად მოვდივარო. შეიძლება, შაყირობდა, მაგრამ ასეთი შაყირი არ შეიძლება – როცა პარლამენტი იმისთვის გჭირდება, რომ ხალხზე კი არ იზრუნო, არამედ, ფული იშოვო, მაპატიეთ და, ეს უდიდესი საკადრო შეცდომაა!

– კოტე ბატონო, ჩვენი ექსკლუზიური ინტერვიუების ციკლში, ლამის ორი წელია, აცხადებთ, რომ „ოცნების“ მთავარი პრობლემა საკადრო პოლიტიკაა. ეს შეკითხვა ადრეც დამისვამს და კიდევ დავსვამ: ახალმა ხელისუფლებამ რატომ არ დააყენა, მაგალითად, ამირან მესხელის პასუხისმგებლობის საკითხი?

– ალბათ, იმიტომ, რომ ყველაფერში მესხელი ეხმარებოდა.

– რას გულისხმობთ?

– რას და, – თუნდაც პატიმრების წამებისა და გაუპატიურების კადრების გარეთ

გაგრძელება მე-3 გვ.

ᲮᲘᲠᲮᲘᲡᲞᲘᲠᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

21-27 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ | № 41 (305) | 3

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲕᲘ

ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

გამოტანა მესხელის გარეშე, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო.

— რატომ?

— გაიძახიან, მერაბიშვილი, მერაბიშვილიო, მაგრამ უშიშროების ორგანოებს ოპერატიულ დარგში ამირან მესხელი ხელმძღვანელობდა, რომელზეც არაერთხელ ვილაპარაკეთ. მესხელს ძალიან საინტერესო ბეგრაუნდი აქვს. თავის დროზე გარკვეული ოპერატიული მასალა მასზეც არსებობდა და ხელისუფლებაში „ნაცმოძრაობა“ მოვიდა თუ არა, მესხელი დაინტერესდა, ლიტერულ საქმეებში მისი გვარი ფიგურირებდა თუ არა.

— „ლიტერული საქმე“ რას ნიშნავს?

— ეს სპეცსამსახურის ტერმინია, ანუ მესხელს აინტერესებდა, დაარქივებულ მასალებში მისი გვარ-სახელი არსებობდა თუ არა.

— არსებობდა?

— დიახ, არსებობდა და ბუნებრივია, ისინი, ვინც ამის შესახებ იცოდნენ, სპეცსამსახურში არ გააჩერა. სამსახურს მეც ჩამომაცილა.

— ერთი სიტყვით, ეჭვობთ, რომ ტყეში გაუპატიურებული პატიმრის კადრების საჯარო გავრცელებაში მესხელის ხელი ურევია?

— გამორიცხული არაფერია... მესხელი იმ რეჟიმის ორგანიზატორი იყო და მის გარეშე ერთი ოპერატიული ღონისძიებაც არ ხორციელდებოდა...

— ჩვენების გამოძალვისთვის პატიმრის გაუპატიურება ოპერატიული ღონისძიება არაა!

— დიახ, მაგრამ ამაზე ზემოდან ნებართვა რომ არ ჰქონოდათ, ვერც ერთი ქვემდგომი ვერ გაბედავდა! შანსი არ არსებობს, რომ რომელიმე რგოლის ხელმძღვანელმა, ნებართვის გარეშე, ინფორმაციის ამოღება ასეთი გზით სცადოს!

— გავყვეთ თქვენს ვერსიას, ბატონო კოტე, რომ კადრების გასაჯაროება მესხელის კისერზეა, მაგრამ ეს რაში უნდა აწყობდეს?

— მისი უპირველესი ამოცანა თავის გადარჩენაა. მესხელის ქვემდებარე იყო დათა ახალაია და ვაჟა ლელუაშვილიც, რომელზეც დღეს ხმას არავინ იღებს... ამ დანაშაულებრივი სისტემის შექმნაში მესხელის ხარისხი და როლი ვინმემ გაარკვია?

— ...ერთი სიტყვით, ადამიანებში უსამართლობის განცდა ისევ არსებობს?

— დიახ, არსებობს, რამაც ახალი პოლიტიკური დაჯგუფების შექმნა განაპირობა.

— რომელ დაჯგუფებაზე ამბობთ?

— დავით თევზაძემ ახალი პოლიტიკური პარტია ჩამოაყალიბა, სადაც ყოფილი სამხედროები და სხვა ძალოვანი უწყების თანამშრომლები გაწევრიანდნენ, ანუ ქართულ პოლიტიკაში სამხედროების ორგანიზებული ძალა გაჩნდა.

— ეს საშიშია?

— გააჩნია, ვინ როგორ შეხედავს... ეს თვითორგანიზების მაგალითია.

— ესე იგი, 90-იან წლებში ვბრუნდებით?

— ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ არავინ იცის, ადამიანები, რომლებმაც იარაღი, ასე ვთქვათ, იციან და პოლიტიკაში პირველ ნაბიჯებს დგამენ, მომავალში რას გააკეთებენ.

— უკვე კეთდება მინიშნებები, რომ ქვეყანა ახალი სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზეა...

— არ ვიცი, კიდევ რა კადრების გავრცელებას აპირებენ, მაგრამ...

— უკაცრავად, გაქვთ ინფორმაცია, რომ სხვა კადრებიც უნდა გავრცელდეს?

— რატომ გამორიცხავთ, რომ კადრები მიშამაც გაავრცელოს?

— დავიბენი: ადამიანთა წამების ამსახველი ვიდეოების გავრცელება მიშას რაღად უნდა?

— მიშა იმ კადრებს გაავრცელებს, თუ როგორ უხდიდა მაშინდელ ოპოზიციას ფულს.

— სხვათა შორის, ეს „კინოც“ ერთხელ უკვე ვნახეთ — ლევან გაჩეჩილაძისა და ბადრი ბიწაძის სკანდალი გახსოვთ?

— დიახ... მიშა და, საერთოდ, „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკურ ოპონენტებთან მიმართებაში ნაბიჯს ისე არ დგამდა, რომ ყველაფერ ამის ფიქსაცია არ მოეხდინა. ყველაფერ ამაში კი, პირველ რიგში, ამირან მესხელი იყო ჩართული. მამაცხონებულო, თუკი ბრალი დათა ახალაიას წაუყენე, მესხელს რატომ არ უყენებ? — თუნდაც ე.წ. ნავთლუღის ოპერაცია დათა ახალაიამ მესხელის ნებართვის გარეშე ჩაატარა? ამას ერთი ოპერატიული მუშაკიც არ დაიჯერებს.

— ისე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ადამიანი, რომელიც გია კრიალაშვილის წინააღმდეგ განხორციელებულ სპეცოპერაციაში მონაწილეობდა, დღეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურშია დასაქმებული...

— დიახ, ასეა. ამ სპეცოპერაციის მონაწილეთა ნაწილი ძალოვან უწყებებში დღესაც მუშაობენ. სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც გენერალ ნაირაშვილზე ინფორმაცია გავავრცელე, სამხედრო ატაშე აღარაა, მოხსნეს. სამაგიეროდ, კოპაძე, რომელიც ბაჩო ახალაიას დროს სამხედრო პოლიციის შეფი იყო, დღეს კონტრდაზვერვის დეპარტამენტშია დაწინაურებული, ანუ „ოცნებამ“ ჯალათური სისტემის ელემენტები შეინარჩუნა. არადა, ამ ელემენტებმა ე.წ. დამთრგუნველი მანქანის შექმნის მეტი არაფერი იციან, რომელსაც ადრე თუ გვიან, „ოცნების“ წინააღმდეგ გამოიყენებენ, რადგან ისინი „ოცნებას“ თავიანთ პოლიტიკურ ძალად არ მიიჩნევენ!

— ბატონო კოტე, წეღან უნდა მეკითხა და გამომრჩა: „ენ-დი-აი“-ს კვლევით, „ევრაზიული კავშირის“ მომხრეთა რიცხვი არ გაზრდილა, მაგრამ ევროკავშირის მომხრეთა რიცხვი შემცირდა. ამასობაში, პრორუსული ძალები აქტიურდებიან... რა ხდება?

— ვანო, არაერთხელ მითქვამს, რომ „ევრაზიული კავშირის“ სუნთქვას სულ უფრო ახლოს ვგრძნობთ და ამის ნათელი მაგალითი აზერბაიჯანში მიმდინარე პროცესებია.

სხვათა შორის, 16 ოქტომბერს, ყაზახეთში, სნგ-ს 11 ქვეყნის პრეზიდენტის შეხვედრა გაიმართა, რომელსაც პუტინიც დაესწრო. ამ შეხვედრაზე ძალიან საინტერესო დოკუმენტი მიიღეს.

— კერძოდ?

— ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომელიც საერთაშორისო ტერორიზმთან გაერთიანებულ ბრძოლას და ამის ფონზე, სნგ-ს ქვეყნებში ანტიტერორისტული ცენტრების გახსნას, ასევე, სწრაფი რეაგირების ძალების ჩამოყალიბებას გულისხმობს.

— ყველაფერი ეს სნგ-ს ქვეყნებში უნდა მოხდეს?

— დიახ. იცით, ეს რას ნიშნავს? — სნგ-ს მასშტაბით ახალი შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებას, რომელსაც გაერთიანებული სარდლობა ეყოლება, ანუ სნგ-ს ქვეყნების საჰაერო სივრცეს მთლიანად რუსეთი გააკონტროლებს და ამით სამხრეთ დერეფანს, აზერბაიჯანის ჩათვლით, დაკეტავს. ეს ძალიან საინტერესო მომენტია.

ზუსტად მაშინ, როცა ყაზახეთში ზემოხსენებული შეხვედრა იმართებოდა, ბაქოს გენერალ-პოლკოვნიკი ალექსანდრე ბასტრიკინი სტუმრობდა, რომელიც რუსეთის საგამოძიებო კომიტეტს ხელმძღვანელობს. ეს კომიტეტი ამერიკული ფედერალური ბიუროს ანალოგია. ბასტრიკინის ბეგრაუნდი მეცნიერებას უკავშირდება და იურიდიულ წრეებში ცნობილი პიროვნებაა.

— ბასტრიკინი ბაქოში რა მისიით იმყოფებოდა?

— ოფიციალურად, შეხვედრები ბაქოს უნივერსიტეტში გამართა, თუმცა ვიზიტის მიზანი, სინამდვილეში, „აი-სი-სი“-ს დაკავებულ აზერბაიჯანელ მებრძოლთა ჯგუფი იყო, ანუ ის აზერბაიჯანელები, რომლებიც სირიაში ომობდნენ და სამშობლოში დაბრუნდნენ, დააკავეს. მათ საჯაროდ ალაპარაკებენ, ვინ, როდის და როგორ გადაიბირა. ამაში ცუდი, ერთი შეხედვით, არაფერია, მაგრამ ამით რუსეთი თავის გეოსტრატეგიულ ამოცანას წყვეტს, ანუ საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა წამოიწყო, მაგრამ საამისოდ რუსეთს გაერო-ს მანდატი სჭირდება. თუკი გაერო ამ მანდატს მისცემს, ეს კრემლისთვის მწვანე შუქის ანთება იქნება — სახმელეთო ოპერაციებს დაიწყებს და სირიიდან „აი-სი-სი“-ს მებრძოლებს განდევნის. საკითხავია, საით?

— საით?

— არაა გამორიცხული, რომ ამ ხალხმა საქართველოს ტერიტორია გაიაროს, მით უმეტეს, იქ ჩვენი მოქალაქეებიც იბრძვიან. მოკლედ, რა გარანტია არსებობს, რომ ე.წ. ანტიტერორისტული ჯგუფები „აი-სი-სი“-ს მებრძოლებს საქართველოში არ შემოჰყვებიან? სხვათა შორის, რუსეთი ანალოგიურ ნაბიჯებს თავის დროზე პანკისში დგამდა.

— გამოდის, რომ ფარული რუსული ოკუპაცია გვემუქრება, მაგრამ არ მგონია, მსოფლიომ ეს დაუშვას, მით უმეტეს, ახლა, როცა ჰააგის ტრიბუნალი აგვისტოს ომს იძიებს...

— ჰააგის ტრიბუნალი აგვისტოს ომით იმიტომ დაინტერესდა, რომ საქართველომ თავისი წილი დანაშაული არ გამოიძია.

— ახლა, არ თქვათ, ბატონო კოტე, რომ ომი ჩვენ დავიწყეთ!

— ამას არასოდეს ვიტყვი, მაგრამ საქართველოს უნდა გამოეძიებინა, ამ ომის თავიდან არიდება შესაძლებელი იყო თუ არა. ქართულ გამოძიებას ისიც დოკუმენტალურად უნდა დაედასტურებინა, რომ ცხინვალის რეგიონში ქართველთა ეთნოწმენდა მოხდა. გარდა ამისა, ვთქვათ, გიორგი ანწუხელიძის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის სისხლის სამართლის საქმე აღეძრა. გარდა ამისა, კიდევ ათასი ნიუანსია...

ისე, დასავლეთს რომ არ უნდოდეს, ჰაააგა ამ გამოძიებას არ დაიწყებდა. ჩემი აზრით, გამოძიების ერთ-ერთი მთავარი ხაზი იმის დადგენა იქნება, ქართული მხრიდან ვინმე ხომ არ იყო ხელშემწყობი, რომ რუსეთის ეს აგრესია განხორციელებულიყო. არაერთხელ მითქვამს, რომ აგვისტოს ომის შემდეგ მსოფლიო წესრიგი შეიცვალა და დასავლეთს სწორედ იმის გაგება აინტერესებს, რუსეთთან ერთად, ამაში დამნაშავე კიდევ ვინ შეიძლება იყოს.

საერთოდ, ჰაააგის ტრიბუნალი, თუკი წინასწარი ინფორმაციები არ აქვს, გამოძიებას არ იწყებს ხოლმე. აგვისტოს ომის შემთხვევაში კი, წინასწარ გამოძიებად შეიძლება, ე.წ. ტალიავინის კომისიის დასკვნა ჩაითვალოს... გასაგებია, რომ ყველაფერ ამის გამოძიება „ნაცმოძრაობის“ ინტერესში არ შედიოდა, მაგრამ ამ კუთხით „ოცნებამ“ რატომ არაფერი გააკეთა? რომის სტატუსით, რომელსაც საქართველოცაა მიერთებული, თუ ასეთი დანაშაულის გამოძიებას ქვეყანა არ იწყებს, მაშინ გამოძიებაში ჰაააგის ტრიბუნალი ერთვება და დამოუკიდებელ გამოძიებას იწყებს. ასე რომ, ჰაააგის პროკურატურა რა დოკუმენტებსაც მოითხოვს, ქართული მხარე, ვალდებულია, მისცეს, თუმცა გამოძიების შედეგებში ვერც საქართველო ჩაერევა და ვერც — რუსეთი.

დარწმუნებული ვარ, ჰაააგის ტრიბუნალი ამერიკელების მიერ მოპოვებული დოკუმენტებითაც დაინტერესდება. მოკლედ, ძალიან მნიშვნელოვან გასაყარზე ვდგავართ!..

საქართველოში, ალბათ, ჰაააგის პროკურორის ოფისი გაიხსნება, რომელიც ძალიან ბევრ მოწმეს დაკითხავს, მათ შორის, ყოფილ სამხედროებს, ექსპერტებს და ასე შემდეგ. არ გამოვრიცხავ, რომ ჰაააგის პროკურორს ჩვენება მეც მივცე.

— თქვენ რატომ?

— იმიტომ, რომ ის თემა, რომელზეც ამდენი ხანია, ვლაპარაკობ, პირდაპირ 2008 წლის აგვისტოს ომს უკავშირდება.

— ანუ, იარაღით უკანონო ვაჭრობა?

— დიახ.

— ჩვენებას საქართველოს წინააღმდეგ მისცემთ?

— როგორ გეკადრებათ! ჩვენებას სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების წინააღმდეგ მივცემ, რომელიც იარაღით უკანონო ვაჭრობას აწარმოებდა და იარაღი, რომელიც თავდაცვისთვის უნდა გვქონოდა, არ გვქონდა! ჩვენებას იმ ადამიანების წინააღმდეგაც მივცემ, რომელთაც ყველაფრის გამოძიება ევალებოდათ, მაგრამ დღემდე არაფერი გაუკეთებიათ!

— ანუ, ჰაააგის ტრიბუნალთან „ოცნების“ წინააღმდეგაც ითანამშრომლებთ?

— დიახ, ასე გამოდის. თუკი სააკაშვილმა დანაშაული ჩაიდინა და ამის ლეგალური მასალა არსებობს, შენ, ახალი ხელისუფლება რომ ხარ, რატომ დუმხარ? არავის ეგონოს, არც თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებს, რომ ეს თემა დაიხურა და თავს დაიძვრენენ! ხმამაღლა ვაცხადებ: ყველაფერ ამის გამომჟღავნება არც დღევანდელ თავდაცვის სამინისტროს აწყობს!

— ასე რატომ ფიქრობთ?

— თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, ქალბატონ ანა დოლიძეს შევხვდი, ამ თემაზე ვისაუბრეთ და შესაბამისი ინფორმაციაც მივაწოდე. დამპირდა, რომ ამის შესახებ ქალბატონ თინა ხიდაშელს ეტყოდა და შემეხმიანებოდა, მაგრამ აღარავინ დამკავშირებია!

— ანა დოლიძეს თქვენი ინიციატივით შეხვდით?

— არა. შემექმნა შთაბეჭდლება, რომ თავდაცვის სამინისტროს უნდა, გავჩუმდე, მაგრამ არ გავჩუმდები! ჰყავდეთ და ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ!

— ვისზე ამბობთ?

— გენშტაბის უფროსზე. ქალბატონმა თინამ, იგივე ანა დოლიძემ და უმაღლესმა მთავარსარდალმაც თავზე ხელი გადაუსვან ბეჟუაშვილის კადრსა და პუტინის ძმაკაცებს, მაგრამ ნუღარ ამბობენ, რომ პროდასავლურები არიან, ნატო-ში შესვლა უნდათ და ვარშავის სამიტზე რაღაცას მიიღებენ! ვერაფერს მიიღებენ, რაც ჩვენთვისაა ცუდი!

— ბატონო კოტე, ქვეყანაში, სადაც მთავარი პოლიტიკური ნიუსი პატიმრის გაუპატიურების კადრებია, რომელ მაპ-სა და, საერთოდ, ცივილიზაციაზეა ლაპარაკი?

— შე მამაცხონებულო, ის რეჟიმი რომ არ მოგვწონდა, ამიტომ მოხდა არჩევნების გზით სახელმწიფო გადატრიალება, მაგრამ იმ მანკიერ სისტემას რატომღა აგრძელებ? ისეთი პროფესიონალები მოიყვანე, რომლითაც ყველას დაანახებ, რომ იმ ხელისუფლებაზე უკეთესი ხარ!

— ერთი სიტყვით, ბატონო კოტე, ყველაფერ ზემოთქმულის გათვალისწინებით, სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივდივართ?

— ხალხი იმ დონეზეა გაჭირვებული, რომ ყველაფერზეა წამსვლელი. პატარა ნაპერწკალია საჭირო და აქ ისეთი ამბები დაიწყება, რომ უმართავი პროცესები წავა! დასაკარგი არავის არაფერი აქვს და მოსახლეობას ხელისუფლებაც ფეხზე ჰკიდია და ოპოზიციაც!

ესაუბრა ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

(თემის გაგრძელება იქნება)

4 № 41 (305) 21-27 ოქტომბერი

ქართული იდეა

ეროვნული, ლიბერალური, ეკონომიკური, ჰუმანიტარული

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ექსპერტი

„ქვეყანამ, ბოლო 25 წელი, აბსოლუტური იდიოტიზმის ტყვეობაში გაატარა!“

თბილისში „ახალი აბრეშუმის გზის“ ფორუმი, რომელსაც მსოფლიო ეკონომიურად წარმატებული ქვეყნების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, პომპეზურად ჩატარდა. რას მოგვიტანს „ახალი აბრეშუმის გზა“, რომელიც აღმოსავლეთ-დასავლეთის ქვეყნებს ოდესღაც ერთმანეთთან ვაჭრობით აკავშირებდა და მშვიდობის ერთგვარი გარანტიც იყო? გადაყვება თუ არა „რუსთავი 2“-ის კრიზისს ხელისუფლება და რატომ უნდა შემოვიდეს ქართულ ენერგეტიკულ ბაზარზე „გაზპრომი“? – „ქართულ სიტყვას“ პოლიტოლოგი ვაჟა ბერიძე ესაუბრა.

– ბატონო ვაჟა, „ახალი აბრეშუმის გზის“ ფორუმს ევროპაში „ახალი ფანჯარა“ დაარქვეს...

– ვერ გეტყვით, რამდენადაა ევროპაში „ახალი ფანჯარა“, მაგრამ საბოლოო ჯამში, ყველა ასეთი პროექტი იმას გულისხმობს და ითვალისწინებს, რომ საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობისთვის, წამყვანი ეკონომიკის ქვეყნებისთვის, გავლენიანი რეგიონალური ლიდერებისთვის საჭირო ხდება. ამ ინტერესის გარეშე ჩვენი დამოუკიდებლობა ერთობ მყიფე იქნებოდა. დათა თუთაშხიას პათოსით, თუკი სახელმწიფოს ფუნქცია არ აქვს, ვერ იარსებებს და ეს ფუნქცია მხოლოდ ყბადაღებული გეოსტრატეგიული მდებარეობა არ უნდა იყოს.

– საქართველო, სამომავლოდ, „საქარავნე გზა“ იქნება თუ სერიოზული ეკონომიური დატვირთვის რეგიონი?

– ამ ფორუმზე კონკრეტული ტენდენციები ვერ გამოიკვეთებოდა. ასეთი შეხვედრების დროს გაცნობა-დაახლოება, თვალსაზრისების შეჯერება, გეგმების დასახვა ხდება. ეკონომიკური პროექტები, ახალი ტენდენციები კი კაბინეტებში, „ტვინის ტრესტებში“ მუშავდება... ბოლო დროს დაწინაურებულნი „ბრიკსის ექვსეულის“ ქვეყნები არიან, სადაც შედიან ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი, სამხრეთ აფრიკა და სხვა სახელმწიფოები. იქ ყალიბდება ახალი ტენდენციები. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ჩინეთი და მისი ეკონომიკაა. ჩინეთი დასავლეთისკენ ისწრაფვის და მისთვის ისტორიული „აბრეშუმის გზა“, მისი აღდგენა და იმ ქვეყნებთან ურთიერთობა, რომლებიც მისი შემადგენელი ელემენტები, რგოლები იყვნენ, ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე ამ იდეის გააქტიურება დაიწყო.

– „გააქტიურებაში“ რა იგულისხმება?

– „აბრეშუმის გზის“ თემა ახალი ხელისუფლების დროს არ გაჩენილა, ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობისას, ტრანსკავკასიური მაგისტრალის საკითხებზე მუშაობის დროს წამოიწია, სააკაშვილმა განავითარა, მერე ცოტათი მინავლდა და ახლა, სწორედაც, ხელსაყრელ დროს განახლდა...

– ჩინეთი ჩვენც ევროპის ნაწილად განგვიხილავს?

– ჩინეთი თავისი მისწრაფებებისთვის ხელსაყრელ პარტნიორ ქვეყნად განგვიხილავს. დამოუკიდებლობა და თავისუფლება იმისთვის გვინდოდა, რომ თავად შეგვეფასებინა, ჩვენი ეროვნული ინტერესების თანხვედრა რომელ ქვეყნებთანაა ხელსაყრელი. მიმაჩნია, რომ „აბრეშუმის გზა“ მისაღები და მხარდასაჭერი პროექტია. რაც მეტი ტურისტული ნაკადი გაივლის საქართველოს ტერიტორიაზე და მეტი ეკონომიკური პროექტი განხორციელდება, მით უფრო საყურადღებო გავხდებით მსოფლიოსთვის. აშშ, ჩინეთი, რუსეთი, თურქეთი – ეს ქვეყნები, ევროკავშირთან ერთად, მსოფლიო ეკონომიკასა და ჩვენს ბედისწერაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ.

– რუსეთის ბაზრის ჩინეთით ჩანაცვლება, როგორც მახსოვს, თავის დროზე მიხეილ სააკაშვილმა მოსინჯა, როცა ჩინეთში ქართული ღვინო გაიტანა...

– სააკაშვილმა სწორად მოსინჯა. მართალია, ჩინეთი ტრადიციული ღვინის მომხმარებელ ქვეყანას არ მიეკუთვნება, მაგრამ ურთიერთობებისთვის მაინც საჭიროა. მალე, ჩინეთში, მილიონ 650 ათასი ბოთლი ღვინისა და მილიონ 300 ათასი მინერალური წყლის ექსპორტი განხორციელდება. არ უნდა მივებათ რუსეთის ბაზარს ისე, როგორც მეფის რუსეთის და კომუნისტების დროს ვიყავით, არ უნდა მოვექცეთ მისი გავლენის ქვეშ და ჩვენი დაშანტაჟების ბერკეტები არ მივცეთ.

– ყველაზე საინტერესოდ, რაც ფორუმზე განიხილეს, მაინც, რას თვლით?

– ჩინური კომპანიები დავარწმუნეთ, რომ ბევრ პროექტში მონაწილეობის მისაღებად მზად ვართ. ასევე, საუბარი იყო ანაკლიის პორტის განვითარებაზე, ანაკლიის მიმდებარე ტერიტორიის თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გადაქცევასა და ხაშურიზესტაფონის მაგისტრალის მშენებლობაზე.

– ანაკლიის პორტზე სააკაშვილს საყვედურობდნენ, არაფრისმთქმელი, პომპეზური და „პოტიომკინის სოფელი“ უფროა, ვიდრე საჭირო და აუცილებელიო.

– გააჩნია, იდეას როგორ მიუდგები და განავრცობ. ამ პროექტში პომპეზურობა იყო, მაგრამ მიმაჩნია, რაც მეტი პორტი იქნება საქართველოს ზღვისპირეთში, უკეთესია.

– ანუ, ანაკლიის პორტის სააკაშვილისეული პროექტი ისევ აქტუალურია?

– ჩემი აზრით, ძველიდან ის უნდა ავიღოთ, რაც მისაღებია ან, სულაც, ახალი ინტერპრეტაციით განვიხილოთ.

– ანაკლიის პორტის პროექტით ვინაა დაინტერესებული?

– ადრე „თი ბი სი ჯგუფს“ ჰყავდა შერჩეული დასავლელი ბიზნესმენი, ახლა ჩინელები არიან დაინტერესებულნი, საბოლოოდ, რა გადაწყდება, არ ვიცი.

– არაბები რითი არიან დაინტერესებულნი?

– შეიხმა ნაჰაიანმა განაცხადა, რომ ინვესტიციებს გააფართოვებს, რაც მისასალმებელია, ბევრი რამაა საქართველოში, რითიც მათი დაინტერესება შეიძლება: სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, კომუნიკაციები...

– საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე „გაზპრომის“ შემოსვლის წინააღმდეგ აქციები იმართება და ეს თემა რუსულ ოკუპაციასთანაა გაიგივებული. საზოგადოებას ახსოვს დარიალის ხეობაში აფეთქებული გაზსადენი, შუა ზამთარში რუსეთისგან გაყინული ევროპა. ახლახან, პოლონეთმა რუსულ გაზზე უარი თქვა. ჩვენ კი, „გაზპრომი“ შემოგვყავს...

– საკითხის ასე დაყენება სწორი არ იქნება... გასაგებია, რომ რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებას თავი უნდა ავარიდოთ, მაგრამ ლაპარაკია „გაზპრომის“, როგორც ერთ-ერთ მომწოდებლად შემოსვლაზე.

– რატომ გახდა ოკუპანტი ქვეყნის სახელმწიფო კომპანიის ჩვენს ბაზარზე შემოყვანა აუცილებელი?

– ენერგომატარებლები ვრცელი და რთული თემაა, რომელიც ხშირად პოლიტიკაშია გადახლართული. სირიაში, საომარ მოქმედებებში რუსეთის ჩართულობა არაბული გაზის ევროპისკენ გატანაზე ზემოქმედების გამო მოხდა. თავის დროზე ალიევმა და შევარდნაძემ, ტრანსკავკასიური მაგისტრალის ამოქმედებით, ამიერკავკასია დასავლეთისკენ შეაბრუნეს. ახლახან კი, სნგ-ს ქვეყნების შეხვედრაზე, ილხამ ალიევმა ნიშანდობლივი განცხადებები გააკეთა, რომ არ მოსწონს ევროსტრუქტურების მხრიდან აზერბაიჯანის შიდა საქმეებში ჩარევა, ლაპარაკია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ პრობლემებზე. მეორეს მხრივ, ისიც საინტერესოა, რომ აზერბაიჯანი რუსეთიდან მაღალკალორიულ გაზს ძვირად ყიდულობს და საქართველოს დაბალკალორიულ გაზს იაფად აწვდის.

– ამას რატომ აკეთებს?

– ამის პასუხი აზერბაიჯანის ლიდერებს აქვთ. როცა „გაზპრომზე“ ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პოლიტიკური ფასის გარდა, სხვა კომპონენტებიცაა. რუსეთი, თავის მხრივ, აზერბაიჯანიდან, ყაზახეთსა და თურქმენეთიდან შესყიდულ გაზს საკუთარ მილში ატარებს, რაღაც კომპონენტებს უმატებს და ევროპაში, როგორც საკუთარს, ისე ყიდის. ესეც მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკური რეალობაა, თუ არ გავითვალისწინებთ, რომ არსებობს ენერგეტიკული ნიუანსები და დეტალები, რაც პოლიტიკურ და დიპლომატიურ კულუარებში განიხილება, ჭაობში აღმოვჩნდებით. ინფორმაციას, რომ ვიცე-პრემიერი კახი კალაძე „გაზპრომის“ წარმომადგენლებს შეხვდა, რა თქმა უნდა, რუსული მედიისგან არ უნდა ვიგებდეთ. წესით, საზოგადოებას, კომერციული დეტალების გარდა, სიმართლე უნდა მიეწოდოს, თუმცა არ მესმის რა კომერციულ დეტალებზეა საუბარი, როცა ისედაც ყველასთვის ყველაფერი ცნობილია.

– „გაზპრომში“ ივანიშვილის წილს გულისხმობთ? – ოპოზიცია ამბობს, რომ კომპანიის აქციონერი და 1%-იანი წილის მფლობელია.

– ივანიშვილი ბიზნესმენია და უფლება აქვს, აქტივებს ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ კომპანიაში ფლობდეს. ცნობილია, რომ დასავლეთის საფონდო ბირჟებშიც აქვს კაპიტალი დაბანდებული. არც ის აზრი მიმაჩნია მართებულად, რომ თუკი ივანიშვილი რუსული კომპანიის წილს ფლობს, ეს ქვეყანაზე პოლიტიკური ზეწოლის მიზეზი გახდება, ეს პრიმიტიული მიდგომაა და არც მსოფლიო პოლიტიკაა „კეთილშობილ ქალთა პანსიონი“.

კატეგორიულად ვაცხადებ: არც რუსეთის მეხოტბე ვარ და არც – ბიძინა ივანიშვილის ინტერესების დამცველი, მაგრამ ჩემმა ქვეყანამ, ბოლო 25 წელი, აბსოლუტური იდიოტიზმის ტყვეობაში გაატარა და შველას ხან დასავლეთისგან ელოდა, ხან – აღმოსავლეთისგან და ხან – ჩრდილოეთისგან. სხვადასხვა ქვეყნისგან დაფინანსებული ლიდერები მოსახლეობას ცხვრის ფარასავით მიერეკებოდნენ საარჩევნო ყუთებთან და... მივიღეთ არშემდგარი სახელმწიფო, გაღატაკებული ეკონომიკა. 25 წელია, დასავლეთისკენ მივილტვით, მაგრამ არც ერთი წონადი ინვესტიცია მისგან არ მიგვიღია, თუ არ ჩავთვლით „ეი-ეს თელასის“ მომსახურებას თბილისში, რაც კრახით დასრულდა და საბოლოოდ, რუსებს მიჰყიდეს. ასეთ პირობებში იძულებულნი ვხდებით, ინვესტორი ახლომახლო ვეძებოთ, ეჭვის თვალით ვუყურებთ ჩინელებს, თურქებზე ვამბობთ, რომ აჭარაში ექპანსიას ახორციელებენ. „გაზპრომის“ შემთხვევაში საზოგადოებისთვის ნათელი უნდა გახდეს, რა რაოდენობითა და მოცულობით გვექნება რუსული გაზი და იქნება თუ არა საქართველოზე პოლიტიკური ზემოქმედების ბერკეტი. რაც შეეხება გაზის მაგისტრალებს, აქაც სახელმწიფო უშიშროების და უსაფრთხოების სტრუქტურები უნდა იყვნენ ფხიზლად. მიმაჩნია, რომ თუკი იაფ და კალორიულ გაზს სხვადასხვა წყაროდან, თუნდაც რუსეთისაგან მივიღებთ, ეს ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე გაკეთდება.

– ისე, ბატონო ვაჟა, „ოცნების“ დაპირებული „მეოთხე და საუკეთესო წელი“ დაიწყო...

– 9 უმძიმესი წლის მერე, არსებითი გაუმჯობესება მოსალოდნელი არ იყო. პირადად მე, არასოდეს მჯეროდა წინასაარჩევნო რიტორიკის. ზვიად გამსახურდიას არ დასცალდა დანაპირების შესრულება, შევარდნაძემ შეძლო ის, რაც შეძლო, სააკაშვილმა უმძიმეს სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში დატოვა ქვეყანა და მის მერე მოსული ხელისუფლება მცირე დროში რას გააკეთებდა, როცა ქვეყანაში არ არის ეროვნული თანხმობა, პრაქტიკულად, საომარი მდგომარეობაა, მაგრამ „ქართულ ოცნებას“, რა თქმა უნდა, მეტი ეკონომიკური წინსვლა და ისიც მართებდა, რომ დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების თვალსაზრისით, მეტი შედეგები ჰქონოდა.

– დაპირებულ გაზრდილ პენსიაზე რას იტყვით?

– რეალურად, დაპირებული პენსია 100 დოლარი უნდა ყოფილიყო, რაც პენსიონერებისთვის კარგი იქნებოდა, მაგრამ მაშინ ვერ დაფინანსდებოდა საყოველთაო ჯანდაცვა, რომელმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე იხსნა. „ქართულ ოცნებას“ პიარტექნოლოგიებში უამრავი ხალხი ჰყავს დასაქმებული, მაგრამ მის მიერ გაშუქებული თემები იმდენად უსუსურია, რომ საცოდაობით დაიწვები.

ვაჟა ბერიძე: „ოცნების“ მიერ გაშუქებული თემები იმდენად უსუსურია, რომ საცოდაობით დაიწვები!“

– „ენ-დი-აი“-ს ბოლო კვლევებიც „ოცნების“ რეიტინგის დაცემაზე მიანიშნებს...

– ჩვენ მიკარგული ბანტუსტანი კი არა, საკმაოდ გათვითცნობიერებული და განათლებული ერი ვართ. ამ ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევა საზოგადოებრივ აზრს კი არა, მონიტორინგს გამოხატავს, რომელიც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისკენაა მიმართული. „ენ-დი-აი“ აშშ-ის ადმინისტრაციის იმ ადამიანთა ინტერესს გამოხატავს, ვინც მხარს „ნაციონალებს“ უჭერენ. მათი აზრით, პირველი ადგილი „ნაციონალებისაა“, მეორე – „ქართული ოცნების“, დანარჩენი კი, მათ მიერ „პრორუსულად“ შეფასებული პარტიებია.

– ბატონო ვაჟა, „ოცნების“ მიერ დაპირებული 100 ქარხანა არსებობს?

– „ოცნება“ ფიქრობს, რომ 100 საწარმო უკვე ფუნქციონირებს, ვისაც სჯერა, რომ ეს 100 საწარმო დაფუძნდა, ხმა „ოცნებას“ მისცეს, ვისაც არ სჯერა – სხვას.

– ...„რუსთავი 2“-ის გარშემო მიმდინარე მოვლენები ბევრს ხელისუფლების დასასრულად მიაჩნია. თქვენც ასე ფიქრობთ?

– „რუსთავი 2“ ვიწრო პარტიული ინტერესების გამომხატველი ტელევიზიაა, მაგრამ აქვს უფლება, ასეთი იყოს და ისეთი საინფორმაციო პროგრამები აკეთოს, როგორსაც აკეთებს. აქ სასამართლომ უნდა იმარჯვოს და სამართლიანი განაჩენი დააყენოს. შესაძლოა, ხალვაშს და ხელისუფლებას საერთო ზრახვები აქვთ, მაგრამ ამის გამო, დესტაბილიზაციის მიზნით, ქუჩაში ხალხის გამოყვანა არც „რუსთავი 2“-ის მესვეურებს ეკადრებათ და არც – „ნაციონალებს“, რომელთაც ექსტრიმი უყვართ და არჩევნებსაც ამით იგებენ.

მართალია, დღევანდელი სასამართლო სააკაშვილის რეფორმირებულ მართლმსაჯულებას არ ჰგავს, რომელიც პროკურატურის მიერ იმართებოდა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ხელისუფლება მის მუშაობაში რაღაც დოზით ისევ ერევა და ზემოქმედების ბერკეტებსაც ფლობს, თუმცა ამას მასობრივი ხასიათი არ აქვს. თავის დროზე მიხეილ სააკაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის წინააღმდეგი ვიყავი, რადგან მიმაჩნდა, ქართულ მართლმსაჯულებას ის კვალიფიკაცია არ ჰქონდა, რომ რეზონანსული საქმეების გამოძიება შესძლებოდა. ქიშმირის პალტოებზე დავას ჯობდა, საქმე სართოდ არ დაწყებულიყო. დასავლეთი კი, ასე ადვილად არ დასთმობს სააკაშვილს, რომლის გამოზრდაშიც უამრავი ფული დახარჯა.

– ივანიშვილი დასავლეთისთვის მიუღებელია?

– არ ვიტყვი, რომ მიუღებელია. ივანიშვილი მენტალობით ევროპელია, ეროვნებით – ქართველი და მილიარდერი. ამით ყველაფერი ნათქვამია. არ მგონია, ამდენ ფულს იმისთვის ხარჯავდეს, რომ საქართველო რუსულ ორბიტაზე დააბრუნოს.

– დასავლეთის ლიდერები „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში მოყვანას შეეცდებიან?

– არ მგონია, დასავლეთი ასეთი გულუბრყვილო იყოს. მან კარგად იცის, რომ „ნაციონალებს“ ქართველი ხალხი ხელისუფლებაში ვეღარ აიტანს. ჩვენ თავად უნდა მივხედოთ ჩვენს პოლიტიკურ სპექტრს და გემოვნებას. უნდა დასრულდეს გაუთავებელი პროცესი – ხალხის მტრებად და მოყვრებად დახარისხება. ხანდახან მიმაჩნია, რომ პრორუსულობა სარფიანი საქმე და გრანტების მიღების წყაროა. იმასაც ვიტყვი, რომ ბევრმა პროდასავლური ლოზუნგით მოსულმა პარტიამ უფრო რუსული საქმე გააკეთა, განსაკუთრებით, 2008 წლის ომის პერიოდში...

ესაუბრა ნათია გოგიტიძე

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ᲛᲐᲜᲐᲡᲘ ᲡᲢᲔᲞᲘᲡ ᲝᲓᲘᲡᲔᲐ

ყოველ ერს აქვს თავისი მთავარი წიგნი, ქვეყნის უკვდავების ნიშანსვეტი. ყირგიზი ხალხისთვის ასეთია ეპოსი „მანასი“, რომელსაც იუნესკო-მ „სტეპის ოდისეა“ უწოდა. მე-11 საუკუნის შედევრი მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. „ქართული სიტყვა“ პირველად გთავაზობთ პოემის ქართულ ვარიანტს, რომელიც მაყვალა გონაშვილმა თარგმნა.

ჰეი, ისმინეთ ძველი ამბავი,
დღესაც რომ სულებს წამლად ედება,
ყირგიზი ხალხის გულის ნაჟური,
ყირგიზი ხალხის შემოქმედება.
როგორც ანდერძი მამიდან შვილზე,
ბაგიდან-ბაგეს ეფინებოდა
და სიზმარ-ცხადის უცხო ერთობა
უკვდავ თქმულებად იბადებოდა.
ამქვეყნად უკვე აღარ არიან
შორებულ წელთა მოწმე-მნახველნი,
სიმართლე იცის მხოლოდ უფალმა,
კურთხელ იყოს მისი სახელი.
როგორც მუჭიდან მზისფერი ქვიშა,
ჩამოიმარცვლა წელი მრავალი,
ბევრი ტბა დაშრა, ბევრი მდინარე,
წლებმა იცვალეს გზა და სავალი.
იყო ომები, სისხლის წვიმები,
ბევრჯერ გაცაწყრა დედაბუნება,
მაგრამ ვერც ცეცხლმა, ვერც ქარიშხალმა
ვერ გადაშალეს ძველი თქმულება.
თქმულება – ხალხის სულში ნაშობი,
თქმულება – პირმშო სისხლიან წლების,
ჰიმნი გმირობის და სიმამაცის,
გამარჯვების და თავისუფლების.
გულით ატარა ყირგიზმა ხალხმა
ხსოვნა ლომგულის და ზნეკეთილის,
როგორც სიმღერა გამარჯვებისა,
გრანიტის ქვაზე ამოკვეთილი.
ათასი წლის წინ დევნილ ყირგიზებს
იქ ცივ ციმბირში მოხეტიალეს,
ლომგულის ძალა შეკრიბავს ერთად,
ლომგულის ძალა აერთიანებს.
აი, ვინ იყო გმირი მანასი,
მახვილი მჭრელი, როგორც ალმასი,
ყირგიზი ხალხის დიდი სარდალი,
სხვა არვინ იყო მისი სადარი.
მან გაილაშქრა ჩინთა მხარეში,
ალაგმა მტერთა რბევა-თარეში.
მანასის საქმე ლეგენდად თქმული
უნდა ვადიდო, დამიგდეთ ყური!

ᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲚᲝᲝᲙᲔ ᲮᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐ

ჰეი, ყური მომაპყარით,
ძველად, თურმე ყველა ყირგიზს
გულს ეწერა: – გაფრთხილება
უნდა ადათს, წმინდა ყიზირს.
ყირგიზ ხანთა ჯილაგს ნერგი
გაუხარა ყარამხანმა
და მის რტოებს ვერაფერი
ვერ დააკლო დრომ და ხანმა.
ბუმბერაზი ყარამხანის
შვილი იყო ოგუსხანი,
მის შვილს ერქვა ალანჩა და
შვილიშვილს კი ბაიგურხანი.
შვილთაშვილი ბაბირხანი
მისი ვაჟი – ტებეიხანი,
ტებეიხანს შეეძინა
მზის სადარი ყორგეიხანი.
ყორგეი ხანს ღმერთმა მისცა
სამი ვაჟი – ლომთა დარი,
შიგაი და ჩიირხანი
და უმცროსი ნოგოიხანი.
ოთხი შვილის მამა გახდა
გმირთა-გმირი ნოგოიხანი,
ძენი მისი: უსენ ბაი,
ოროზდუ და ჟაკიპხანი.
არვინ იყო მათ მხარეში
ნოგოი ხანის შესადარი,
უშიშარი, ვით უხორცო,
სწრაფი, როგორც ნიავ-ქარი.
ჩინელთათვის, მონღოლთათვის
იყო რისხვა, იყო ზარი
მშობლიური მიწისთვის კი –
გულმამაცი ალამდარი.
მაგრამ როცა ზეცას სული
მიაბარა ნოგოიხანმა
მტერმა გულით გაიხარა,
მტერმა აღარ დაახანა.
მონღოლებმა, ჩინელებმა
ბოღმა ვეღარ დაიოკეს
და მეომრებს წინ წარუძღვა
თავგასული ალოოკე.
გაახვია ცეცხლის ალში
სახლები და იურტები
ბევრი ქალი დააქვრივა,
ამოხოცა ჯიგიტები.
გაიტაცა ქალწულები,
ცხენთა რემა, ცხვართა ფარა
და ყირგიზთა სამოსახლო
შავმა ფერფლმა გადაფარა.
მზე ღრუბლებმა დაატყვევა,
სიხარულის სხივი ჩაქრა,
და გამეფდა სახანოში
სიღატაკე, ტანჯვა, ჩაგვრა.
ჟაკიპს უთხრა ბაიმ, – ძმაო,
თუმც დაგვრია დარდმა ხელი,
უკვე დროა, მოვარჯულოთ
სისხლისმსმელი აკბაელი.
ქალებივით ჩვენს მეომრებს
ამოევსოთ ცრემლით თვალი,
სიკვდილი ან გამარჯვება
ვაჟკაცების არის ვალი.
მომხდურს როდი შეაშინებს
ალმაცერად, კუშტად ცქერა,
ვიხმოთ ყველა, ვისაც ძალუძს
იარაღის ხელში ჭერა.
შეიკრიბნენ მეომრები,
წინ მიუძღვით აკბალტაი,
მზად არიან ჭაბუკები
სამშობლოსთვის დასდონ თავი.
დაადევნეს ლაშქარს ლოცვა,
დაე, იყოს უფლის ნება:
მტერს სიკვდილი, თქვენ სიცოცხლე,
შინ მშვიდობით დაბრუნება.
ყანგაელმა დიდვაჭრებმა
ნაალაფარს ხელი ჰკიდეს
და აქლემებს ხურჯინებით
ოქრო-ვერცხლი გადაჰკიდეს.
დატვირთული ქარავანი
ჩინეთისკენ მიდის ნელა,
აღარა დგას მზე შუბისტარს,
დასალიერს გადიწვერა.
მეომრებთან ერთად ვაჭრებს
ჟაკიბი და აკბალტ-ხანი
წინ დაუხვდნენ და წაართვეს
ნაალაფარ-ნაოხრალი.
მაგრამ ვაგლახ ალოოკემ
მათ მდევარი დააწია
და მამაცი ყირგიზები
ცეცხლის რკალში მოაქცია.
ახალგაზრდა თუ მოხუცი,
ყველა ეგდო დაისრული,
მზეც გაშავდა ცაზე, თითქოს
იყო ქვეყნის დასასრული.
მამების და ძმების თვალწინ
ნამუსს ხდიდნენ ქალიშვილებს
და დედების დასანახად
ცეცხლის ალში ყრიდნენ ჩვილებს.
მომხვდურებმა ყირგიზების
ხოცვა-ჟლეტით გაიხარეს,
ვინც გადარჩა, გაიფანტა
დედამიწის ოთხსავ მხარეს.
ზოგი ბაპანის მხარეში,
ზოგი კიდევ ალტაიში,
მიჰყვებოდათ დევნილთ გზა-გზა
მწუხარება, ცრემლი, შიში.
ზოგი ერენს მილასლასდა
და ზოგი კი – ყანგაიში.
ხელ-ფეხ შეკრულ ბეჩავ უსენს
არ უხსნიდა კრიჭას დანა
და ჩრდილოეთ ორხანში მან
სული კბილით მიიტანა.
მტერი ყირგიზების მოდგმის
ამოძირკვას აპირებდა.
ბაი ციმბირში გაიქცა
ენისეის ნაპირებთან
და ნოგოის უმცროს შვილებს
ერგოთ ხვედრი მაწანწალის,
ნატვრად ექცათ ჟაკიპს, აკბალტს,
მშობლიური მიწა-წყალი.
არვინ ჩანდა დევნილების
თანამოძმედ, შემწედ, მცველად
იქ, ჩრდილოეთ ალტაიში
იურტები დასცეს ველად.
და არწევდა ცივი ქარი
გადარჩენილ ორმოც კარავს,
კაცთა ხელით შერისხულებს
ბოლოს ღმერთი დაიფარავს.
ყალმუხებს და მანჟუელებს
უმწყემსავდნენ ფარას, რემას,
ჯალაბს უნდა გამოკვება
ჯილაგს უნდა გადარჩენა...
და ერთხელაც აკბალტ-ხანმა
დაკლა თავის რუხი ხარი,
მიიწვია ყირგიზები
ნატანჯნი და ნაოხარნი.
უთხრა: – „ძმებო, გვეყო ტანჯვა,
გვეყო ძრწოლა, გვეყო შიში,
გავიხსენოთ ძველი ყოფა,
მონობისთვის როდი ვიშვით.
შრომის ჟინით, თავდადებით
სავსე არის თქვენი გული,
ამ კურთხეულ ალტაიში
მოვიყვანოთ მარცვლეული.
ჩვენც ვიკვებოთ, საქონელიც
გავასუქოთ, გამოვკვებოთ
მარცვალი – ოქროდ ვაქციოთ
და ნამჯა კი – ყვითელ ერბოდ.
კმარა, ძმებო, მტერი ჩვენზე
მეტად აღარ გავაცინოთ,
სიღატაკე დავამარცხოთ,
იურტიდან გავაქციოთ.
დავივიწყოთ გარდასული
ჟამი კრული, ნაომარი,
გავაჩაღოთ ველად შრომა
დატრიალდეს უფლის თვალი!“
„მართალს ამბობ, ნუ ვიქნებით,
მსახური და სხვისი მონა:
– თქვა ჟაკიპმა, აკბალტს ბრძნული
დარიგება მოუწონა.
გაზაფხულზე ყირგიზებმა
ხელი სტაცეს თოხებს, ბარებს
და მარცვალი გულუხვ მიწას
მკათათვემდე მიაბარეს.
აშრიალდა პურის ყანა
აბიბინდა მწვანედ ახო,
ფეტვის სასმელით გაბრუვდა
ყალმუხების სამოსახლო.
შემოდგომა იყო უხვი,
შემოდგომა იყო სავსე,
ყირგიზებმა მანჟუელებს
პური მისცეს, რახი ასვეს.
რა ყოფილა პურის გემო,
პურის უცხო სურნელება
და ყირგიზებს დიდი ხვეწნით
ასე სთხოვეს ყალმუხებმა: –
„ოქროს ზოდზე გაგვიცვალე
თუნდაც ერთი მუჭა ფეტვი,
ხორბალში კი კვიცს გთავაზობთ,
სხვა რა გინდათ ნეტა მეტი?“
არც რა სურდათ, ოქროს ფასად
ალტაელებს რახი ასვეს
და სკივრები სულ პირთამდე
ოქრო-ვერცხლით ამოავსეს.
ხორცს ჭამდნენ და სვამდნენ კუმისს
ერთი ცხენი ექცათ ასად,
ჰო, ალტაის მადლიანმა
მიწამ შრომა დაუფასათ.
კარგმა ყოფამ დაავიწყათ
დევნილობის მწარე განცდა,
ჟაკიბ-ბაი სხვებზე უფრო
გამდიდრდა და გადიდკაცდა.

ᲒᲝᲚᲘᲐᲗᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲐ

ჟაკიბ-ბაის სისხლი-ხორცი
ძმა-ჩიირი გარდიცვალა,
მისი ცოლი, მისი წყვილი
მზე-შაქანი დარჩა ცალად.
სიკვდილს ვერვინ დაამარცხებს
ვერ წაუვა ბედისწერას,
ჟაკიბ-ბაი დიდი ძღვენით
მიდის ქვრივის სათხოვნელად.
ქალის მშობლებს რა არ უთხრა,
რა ეხვეწა, რა ეაჯა...
მაგრამ თუკი მდიდარი ხარ,
არ გჭირდება ბევრი გარჯა.
მშვენიერი ქვრივი თავის
იურტაში წაიყვანა,
მოილხინა, სხვაც ალხინა
კარავს სხივმა დაივანა...
ქალი იყო პირად ბადრი,
ოქროდ ღირდა მისი ნახვა,
ჟაკიბმა ძმის ხსოვნის ნიშნად
ცოლს ჩიირდი დაუძახა.
ერთხელ ცოლმა ჰკითხა ჟაკიპს,
მითხარ, რატომ ბორგავ ძილში,
შენ სხვებივით როდი გაკრთობს
სიღარიბის დარდი, შიში.
მთებს აბნელებს შენი ფარა,
ბეღელი ვერ იტევს ხორბალს,

შენს ნებაზე ატრიალებ
ახლობელთა ბედის ბორბალს.
საქონელი სიმსუქნისგან
უკვე წელში იზნიქება,
რაზე დარდობ, რაზე ოხრავ,
თვალი ცრემლით რად გევსება.
ქალს ჟაკიპმა უპასუხა,
ოხრად მრჩება ყოველიო,
ოქრო-ვერცხლი რისთვის მინდა,
ცა – სიუხვის მთოველიო.
მე არა მყავს ძე – ასული,
ამ დარდს როგორ მოვერიო?
ბედისაგან მე ბეჩავი
სიხარულს არ მოველიო.
ძილ-ღვიძილშიც ამას ვფიქრობ,
ვერ გავექეც შავბნელ დარდებს,
ნეტავ, ვისთვის გავჩნდი ქვეყნად?
ნეტავ, რისთვის დავიბადე?
მოვხუცდი და ამ ცხოვრების
მე სამსალა თითქმის შევსვი.
ცოლმა უთხრა – „მე, ბეჩავმა
ვერ ვახარე თქვენი ფესვი.
შენი ჯიშის და ჯილაგის
გადამწვარა თითქოს ყანა,
რომ გაჩუქოს შვილი, იქნებ
ერთი ცოლიც მოგეყვანა“.
„ყირგიზ ხალხის ერთი შტო ვართ,
გადმოსული ალტაიში
ჯერ არ ვითვლით შვიდ თაობას,
სწორედ მიტომ მიპყრობს შიში,
მე საკუთარ გვარ-ტომიდან,
ცოლი როგორ შევარჩიო?
სისხლი სისხლს რომ შეერევა
იქნებ გონჯი გამიჩინოს.
თუ არა და აქაური
ცოლი როგორ მოვიყვანო,
ჩუქჩების თუ ჩინელების
გვარი როგორ გავახარო?
ცოლმა უთხრა: – „არ იდარდო,
მე მომანდე ეგ საქმეო,
ვკითხავ მე შენს ნათესავებს,
ქალს შეგირჩევთ სანაქებოს.
და ჩიირდიმ საპატარძლოს
ძებნა როდი დაიზარა,
შეარჩია მან მდიდარი
ყალმუხების ნაბოლარა.
მოიყვანეს იურტაში
მზის სადარი ბაკდოლეთი,
სუფრა იყო სანაქებო,
მოწმე არის თავად ღმერთი.
გადიხადეს ყალიმი და
სამი დღე და ღამე სვამდნენ
და ყალმუხებს ყირგიზები
ასე დაუნათესავდნენ.
ორი ცოლი, მშვიდი, წყნარი,
თუმც მიაჩნდა თვალთა ჩინად,
ოთხი წელი რომ გავიდა,
ბაიმ ასე დაიჩივლა:
„მოწყალეა თუმცა ბედი,
მაინც მრჩება ნატვრა ერთი,
ხსნას ამაოდ ველოდები,
შვილს არ მიჩენს ბაკდოლეთი.
გალოკილი თითივით ვარ,
მე უშვილოდ რა ვარ, ვინ ვარ?
აქ ნუგეშად არვინ მრჩება,
საიქიოს ისე მივალ...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

6 № 41 (305) 21-27 ოქტომბერი

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲔᲢᲠᲝ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲞᲠᲝᲖᲐ

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲠᲝᲑᲐᲥᲘᲫᲔ

ᲤᲐᲚᲔᲡᲢᲠᲐ

(ᲓᲐᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ)

ᲙᲐᲛᲐᲠᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

კარგია, როცა გაზაფხულის პირი ვაჟკაცის სხეულში ჯერ კიდევ მწიფობას აგრძელებს. ასე ფიქრობს ადოლფ უნგარ. უფრო კარგია, როცა მწიფობის ხანა ნადირის ჯანმრთელობით მიდის.. ადოლფ უნგარს სირაქლემას კუჭი აქვს და არაბული ცხენის გული. რა უნდა მასთან მოდუნებას ან მელანქოლიას? ტანი მისი დაქნილია და მაგარი. მას შეუძლია სამ მილზე გასცუროს მდინარე. კუნთები მისი დახვეწილია და ძარღვები დათასმული. აი ახლაც, როცა იგი ავტოს მიაქანებს, ამ მწვანე მუდოს ლითონისას, რომელიც მას ერთმა განთქმულმა ფირმამ უთავაზა, ახლაც დაძაბულია იგი სიმახინჯით. ტყუილად არ უთხრა მას ერთმა ლამაზმა: ინგლისელი ლორდი „შოფერის“ რელიეფით. მაგრამ ადოლფ უნგარ „შოფერი“ არაა: იგი კინორეჟისორია.

ადოლფ უნგარ თვითონ მართავს მანქანას. მას უყვარს დიდი ქალაქის გახურებული რიტმები. ქუჩები: თითქოს გაფისული სარკეები, საცა ლეგა ნისლები ისახებიან. პარალელები და პერპენდიკულარები. კუბები და კვადრატები. ხიდები და ვიადუკები – თითქოს რკინაბეტონის ცისარტყელები. მეტროს ხვრელები, საცა ლითონის მხეცები ისე შიშინობენ, თითქოს წინათგრძნობენ უცაბედ ეპილეპსიას. ომნიბუსები – როგორც გახელებული პოლიპები. ტაქსები–ტაქსები უთვალავი: გაქანებული წერტილები ლითონის ჭიანჭველების. ყველაფერი ეს უყვარს ადოლფ უნგარს. ერთმა პოეტმა ქალაქის რიტმებში „მექანიკის მალიარია“ იხილა. მაგრამ ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტში სათანადო ინსტრუმენტით მალიარიას რომ დაინახავ, უფრო ყავავილოვანს და უფრო ფანტასტიურს, სხვას ვერას წარმოიდგენ. ეს იცის ადოლფ უნგარმაც. ხედავს იგი მრავალსართულიან სახლებსა და ეკლესიების მაღლა აზიდულ გუმბათებს – და ჰგონია: თითქოს უზარმაზარი ხომალდები დაყუდებულან ოკეანეში. ქალაქს ნისლი დასწოლია – და ელექტროს ღვარებში გალეშილი – იგი მართლაც ოკეანეს წაგავს განათებულს (თუ ატეხილ ლებიათანს?).

ადოლფ უნგარ ქალაქში ავტოს მიაქანებს. მას უყვარს ეს უწყვეტი დენა მასების. ბევრისათვის ეს მასები ანგრეული ბუდეებია ჭიანჭველების. მაგრამ ადოლფ უნგარმა იცის, რომ ხანდახან კარგია ჭიანჭველობაც და არ უცხოობს იგი ამ ბუდეებში გასვლას. იგი სიამესაც გრძნობს, როცა ერთვის მასების დენას. თითქოს მოსცილდა საკუთარ მეს, არა, „მოსცილდა“ კი არა, „დაშორდა“ მხოლოდ, და ჭიანჭველის ინსტინქტით იკვლევს გზას. ეს ინსტინქტი კი უტყუარია. ადოლფ უნგარ, ჭიანჭველად ქცეული, სომნამბულას ემსგავსება, რომელიც უფსკრულისპირას უშიშრად გაივლის. გაღვიძება მას კიდეც ავნებს. ეს სიმარჯვე, როცა „მოქნეული“ არ სცილდება „მოზომილს“, კიდევ უფრო იზრდება, როცა რომელიმე მატერიალურ სხეულს ხარ შეხორცებული, რომელსაც თვითონ ამოძრავებ. ასეთი სხეული ავტოა, რომელიც „შოფერს“ კი, მარა შენ მიგყავს. ეს საიდუმლო დინამიზმია და ჯარგად იცის ადოლფ უნგარმა. აი ახლაც, როცა იგი „შოფერობს“ თვითონ, ფიზიკური ძალის ტკბობით არის აყვანილი. ადოლფ უნგარ ავტორს ეხორცება. მისი „მე“ კი სადღაც შორს რჩება და ამ სიშორიდან ფიქრების დენას მზერს.

კინორეჟისორი განზე იხედება. სააფიშე სვეტზე მოსჩანს დიდი პლაკატი: ცხენს მიაჭენებს თმაგაშლილი ქალი. პლაკატს აწერია დიდი ასოებით „ფალესტრა“. ადოლფ უნგარ ფილმს ამზადებს ამორძალთა ცხოვრებიდან. „ფალესტრა“ ამორძალთა დედოფალია. იგი ომისათვის ემზადება ალექსანდრე მაკედონელის წინააღმდეგ მცირე აზიაში. მზადაა ყველაფერი. ტანკვრივა ქალები ილესებიან. კიდევ უფრო მათი ხმლები. მაგრამ დედოფალი იმღვრევა: გუნება თუ ეცვლება. მზიურ ახლოვდება სახელი მაკედონელის. ფოლიპის ძე, ბუცეფალზე მჯდარი, უძლეველი მხედარი და ყველა კიდურის გადამლახავი, ფალესტრას წინ ესახება, როგორც მზის შვილი ნამდვილი. მზიურ ახლოვდება სახელი მაკედონელის და დედოფლის გული ფეთქს უჩვევი გზნებით და უცხო ნდომით. მზის შვილს შეუძლია მზიურ მოხიბლოს ქალი. ამას გრძნობს ფალესტრა და ამორძალის თეძოებში ქალი იღვიძებს, იგი უთვლის ალექსანდრე დიდს: მსურს ვიქმნე შენგან ორსული, ამორძალები ამხედრდებიან, მაგრამ უდრეკია ნება დედოფლის, მაკედონელი იღიმება: თანხმდება და მიეშურება დედოფლის მიმართ... ადოლფ უნგარ ამ შეხვედრის გარშემო ავლებს ფიქრებს. ფილმში მთავარი ეს უნდა იყოს. შვიდასი ქალი შვიდასი ცხენით მზადაა უკვე. შვიდასი ქალი ყველა რასის და ყველა სტილის. ყველა მოხდენილი და ლამაზი. მაგრამ ამორძალთა დედოფალი რეჟისორს ვერ უპოვნია. ქალი, რომელშიც სრულყოფილია თითქოს მთელი სქესი ქალთა და რომელიც ეომება ამავე დროს კაცების კლანებს. ქალი, რომელსაც ვერ ძლევს სიყვარულით ვერა რომელი ვაჟი, ასეთი ქალია ფალესტრა, რომელიც მხოლოდ ერთხელ უღალატებს ამორძალთა ადათს, რომ ქალწულური მკერდი უომრად გადაუხსნას ფილიპის ძეს. ასეთი ქალი ადოლფ უნგარს ვერ მოუნახავს.

უკვე შეღამდა მაგრად. უნგარ უზარმაზარ ბულვარზე ავტოს მიაქანებს. შორიდან მოსჩანს კაფე, როგორც ყღალყვითელა თვალები იზიდასი. უნგარმა მიაყენა კაფესთან ავტო. გადმოხტა. შევიდა კაფეში. კაფე აქათქათებულია თეთრი, რბილი ელექტროს სინათლით. მთავარი ფერი კაფესი ორანჟიია. აქ იკრიბებიან: არტისტები და რეჟისორები კინოსი და თეატრის, პოეტები, მხატვრები, მუსიკოსები, მოქანდაკენი, სტუდენტები, მონდენები ბოჰემის მოყვარულნი, დემიმონდენები, ემიგრანტები, ჟურნალისტები. ადოლფ უნგარ მიდის მაგიდების რიგში. აქა-იქ გაისმის ჩურჩული: „ადოლფ უნგარ“, „ადოლფ უნგარ“. უნგარს თითქოს არ ესმის ეს ჩურჩული, მაგრამ არ შეიძლება არ შეამჩნიონ მის შუბლს სიამე. ქალები მას „ქალურ“ უცქერენ. უნგარ გრძნობს „ამ“ ცქერას და ტანში იწურება. მიიხედ-მოიხედა: თითქოს ვიღაცას ეძებს. „ჰაა“ – და ერთ მაგიდას მიაშურა კუთხეში.

„გაიცანით: მოსიე პელეტიე!..“

„ჰერრ უნგარ!..“

ამბობს დამხვდური. იგი ოცდაათი წლის თუ იქნება. ბალკანის ტიპს წააგავს. გრძელი თმა, შავი, საშინლად აბურდული. სახე – ნაოჭებად ქცეული (საკვირველია, პირს როგორ იპარსავს). თვალები ყღალი, საცა იშვიათად ელვარი კიაფობს.

„ჰერრ პეტერეც!.. მაპატიეთ.. ცოტა დამაგვიანდა“...

ეუბნება უნგარ და მაგიდას უჯდება.

„არაფერი... თქვენს მოსვლამდე მე და ჩემი მეგობარი „ფალესტრაზე“ ვბაასობდით.. სწორედ იმ საკითხზე, თქვენ რომ გაინტერესებთ“...

პელეტიე, ჩასხმული და ოდნავ ჩასუქებული, მუსიკოსი და ქორეოგრაფი არის. თაფლისფერ თვალებს ცოტა მოდუნება ეტყობათ, პელეტიე ძვირად ლაპარაკობს.

მაგიდასთან უძრავად დგას გარსონი, როგორც ნაცადი დიპლომატი და უცდის დაკვეთას. ფრაკი ოდნავ „შელანძღულია“.

„მაგარი ყავა და მარტელი“...

უკვეთს უნგარ. გარსონი მიდის.

პეტერეცს რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ ამ დროს ორკესტრიდან „ჩარლსტონ“ გაისმის. მაგიდები იშმუშნებიან: თითქო რაღაც ხელუხლები და თანვე მატერიული, მწვავე და ტკბილი, გადაეშვა უეცრად მათში. ქალები და ვაჟები ერთიმეორეს ეკვრიან და ცეკვავენ გახელებით. დირიჟორი, კაცი პატარა, სემიტის ტიპის, შარვალჩაფუშული ოდნავ, უკრავს ვიოლინოს. და, თითქო მოხეთქილ რიტმებს ველარ უძლებს. ირხევა და იკრუნჩხება შეკავებული ცეკვით. ზალის შუაგულში ქალები და ვაჟები ცხოველურ ნეტარებით ერთიმეორეს ეტმასნებიან. ფეხები კი განაგრძნობენ ატრიალებულ ძაგძაგს. მოსჩანან ფეხები, მარტო ფეხები, ქალების ფეხები. კაბები მოკლეა და მუხლებამდე არ წვდებათ. ფეხები თეთრ ნაკვერჩხალისფერ ქსოვილშია და ტიტვლად მოსჩანან.

„ტიტველი კანჭები... ტიტველი მუხლები... ეს დროის ნიშანია“...

იძახის პეტერეც.

– „როგორ?..“

„ქალთა სიტიტვლე ეპოქის სტილს სახავს.. არა, მოსიე პელეტიე?.. ეს თქვენ ჩემზე კარგად უნდა იცოდეთ“...

პელეტიე არას ამბობს. პეტერეც აგრძელებს:

„ეპოქის სტილი სენსუალობაშია და სენსუალობა სიტიტვლეში... მაგრამ არა სრულ სიტიტვლეში... ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ქალები სავსებით გატიტვლდნენ... მაშინ ვინღა მიეკარება მათ? არა, ჰერრ უნგარ?.. ჰა, ჰა, ჰა“...

იცინის პეტერეც და აჩენს ჩაყვითლებულ და ჩამძვრალ-ჩატეხილ კბილებს. ყღალ თვალებში ხშირია ახლა ელვარი. პეტერეც პათოსით ლაპარაკობს. მის პათოსს თითქო მისი თმებიც იზიარებენ, ერთ ალაგს რომ არ დგებიან. პეტერეც ისწორებს ურჩ თმებს წამისწამ გაფშეკილ ხელით, რომლის გრძელ თითებზე მოსჩანან გრძელი ფრჩხილები, თითქოს ძაღლის ქაცვები. პეტერეც იცინის. უნგარ და პელეტიე იღიმებიან.

„არა... ქალებმა ჩვენზე უკეთ იციან „ეს“ და მხოლოდ დონეზე ტიტვლდებიან... ტოლსტოი ხელოვნების ჯადოსნობას „ოდენზე“ ამყარებს... ქალები თავის ჯადოქრობას „ოდენი“ სიტიტვლით ჰქმნიან... გარჩევა მხოლოდ იმაშია, რომ ამ „ოდენის“ მოზომვაში ხელოვანთ ქალები სჯობნიან... არა, მოსიე პელეტიე...“.

პელეტიე წითლდება და იღიმება. უნგარს სურს რაღაც დაუტოვოს, მაგრამ პეტერეც აცლის ლაპარაკს.

„უწინ ქალების სიტიტვლე ყელიდან, ახლა ფეხებიდან იწყება... სტილთა სხვაობა აქაა მოქცეული... ყელიდან დაწყებული სიტიტვლე რომანტიზმის ხაზი იყო. რომელიც სენსუალობაში გადადიოდა უმჩნევად... დღეს სიტიტვლე ფეხებიდან იწყება და ღმერთმა იცის რაში გადადის... დღეს ეპოქის ნიშანი ეს ტიტველი კანჭებია და ტიტველი მუხლები. აფიშებზე – ტიტველი კანჭები, ჟურნალებში – ტიტველი კანჭები. ყველგან ქალის ფეხები: პაპიროსის კოლოფზე, წიგნის ყგაზე, საცვლების რეკლამაზე... არა არის ეს დროის ნიშანი? ეს ღირს სოციოლოგიურ კვლევად“...

განაგრძნობენ „ჩარლსტონს“. ქალები და ვაჟები ეკვრიან ერთმანეთს და გახელებით ცეკვავენ. პეტერეც მათ უყურებს, და უეცრად, თითქოს ახალ თემას მიაგნო, აგრძელებს სიტყვას:

„მარტო სიტიტვლე ბევრს არას ნიშნავს... ხოლო სიტიტვლე ცეკვასთან – ეს კი ყველაფერია... არა, მოსიე პელეტიე?.. შეხედეთ ამ ფეხებს, როგორ ხტიან... აქაა ჩვენი დროის საიდუმლო მოცემული... ისე ხტიან ეს ტიტველი ფეხები, თითქო ბზიკებმა დაჰკბინეს... ხტიან ხალისით, ხტიან ვნებით... ხტიან ცხოველურ, მაგრამ ვნებაში აღარ არის უშრეტობა.. თითქო დაშრეტას ელიან სხეულები და მისთვის ხტიან ასეთი გამძაფრებით... ელექტროს ლამპა დაჰქრობის წინ საშინლად განათლდება ერთი... ამ ცეკვაში ვნების დაშრეტის წინასწარი გზნებაა უთუოდ... მისთვის ხტიან ეს ფეხები ასეთი გამწარებით... ეს უტყუარი ნიშანია „ბოლოსი“... „ბოლოს“ გზნება ტკივილია და სიტკბო ერთსა და იმავე დროს: თითქოს ელექტროს ხაზმა გადასერა სხეული... დიახ, აქ არის რაღაცის ბოლო... რად უნდოდა შპენგლერს ამხელა წიგნის დაწერა... საკმაო იყო ეს ცეკვა და ეს ფეხები აეწერა... არა, მოსიე პელეტიე?..

პელეტიე არას ამბობს. მხოლოდ იღიმება. პეტერეცს შეკითხვა პაუზისთვის სჭირდება. იგი მონოლოგისტია დაბადებით და თვრება მონოლოგით.

„ტყუილია, ვითომ ადამიანი წარმოიშვა მაიმუნისაგან“...

იწყებს პეტერეც, თითქო სხვა თემაზე გადახტა. უნგარ და პელეტიე მონოლოგისტს ოდნავი გაკვირვებით აჩერდებიან. პეტერეც იღიმება და აგრძელებს.

„უფრო მართალია ჰიპოთეზი, რომ თვითონ ადამიანი გადაგვარდა მაიმუნად... დიახ, მაიმუნი დეკადენტია... ჰა, ჰა, ჰა“...

ადოლფ უნგარ სარგებლობს პეტერეცის სიცილით და ეკითხება გაოცებით:

„ეს რა შუაშია?.. ეს ანალოგია მხოლოდ... სიცრუეა, ვითომ ზანგი, რომელმაც ეს რიტმები მოიტანა ევროპაში, ველური იყოს... იგი კულტურაგავლილი დეკადენტია... ყოფილა დიდი კულტურული ხალხი და ზანგებში გადაგვარებულა... ზანგი-დეკადენტი... ეს რომ ბოდლერმა გაიგოს, საფლავში გადაბრუნდება... მაგრამ არა... დაიცადეთ“...

პეტერეც თითქოს სიტყვას ეძებს. არა: მიაგნო რაღაცას და უეცრად ისვრის აღმოჩენილ აზრს:

„ზანგი-დეკადენტი... ბოდლერს კიდეც გაუხარდება იმ სოფელს ეს ამბავი... იგი ხომ სატანისტურ უმღეროდა შავკანიან მადონას... თუ არ ვცდები, კიდეც უყვარდა ასეთი... არა: ბოდლერს ჰქონდა აპოკალიფსური ინტუიცია... მან წინიგრძნო ჩვენი ხანის სურნელი... „ამ ყვავილებში“ ეს ყვავილიცაა უთუოდ: სენსუალობა შავკანიანის ავხორცობით... არა, მოსიე პელეტიე?..“

პელეტიე იღიმება. პეტრეც პაპიროზს იღებს. უნგარ სარგებლობს ამ შემთხვევით:

„საინტერესო ჰიპოთეზია, მაგრამ ძაფს ვერ ვხედავ“...

ამბობს უნგარ, თითქოს თავისთვის.

„აი, ძაფიც... (პეტერეცმა პაპიროზს ცეცხლი უკვე მოუკიდა)... ზანგი დეკადენტია... ზანგი იპყრობს ევროპას თავის რიტმებით... ბოლო ხანს მხატვრობაში და ლიტერატურაში შემოიჭრა იგი... ევროპა იღებს ზანგს... ევროპა თვრება ზანგურით... პატარა ბიჭები ტრამვაის ბაქანზეც ვერ იმაგრებენ ფეხებს: სტვენენ ზანგის მოტივებსა და ცეკვას უვლიან... აგრეთვე პატარა გოგოებიც – სადმე განაპირა ქუჩაზე... ევროპა ეწაფება ზანგურს... და თუ ზანგი დეკადენსია ძველი კულტურის, მაშასადამე“.....

„მაშასადამე?..“

ეკითხება პელეტიე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ᲮᲘᲠᲮᲘᲡᲞᲘᲠᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

21-27 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ | № 41 (305) | 7

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲢᲣᲤᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ



ᲒᲘᲣᲠᲒᲘᲜ ᲮᲕᲐᲠᲗᲫᲔ

ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲡᲝᲑᲘᲡ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲘ

ნიკოლოზ ბარათაშვილს

ო, ტატო, ტატო, ძნელი არის
„სულის ობლობა“,
საით მივყავართ ოხერ-ტიალ
დროის დინებას...
შეგაღოღდება გულზე დარდი,
როგორც ობობა,
გამთენიისას მთვარესავით
ჩაგეძინება.
გზა — მხარს მოგიქცევს ულმობელი
ბედი ვერანა,
(რაგინდ ეცადო, ვერ მოაშთობ
ვერა ჭირს ლხინით),
ვეღარ იოკებს წყურვილს შენი
ლექსის მერანი, —
კიდევ მრავალჯერ გამოგიხმობს
ნატვრა-ჭიხვინით.
შენ ღვთის ნათელი
სამუდამო გვირგვინად გადგას,
ციურ სამეფოს
მარადისი მკვიდრი ხარ რადგან!

ᲐᲚᲡᲐᲠᲔᲑᲐ, ᲐᲜᲣ ᲨᲔᲮᲛᲘᲐᲜᲔᲑᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ

სულის სიმშვიდეს გული ვით ჰპოვებს, —
დრო ახალ-ახალს გვიწყობს გამოცდებს...
ეს საქართველო რა გახდა, პოეტს
არ აქვს სახსარი წიგნი გამოსცეს!
ხდება ასედაც, — მიეთმოეთებს
ვიღაცის ხათრით აქებ-ამკობენ...
მე ვენაცვალე ჩემს ძმა პოეტებს,
მაღალ ღმერთთან რომ ლაპარაკობენ!
ხელისუფალნო, ხომ გიცემთ გული
(ცრემლმა გულიდან გამოატანა),
ვკვნესით მწერლები მოხუცებული —
არ შეგვიძლია მეტის ატანა!
დარდს რა დაულევს ისეც პოტებს, —
იმედიანი სიტყვა გვაჩუქეთ...
(ო, დარდო, გულზე ისე მომენთე,
ტვინში მირტყამენ თითქოს ჩაქუჩებს!).
გული დაძარით გრძნობით ნაჯერი,
იჩქარეთ, ვიდრე სული გაგვძვრება...
მწერლობა თუმცა არის სასჯელი,
სანამდე შევძლებთ ასე გაძლებას!
შველა გვჭირდება, მთავრობავ, შველა,
როდის ვიქეცით თქვენთვის შორებლად?..
მართლაც რჩეული რომ ვიყოთ ყველა,
პენწს დაკარგავდა მაშინ ცხოვრება!
ფიქრს მომავალზე გული ვერ მოშლის,
ასეთი ყოფაც არ ღირს შაურად!..
ნუთუ მარტოდენ საქართველოში
მწერლობა იქცა დანაშაულად!!!
ამ ლექსმა გული ხომ მოგინახათ —
უგულო კაცი სადმე ვინ ნახა?

ᲐᲠᲐᲒᲕᲘ

გრძნეული ვაჟა უნდა იყო,
ანდა — მინდია,
გულის ხვაშიადს რომ მიუხვდე
არაგვს მქუხარეს...
მთანი მაღალნი
ქულა ღრუბლებს დაუბინდია,
ერთხელ გულშავა
წუთი ყველას დაამწუხარებს.
კლდის არტახებში მოქცეული
ბღავის არაგვი,
მერე გზადაგზა არწივივით
მოუღლელ ფრთებს შლის,
და როცა იგრძნობს
შიშს, გარდუვალს, ბარში დაკარგვის,
უჯობს განქარდეს ისევ თავის
მშობლიურ მთებში.
მე ფშავ-ხევსურთა ლომ ვაჟკაცებს
ვადარებ არაგვს,
რამეთუ მათებრ ქვეყნად შიში
არაფრის არ აქვს!

●●●

ბევრიც ეცადო,
შენ თავს სხვისას ვერ დაამგვანებ,
ზოგჯერ შორსაა, რაც გგონია,
თითქოს ახლოა...
. . . . . .
ლურჯი ზეცაა —
პოეტების სულის სავანე,
მიწა ცოდვილთა
სამუდამო სამოსახლოა!

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲣᲤᲐᲚᲡ!

მაკა ჯოხაძეს, აკაკი მინდიაშვილს

ცა ნაწვიმარი სულის დარად
მზით ინათლება,
პოეტი ცაში აჰყავს ცისფერ
მუზის სტუმრობას...
რას ნიშნავს, იქნებ
თქვენ ამიხსნათ ეს მონატრება,
სად იმალება
სიყვარულის უცნაურობა?!
ზოგჯერ გონებას
ღვარძლიანი ფიქრები ქუფრავს, —
სიყვარულის წილ
ჟამმა ბევრჯერ იწვიმ-ითოვა...
მადლობა უფალს,
ყველაფრისთვის მადლობა უფალს,
რომ ზნეკეთილი
თვისებებით დაგაჯილდოვათ!

●●●

მე რა? — გულს ჰკითხეთ,
რატომ მიყვარს ასე ყველანი,
სხვის სიხარულზეც
სიხარული რად მეუფლება?..
ვიმღერებ, ვიდრე არ დამშრალა
გულის მელანი,
მე პოეტი ვარ! —
სიძულვილის არ მაქვს უფლება!

ᲩᲐᲐᲥᲠᲔ ᲢᲝᲠᲨᲔᲠᲘ

ჩააქრე ტორშერი, ო, გემუდარები
და მხოლოდ ამ სულის
სინათლე იწამე...
ძვირფასო, თუ ზოგჯერ სტყუიან
თვალები,
გულები, გულები გვამხელენ იმწამსვე!
თბილია ეს ღამე
და წმინდა შენსავით,
სანამდე გელოდო, სანამდე გაცალო?..
იმ გულებს, რომლებიც სიყვარულს
თესავენ,
სიცოცხლეც, სიცოცხლეც
უნდა ვანაცვალოთ!
ვინა თქვა, თითქოსდა
ერთმანეთს ვშორდებით,
სურვილნი ცოცხლობენ
ჩვენს ცისფერ ლოდინთან...
ჩააქრე, ჩააქრე, ჩააქრე ტორშერი, —
ვარდისფერ სინათლეს მე თვითონ
მოგიტან!



ᲖᲣᲠᲑᲘᲜ ᲫᲘᲚᲮᲝ

ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲥᲐᲚᲘ

საიდუმლოს, გადანახულს ხვალისთვის,
წამში გასცემს მისი მზერა ფარული.
სილამაზე სიმდიდრეა ქალისთვის,
მზითევია, სკივრში გადამალული.
ვნების მტვერი მოგაფრქვია თუ ქარმა
და ღიმილი შეგაყინა ბაგეზე,
სილამაზე, იტყვი, შექმნა უფალმა,
ფიქრიც, მზერაც მის მხარეს რომ
გაგექცეს.
და თუ სუნთქვაც აგიჩქარა მშვენებამ,
ჯადოსნური ხელით როა ნაქარგი,
ყველა ქალი შენად მოგეჩვენება,
შეგაშფოთებს შიში მათი დაკარგვის.
სილამაზე დღე მზეს ჩრდილავს, ღამე-ცას,
გულს, უსისხლოს, გესლით უვსებს
შურიანს.
...თვალს, კვლავ თუ სხვა ლამაზისკენ
გაგექცა,
ნუ დასძრახავ!..
წყალი თვალსაც სწყურია!..

ᲡᲐᲛᲐᲩᲐᲑᲚᲝᲨᲘ

წუხელ მესიზმრა, ცაში ვფრინავდი
ლაღად, ნარნარით, ფრთების გარეშე...
და აფრენიდან სისხამ დილამდე
გაზაფხულს ვკრეფდი მშობელ მხარეში.
მადლმოყრილ ლიახვ-ფრონის ხეობებს
შემოვუფრინე ათჯერ... ათასჯერ...
ხან ნიავიც რომ არ ირხეოდა,
ხანაც ბორიო ჰქმნიდა ცათამბრჯენს.
სიცოცხლეს აქ ხომ მარაგი არ აქვს,
თითქოს ზედ ძარღვზე დაუდგამთ ფეხი!..
„დამრტყმელი ძალა“ მოაკლდა ქალაქს,
გამოხშირულა სოფელში გლეხი.
დრო იყო, როცა ჰყვაოდნენ დრონი,
შემორჩენილნი ხსოვნებს მალულად...
სამაჩაბლოში ქორონიკონი
დგას და სულს ღაფავს უსიყვარულოდ...

ᲧᲐᲚᲧᲖᲔ ᲨᲔᲛᲓᲒᲐᲠᲝ ᲥᲐᲠᲐᲨᲝᲢᲔᲑᲝ!

საით მიფრინავთ, ურჩო ქარებო,
ვინძლო სინდისი შეგრჩათ პაწია.
ერთად ვიხილოთ, მიუკარებნო,
საზღვარი ვინ და სად გადაწია.
გულზე რომ მუდამ შვებად მაყრიხართ
და დასტაქრობას ჩემსას რომ ჩემობთ,
ვხედავ, ჩემსავით ურცხვად დაჰქრიხართ
ლიახვს და ფრონის ხეობებს ზემოთ.
ლაჯებქვეშ თელავთ აქოჩრილ ტყეებს,
ტალღებად ქცეულ მღელვარე ყანას.
კუთხეში მიყრილ ფოთლებს, ვით ტყვეებს,
გუშაგად ისევ ეგ ფრთები ჰყვანან.
აურ-დაურევთ მტვერს და ნასუფრალს,
მოითარეშებთ საწიერს თვალის.
(...ნაქარი ვაშლით ღორი გასუქდა,
ნასუფრალიდან ძაღლს ერგო ძვალი...)
დაჰქრით და დაჰქრით აღმაც და დაღმაც,
მიწაზეც, ცაშიც!.. დაჰქრით რაშებით!..
შუღლის მთესავი „გავიდეს გაღმა“,
ჩვენ ხომ სიცოცხლეს ვეთამაშებით!..
...და, თუ საზღვარი საზღვარს არ მოჰგავს,
მტერიც, ქარივით, სიღრმისკენ ილტვის!..
და, თუ ღირსებაც შეგვრჩა და ბორგავს,
აფეთქდეს, ვითარც აპრილის კვირტი...
...თქვენ საზღვრებს არ ცნობთ... იქ ხართ...
იქ არ ხართ, ყველა ჭიშკართან
განაშოტები!..
მე თქვენ მიყვარხართ!..
...ო, როგორ მიყვარს
ყალყზე შემდგარი ქარაშოტები!..

ᲨᲔᲚᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ

უჩუმრად ვზიდე ჩემი ტვირთი,
როგორც ნიკორამ,
ზურგზე მძვრებოდა ტყავის მსგავსი,
ხშირად ცხრა პირი.
დრომ აზვირთებულ მდინარეში
გადამიყოლა,
ვერც ტალღამ მძლია,
ვერც მოვიგდე
ფეხქვეშ ნაპირი.
რაც ვთესე,
ძმობა რომ შევფიცე,
მისით მოისრა,
გაიჯეჯილა ჩემს მამულში
მხეცმა ორფეხამ.
ვისაც ვაწოვე,
რომ დამჭირდა,
ძუძუ მოიჭრა,
მერე, მიპარვით,
მკლავზე მწვდა და
ძირში მომტეხა.
არსთა გამრიგემ
გზა მარგუნა
სავალად ძნელი,
გზა შელმართებით, -
ოფლისა და
ცრემლის დამდენი...
უფსკრულთა გასწვრივ,
ბილიკებზე, ბევრჯერ გავძვერი,
ბეწვის ხიდები უთვალავჯერ
ვძლიე რამდენი!..
რთული ყოფილა ქართველობა,
და ერთობ ძნელიც,
რჩეულ მიწაზე
ანდამატი ნიადაგ სახლობს!..
შელმართის სასრულს
რწმენის ზღვა და კურთხევა მელის,
იქვე, ცისკიდურს,
დავივანებ
უფალთან ახლოს...

ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲓᲐᲠᲓᲔᲚᲘ

მე სხვაგვარი სადარდელი არა მაქვს,
სამაჩაბლოს დარდი არის მთავარი.
ამ დარდზე კი ზოგის ლუკმამ არამმა
ჰპოვა ქუდის შესაგდები ყავარი.
და ითბობენ ყავრის ცეცხლზე გადაღმა
ხელებს... მაგრამ ქუდი, თითქოს, არ იწვის.
სივრცე ალით დაიწვა და გადახმა,
იგრიხება ბოღმით ძვალი ლავიწის.
მე კი, ლექსით მინდა, ჩემსას კი არა,
წყლულს, მოძმისას, მოვეფერო მალამოდ.
სამაჩაბლოს გადახსნილი იარა
მოვაშუშო შენით, ჩემო კალამო.
არ მიველტვი არანაირ დიდებას
და არც გვირგვინს ვერცხლისას, თუ
დაფნისას.
იარა კი, რაც დრო გადის, დიდდება,
ლექსიც იწვის სანთელივით თაფლისა.
არც არაგვარს ვედევნები სახელებს,
„სამაჩაბლოს ბულბული“ მაქვს თიკუნად.
(ლიახვისპირს ძველი ზღაპრის მნახველებს
ტყვიამ, ჯიქურ, თვალი-თვალში გვიყურა.)
სამაჩაბლოს სადიდებლად ვპოეტობ,
ფრონე შხეფებს ჩამომიქნის რითმებად...
მონატრება ირგვლივს ისე მოედო,
დუმილიც კი ლოცვასავით ითქმება.
ძმობამ დიდხანს ბეწვის ხიდზე იარა,
ფეხშიშველი აბიჯებდა ნარეკალს...
წვეთსღა უცდის მოთმინების ფიალა,
გასკდება და ყოველივეს წალეკავს...

ᲫᲐᲚᲐ ᲜᲣᲚᲨᲘᲪ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ

გენო პეტრიაშვილს, სახელოვან სამაჩაბლოელ
ფალავანს

გენებით ნულელს და ბუნებით ცხინვალელს
გზად გამარჯვებები დაგყვება ბრწყინვალე.
ფრონის წყლით ნაწრთობი ამაყი ბუნება
უამრავ მორკინალს წაუხდენს გუნებას.
ცად სწვდებათ ვარსკვლავებს ეგ მზარდი დიდება,
სიმართლის მარცვალი დღითი-დღე ღვივდება...
ფრონე და ლიახვი უშენოდ ნაღვლობენ...
შენ ბევრჯერ დალაშქრავ უამრავ მაღლობებს.
ეგ ძალა სურვილზე მრავალჯერ დიდია...
...ფრონე კი, შენსავით, აპრილშიც მშვიდია...

ქართული სიტყვა

ლიტერატურა. ზელოვნება. პოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

კოლეგა

ეკა მიშველაძე პოლიტიკაში მიდის?!

რა წერილების გასაჯაროებას აპირებს ტელეჟურნალისტი

...უხერხულობას იმის გამო კი არ გრძნობს, რომ გათხოვდა, თანაც — ოპოზიციონერზე, არამედ, ის ეუხერხულება, რომ გადაცემა დაუხურეს, ჯამაგირს კი, უწინდებურად იღებს... ისე, იმედოვნებს, რომ ახალი სეზონიდან „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში ისევ გამოჩნდება და ისევ პოლიტიკურ თოქ-შოუს „გააკეთებს“, თუმცა იმასაც აღიარებს, რომ პოლიტიკოსებთან საუბარი მობეზრდა და აღარ აინტერესებს... „პოლიტიკური გადაცემის მომზადება პოლიტიკოსების გარეშეც შეიძლება და ამ კუთხით საინტერესო იდეა მაქვს. საერთოდ, ვთვლი, რომ პოლიტიკურმა ჟურნალისტიკამ სხვა მიმართულებით უნდა გადაინაცვლოს“, — ამბობს ტელეჟურნალისტი, საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ან უკვე ყოფილი პოლიტიკური თოქ-შოუ „პირველი სტუდიის“ ექსწამყვანი და ავტორი ეკა მიშველაძე, რომელსაც გათხოვება „კარიერულ კრახად“ დაუჯდა... ერთი სიტყვით, სთავაზობენ თუ არა სხვა ტელევიზიები თანამშრომლობას, რა შეკითხვას არიდებს თავს და გახდება თუ არა „თავისუფალი დემოკრატების“ გენერალური მდივნის, ალექსი პეტრიაშვილის თანამეცხედრე პოლიტიკური სახე? — „ქართული სიტყვა“ ეკა მიშველაძეს ესაუბრა.



— ეკა, მეგონა, „საზოგადოებრივზე“ აღარ იყავი და გამიკვირდა, შეხვედრა ტელევიზიაში რომ დამითქვი...

— ამის გამო თავს, მართლაც, უხერხულად ვგრძნობ, თორემ სხვა რამეზე, რაც მრჩეველს ეუხერხულა, უხერხულობას არ განვიცდი. უბრალოდ, გადაცემა აღარ მაქვს, თორემ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თანამშრომელი ვარ და ხელფასსაც ჩვეულებრივ ვიღებ. ისე, ჩემი და მენეჯმენტის შეხვედრა ვერა და ვერ შედგა — ამ შეხვედრის ორგანიზება, ალბათ, ძალიან რთულია...

— გადაცემა აღარ გაქვს და ხელფასს მაინც იღებ? — ეს რას ნიშავს?

— გენერალურმა დირექტორმა ერთ-ერთ არხზე, სატელეფონო ჩართვისას განაცხადა, რომ ჩემთან შემოთავაზება აქვთ, თუმცა ჩემთვის ჯერ არაფერი შემოუთავაზებიათ და მოთმინებით ველოდები, რას შემომთავაზებენ.

— ანუ, სამსახურში რომ არ იარო, არავინ დაგსჯის და ხელფასს მაინც მოგცემენ?

— სამსახურში მაინც დავდივარ, იმედს არ ვკარგავ, თუმცა აგვისტოში, ჯერ საინფორმაციო სააგენტოებით გავიგე, ორი თვის შემდეგ კი, საზოგადოებისთვის აბსოლუტურად უცნობი ადამიანისგან, რომელიც „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ მიმდინარე და ახალი ამბების დირექტორი გახდა...

— ამ ადამიანზე ამბობენ, რომ რუსეთუმეა და ადრე „ევრაზიულ კავშირთან“ მეგობრობდა...

— არ ვიცი... ეს ადამიანი აქ გავიცანი... პირადად მე, „ევრაზისტებთან“ შეხვედრაზე არ წავიდოდი, მაგრამ თუ ექსპერტია და ეს საკითხი მისი კვლევის საგანი იყო, კი ბატონო... მოკლედ, ამ ადამიანისგან სხვა მედიასივრციდან მოვისმინე, რომ ახალი სეზონიდან ჩემი გადაცემა, თურმე, ეთერში აღარ იქნება, თუმცა არ ვიცი, ეს გადაცემა ცუდი რატომ იყო, ან რა დავაშავე...

— ცოლად ოპოზიციონერს გაჰყევი, რითიც უხერხულობა შექმენი და ამაზე მეტი რაღა უნდა დაგეშავებინა?

— ვანო, მე და შენ დიდი ხანია, მედიაში ვართ და ვიცით, რომ არ შეიძლება, გათხოვება არგუმენტი იყოს. ეს სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს და, უბრალოდ, სირცხვილია! თუკი არგუმენტი ესაა, მაშინ ხმამაღლა ვამბობ: გადაცემა პოლიტიკური ნიშნით დამიხურეს, ოღონდ ჩემი პოლიტიკური ორიენტაციისა და სიმპათიის შესახებ დედამიწის ზურგზე ერთმა ადამიანმაც არ იცის, რადგან ჩემს პროფესიას უდიდეს პატივს ვცემ და ამდენი წლის განმავლობაში ამ საქმეს ისე ვემსახურე, არავის უთქვამს, ეკა ან იმისიანია, ან ამისიანიო. ის, რომ ცოლად „თავისუფალი დემოკრატების“ გენერალურ მდივანს გავყევი, იმას ნიშნავს, რომ ამ პარტიის ხაზი უნდა გავატარო? მე და ბუკა პეტრიაშვილს ურთიერთობა გუშინ არ დაგვიწყვია, მაგრამ ერთი შენიშვნაც არ მიმიღია, რომ მიკერძოებული ვარ და ვინმეს მხარს ვუჭერ. პროფესიონალებისთვის სიყვარული, ოჯახი და საქმე აბსოლუტურად გამიჯნულია, თორემ ვაი-ჟურნალისტებისა და ვიღაცებისთვის, ან მათთვის, ვინც ეს თქვა, როგორც ჩანს, გამიჯნული არაა.

— სხვათა შორის, მათი ოჯახის წევრები, ვისთვისაც გარკვეული უხერხულობა შექმენი, როგორც ვიცი, კანცელარიაში მუშაობენ...

— დიახ, ამის უამრავი მაგალითია: „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ მუშაობენ ადამიანები, რომელთა ოჯახის წევრებიც „ქართული ოცნების“ ღია მხარდამჭერები არიან. ზოგის ქმარი ივანიშვილის ნათესავია, ზოგის ოჯახის წევრი კი, — საკრებულოში „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი და, როგორც ვიცი, პოლიტიკური თოქ-შოუები მათ უნდა წაიყვანონ, მაგრამ ეს უხერხულობას არ ქმნის.

— ეკა, შეგიძლია, „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ უჩივლო?

— ჩემი ხელშეკრულება ძალაშია და რაზე უნდა ვუჩივლო?

— ანუ, სამსახურიდან კი არ გაგათავისუფლეს, უბრალოდ, გადაცემა დაგიხურეს და, შესაბამისად, ტელევიზიის ხელმძღვანელობას პასუხს ვერ მოსთხოვ, არა?

— ამიტომ, შემოთავაზებას ველოდები. პოლიტიკური ჟურნალისტი ვარ და ერთადერთი, რაც უნდა გავაკეთო, პოლიტიკური გადაცემაა. თუ შემოთავაზება იქნება, რომ იგივე პროფილის, თუმცა სხვა ფორმატის გადაცემა გავაკეთო, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ — როცა სეზონს ვამთავრებდით, მხოლოდ ჩემს პროდიუსერებს კი არა, ბორდი-ს თავმჯდომარესა და გენერალურ დირექტორსაც ვუთხარი, გადაცემის ფორმატი მოძველდა და რაღაცები უნდა შევცვალო-მეთქი. კონკრეტული იდეები ახლაც მაქვს, მაგრამ მთავარია, ვინმემ მომისმინოს.

— რატომ არ გხვდებიან და არ გისმენენ?

— არ სცალიათ! ცოდვას ვერ ვიტყვი, გენდირექტორს ახლახანს შევხვდი, მეგონა, რომ ჩემს თემაზე ვისაუბრებდით, მაგრამ ჩემი გადაცემის გარდა ყველაფერზე ვილაპარაკეთ და როცა ვიკითხე, აბა, რას ვშვრებით-მეთქი, მომიგო, ახლა მეჩქარება და ამ დღეებში შევხვდეთო, მაგრამ ამასობაში, ათი დღე გავიდა.

— როგორი შთაბეჭდილება შეგექმნა — „საზოგადოებრივის“ გენდირექტორი შენთან დაკავშირებით პასუხს ვინმესგან ხომ არ ელოდება თუ ტელევიზიიდან საერთოდ ვერ გიშვებენ, რადგან ამას უფრო დიდი ხმაური მოჰყვება?

— შეგვიძლია, ორივე ვერსია განვიხილოთ... თუკი უხერხულობას, მართლაც, ის უქმნით, რომ ცოლად ოპოზიციონერს გავყევი, მითქვამს და ახლაც ვიტყვი: „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ყველას ტელევიზიაა, მათ შორის, ხელისუფლების და ოპოზიციისაც. ამიტომ, ასე დაყოფა არ შეიძლება... როგორც გავიგე, პოლიტიკურ თოქ-შოუებს ამატებენ და იმ ადამიანთა ბეგრაუნდი, ვინც ეს გადაცემები უნდა წაიყვანონ, „ქართულ ოცნებასთან“ მჭიდრო კავშირშია, მაგრამ ეს, როგორც ჩანს, უხერხულობას არ ქმნის. ამიტომ ვამბობ, რომ ჩემთან დაკავშირებით პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და არავინ თქვას, რომ ამ ქვეყანაში ჟურნალისტები პოლიტიკური ნიშნით არ იდევნებიან!

— ეკა, როცა შენ და ალექსი პეტრიაშვილმა გადაწყვიტეთ, რომ თქვენი ურთიერთობა გაგესაჯაროვებინათ, ერთი წამითაც არ დაგიშვია, რომ ამის გამო სამსახურში პრობლემები შეგექმნებოდა?

— ვანო, აბსოლუტურად გულწრფელად გეტყვი: ამაზე ერთი წამითაც არ მიფიქრია, რადგან ოდესმე ეჭვიც კი არ არსებობდა, მიშველაძე ვინმესიანიაო. შესაბამისად, ვერც ვიფიქრებდი, რომ ვინმეს ჩაეთვალა, რაკი ჩემი ქმარი „თავისუფალი დემოკრატების“ წევრია, ეს გადაცემაზე რამე გავლენას მოახდენდა. ზოგადად, ძალიან კრიტიკული ადამიანი ვარ და ვთვლი, რომ მაგ გუნდს პოტენციალი აქვს, თუმცა სამუშაოც ბევრია.

— ...გათხოვების მერე გაიგე, რომ გითვალთვალებდნენ?

— ამ თემაზე ლაპარაკი არ მინდა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ეს მხოლოდ მე და ბუკას არ გვეხება. შესაბამისად, ამ ეტაპზე ამ შეკითხვას თავს ავარიდებ.

— კეთილი... ეკა, დიდი ხანია, მედიაში ხარ. „მხედრიონის“ პერიოდიც გამოიარე. ზეწოლა სხვა დროს არ ყოფილა?

— არც ერთ ეტაპზე... „ნაციონალების“ მმართველობის დროს, „ბი-ბი-სი“-ს პროექტს ვაკეთებდი, ჩარევა არასოდეს ყოფილა, ეთერში ეს და ეს არ მოიყვანო, ან რომელიმე შეკითხვა არ დასვაო. რაც პოლიტიკური თოქ-შოუ მქონდა, ეთერში ყველა პარტიის წარმომადგენელი მომყავდა და შენიშვნაც არასოდეს მიმიღია. სამაგიეროდ, მაღალი სტანდარტების უცხოელი მედიაექსპერტებისგან „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ არაერთი სამადლობელი წერილი მოსულა, რა კარგია, რომ ასეთი დაბალანსებული და გაწონასწორებული გადაცემა არსებობსო. სხვათა შორის, „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ ამ კუთხით საუკეთესო მაჩვენებელი სწორედ ამიტომ „დადო“, რადგან აქ ყველა პოლიტიკური პარტია ყველაზე მეტად იყო წარმოჩენილი.

— დასავლურმა მედიაექსპერტებმა შენი გადაცემის დახურვის შესახებ შეიტყვეს და რა რეაქცია ჰქონდათ?

— ყველას მივწერე, თუმცა მათ შეფასებებს მას შემდეგ გავასაჯაროებ, თუ როგორ დამთავრდება ეს ძალიან უხერხული და უცნაური სიტუაცია.

— გგონია, რომ ოდესმე დამთავრდება?

— აუცილებლად, რადგან „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ ახალი სეზონი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დაიწყება.

— ახალი სეზონის დაწყებასაც ასაიდუმლოებენ?

— ვიცოდი, რომ ოქტომბრის ბოლოს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ მგონი, ცოტა გადაიწია. ვანო, პირველად ვამბობ: ამ წერილებში „საზოგადოებრივი მაუწყებლისა“ და, სამწუხაროდ, არც ხელისუფლებისთვის სასიკეთო არაფერი წერია, რადგან ყველა დასავლელი მედიაექსპერტი და ინსტიტუცია გადაცემის დახურვას პოლიტიკური ნიშნით დევნად აფასებს, ოღონდ ვერ ვხვდები, რად უნდა ვინმეს დამატებითი პრობლემატური თემები.

— გაუგებარი რა არის? — ერთ-ერთი მრისხანე ოპოზიციონერის ცოლი ხარ!

— ცოლი სახლში ვარ, სამსახურში კი არა, თან ანგაჟირებული და მიკერძოებული აქამდე არასოდეს ვყოფილვარ!

— აქამდე არც პოლიტიკოსი თანამეცხედრე გყოლია!

— არა, მაგრამ პოლიტიკოსი შეყვარებული მყავდა, მაგრამ ამას ვერავინ ხვდებოდა.

— ეკა, იზიარებ მოსაზრებას, რომ „ოცნებამ“ „ნაცების“ ყველაფერი ცუდი დააკოპირა? ზოგი ამბობს, რომ ეს პორტირებული „ნაციონალების“ ბრალია, ზოგი კი თვლის, რომ „უფროსობა“ კომფორტულია...

— ჯერ კიდევ არჩევნებამდე განაცხადეს, რომ მედია თავისუფალი იქნებოდა და „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, გარკვეული პერიოდი, მედია, მართლაც, თავისუფალი იყო, თუმცა ხელისუფლებამ ეს თავისუფლება ვერ შეირგო! არადა, მედიის თავისუფლება ყველა ხელისუფლების პლუსია, რადგან ეს მის დემოკრატიულობაზე მიუთითებს. ხელისუფლებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ისეთი შეკითხვების დასმა, რომელიც არ მოსწონს. ამიტომ, მედიასაშუალებებში გარკვეული ფილტრაცია დაიწყო. სხვათა შორის, ჩემთვისაც, ინგა გრიგოლიასთვისაც, ნინო ჟიჟილაშვილისა და ვახო სანაიასთვისაც ძალიან დიდი ხნის წინ იყო ცნობილი, რომ ამ ხელისუფლებაში არის ადამიანი, რომელსაც ამ სახეების ეთერში ნახვა არ უნდოდა.

— არ ვიცი, რომელ ადამიანზე ლაპარაკობ...

— ყოფილ პრემიერზე და ამის შესახებ მეგობრები გვაფრთხილებდნენ...

— მე კი, კულუარებიდან სხვა ინფორმაცია მაქვს. ასე, მაგალითად, ამბობენ, რომ ინგა გრიგოლიას გადაცემის დახურვაში გადამწყვეტი სიტყვა გუგული მაღრაძეს ეკუთვნოდა... კულისებში იმისთვისაც ხომ არ მოგიკრავს ყური, თუ ვინაა ხელისუფლების არაოფიციალური მედიამრჩეველი?

— ვიცი, „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ ვინცაა მრჩეველი.

— ვინ?

— ბასა ჯანიკაშვილი მრჩეველია... რაღაც „ლინკებიც“ არსებობს, მათ შორის. ძალიან უხერხულია, თუ ურჩევს, რომ ასეთი ნაბიჯები გადადგას, ესე იგი, ძალიან სუსტი მედიამრჩეველია, რადგან ეს არც მე მაზიანებს, არც — ინგა გრიგოლიას და არც — „რუსთავი 2“-ს. პირიქით, ყველაფერი ეს, პირველ რიგში, ხელისუფლებას და ამ ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას აზიანებს.

— ოპოზიცია აცხადებს, რომ ხელისუფლება ელექტრონულ მედიასთან დაკავშირებით ე.წ. „ენ-ტე-ვე“-ს სცენარით მოქმედებს...

— ვანო, ძალიან ბევრი მსგავსებაა, თუმცა ძალიან არ მინდა, ასე იყოს და ჯერ კიდ-

გაგრძელება მე- 9 გვ.

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

კოლეგა

მე-8 გვერდიდან

ევ მაქვს იმედი, ადამიანებს ეყოფათ გონიერება, რომ თავი ისეთ სამარცხვინო მდგომარეობაში არ ჩაიგდონ, როგორ მდგომარეობაშიც რუსეთმა ჩაიგდო.

სხვათა შორის, ეკა მიშველაძის გადაცემა იმითაც იყო გამორჩეული, რომ ევროატლანტიკური კურსის „პრომოუტირება“ ცალსახად მიდიოდა, რადგან ეს ჩემი კრედო და პოზიციაა. ვთვლი, რომ ეს ქვეყნის მთავარი ხაზიც უნდა იყოს და არის. ყოველ შემთხვევაში, გაცხადებულად ასეა, მაგრამ მეორე საკითხია, პარალელურად რა ხდება, მაგალითად, „გაზპრომთან“ ბურუსით მოცული მოლაპარაკება, რასაც დანაშაულად და ქვეყნის ღალატად ვთვლი, რადგან „გაზპრომი“, ჯერ ერთი, იგივე პუტინი და კრემლია, მეორეც, მასთან ურთიერთობის ძალიან ცუდი გამოცდილება გვაქვს და კარგად გვახსოვს, რა უბედურებაც გადავიტანეთ... მოკლედ, „გაზპრომთან“ მოლაპარაკება უნდა ჩაიშალოს, რადგან ერთი არგუმენტიც კი ვერ მოვისმინე, თუ რატომ „გაზპრომი“, ან საერთოდ, ვერ ვიგებ, ოკუპანტთან მოლაპარაკება რატომ უნდა აწარმოო?

— ხელისუფლებამ გვითხრა, რომ ყველაფერი ეს ცრუ აჟიოტაჟია და საგანგაშო არაფერია...

— კი ბატონო, მაგრამ ვინმემ გვითხრა „გაზპრომთან“ მოლაპარაკებას ამ და ამ საკითხზე ვმართავთო?

— ეკა, ახლა მივხვდი, ეთერიდან რატომაც მოგხსნეს — „გაზპრომსა“ და მსგავს საკითხებზე არასაჭირო კითხვები რომ არ დაგესვა!

— ვთვლიდი, რომ ამ ქვეყნისთვის კარგ საქმეს ვაკეთებდი. მაგალითად, ჩემს ეთერში ვერასოდეს ნახავდით „ევრაზიული კავშირის“ წევრებს, რადგან ჩემი აზრით, ისინი არ უნდა გააპიარო.

— ვინმეს „ლაითადაც“ არ მიუნიშნებია, „ევრაზისტები“ დაპატიჟეო?

— არა! არასოდეს არავინ ჩარეულა და ისიც კი არ მოუკითხავთ, ეკა, რა თემას აკეთებო. ამ მხრივ სრული თავისუფლება მქონდა, თუმცა ეს ვიღაცისთვის, როგორც ჩანს, მიუღებელი გახდა.

— „პირველ სტუდიაში“ სტუმრად ყოფილი ან მოქმედი პრემიერი გყოლია?

— სამწუხაროდ, — არა. ჩემს ეთერში ძალიან ხშირად იყო პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, მინისტრები. ჩემს ეთერში ორადორი ადამიანი არ ყოფილა — ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი.

— გადაცემაში მონაწილეობა შეგითავაზებია?

— რა თქმა უნდა... ბიძინა ივანიშვილისგან, პირადად, სამჯერ დაპირებაც მივიღე, მაგრამ არ შეასრულა. ირაკლი ღარიბაშვილთანაც ბევრი მცდელობა მქონდა, მაგრამ გადაცემამდე ორი დღით აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომ გადაცემაში ვერ მოვიდოდა. არადა, ეს პოლიტიკოსებისთვის არაკომფორტული ეთერი არ იყო იმიტომ, რომ მწვავე შეკითხვებს კი ვსვამდი, მაგრამ ადამიანს პასუხის გაცემის საშუალებას ვაძლევდი. იმედი მაქვს, სამომავლოდ ორივე მოვა!

— მაშასადამე, მომავალს ოპტიმისტურად უყურებ და გჯერა, რომ „საზოგადოებრივზე“ პოლიტიკური თოქ-შოუ ისევ გექნება?

— კი, ამის იმედი მაქვს... ახლა ყველაზე გონივრული ნაბიჯი იქნება, რომ ეკა მიშველაძეს პოლიტიკური თოქ-შოუ ჰქონდეს. ვიმედოვნებ, ერთი გონიერი ადამიანი მაინც, ერთი გონიერი მრჩეველი მაინც მოიძებნება, რომელიც ამას ხვდება და იქ იტყვის, სადაც საჭიროა!

— ...ისე, როგორ ფიქრობ, ქმარი ოჯახის წევრია?

— (იცინის) ზოგიერთისგან გასხვავებით, ვთვლი, რომ ოჯახის წევრია და ქმრის ნათესავებსაც ჩემს ნათესავებად ვთვლი! დედაც ოჯახის წევრია...

— ეკა, ყველა ხელისუფლება ყველაფერ ცუდს, რაც ქვეყანაში ხდება, ჟურნალისტებს რატომ გვაბრალებს?

— იმიტომ, რომ არც ერთი ხელისუფლება საკუთარ ძალებში დარწმუნებული არაა და ვერც რეალური დემოკრატიული პროცესები წარმართა! საერთოდ, ძალიან ადვილია, შენი შეცდომები სხვას გადააბრალო და განტევების ვაცი ვინ უნდა იყოს, თუ არა

მედია, რომელიც ყველას დისკომფორტს უქმნის. ჩემთვის მოსაწონი ის ხელისუფლება იქნება და არჩევნებზეც ხმას იმ პოლიტიკურ ძალას მივცემ, რომელიც დამარწმუნებს, რომ საკუთარ შეცდომასა და წარუმატებლობას სხვას, პირველ რიგში, მედიას არ დააბრალებს. მედია ხელისუფლების „დამხმარეა“, მაგრამ „დამხმარე“ იმ კუთხით კი არა, რომ აქოს და ადიდოს. ხელისუფლება იმის გამო არ უნდა ერჩოდეს, რომ მედია მის საქმიანობაში რაღაც შეცდომებს პოულობს.

— ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მედიას ორი მხარე აქვს. შესაბამისად, არ შეიძლება, მედიასთან ურთიერთობაში დამნაშავე მხოლოდ ხელისუფლება იყოს. ეგებ, ჩვენ, ჟურნალისტებიც ვცოდავთ?

— ჩვენი მედია ძალიან გადაყვითლებულია და სულაც არ მომწონს, როცა საზოგადოებას მდარე ხარისხის პროდუქციას სთავაზობს. გარდა იმისა, რომ საზოგადოებას ინფორმაცია უნდა მიაწოდოს, მედიის ერთ-ერთი ფუნქცია შემეცნება და განათლებაცაა, მაგრამ დღეს ჩვენი მედია ამას არ აკეთებს. მედიამ საკუთარი სტანდარტი უნდა ასწიოს — საზოგადოებას მაღალი ხარისხის პროდუქცია შესთავაზოს და, შესაბამისად, საზოგადოების მოთხოვნაც ამაღლდება...

— წეღან თქვი, „ევრაზისტებს“ არასოდეს „გავაპიარებო“. „ქართული სიტყვის“ სარედაქციო პოლიტიკაც ზუსტად ასეთია, თუმცა ყველა ჩვენი კოლეგა ასე არ ფიქრობს. იქნებ, ესეც ჩვენი ნაკლია?

— ამას სხვა ხაზი უნდა ჰქონდეს, ანუ უნდა გამოჩნდეს, რომ ამ ადამიანების პოლიტიკური ორიენტაცია არასწორია. ეს კი ჟურნალისტური ტექნიკის საქმეა. ქვეყნის გაცხადებული საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარე, ამ ხალხის პოპულარიზაცია არ შეიძლება და რაც უფრო ნაკლებ მედიასივრცეს დავუთმობთ, ჩვენთვისაც და, მგონი, მათთვისაც უკეთესი იქნება.

— ეკა მიშველაძეს, როგორც გადაცემის ავტორსა და წამყვანს, პირადი შეხედულების გამო, ვინმე დაუბლოკავს?

— არა... ახლა თავს ყველა ექსპერტად თვლის. მაგალითად, კინორეჟისორი პოლიტიკურ საკითხებში ვიღაცისთვის, შეიძლება, საუკეთესო ექსპერტი იყოს, მაგრამ ასეთ ადამიანებს ეთერში არ ვიწვევ, რადგან ვთვლი, ექსპერტი ისაა, ვისაც კონკრეტულ სფეროში სათანადო განათლება აქვს და პოლიტიკურ გადაცემაში კინორეჟისორის აზრი არ მაინტერესებს.

— ახლა, როგორც იტყვიან, ისრებს გოგა ხაინდრავასკენ ისვრი, არა?

— ისრებს არავისკენ ვისვრი, მაგრამ ძალიან კარგად მიხვდებიან, თუ ჯერ კიდევ შერჩენიათ გონი, რომ აზრი თუნდაც სტრიქონებს შორის წაიკითხონ!

— ხშირად ამბობენ, რომ „ოცნებას“ პიარი არ უვარგა და ამას თავად „ოცნებელებიც“ აღიარებენ. შენ, როგორც პროფესიონალი, ამას რითი ხსნი?

— იცი, რაშია საქმე? — ტყუილის შეფუთვა ძალიან ძნელია.

— გეთანხმები, მაგრამ ტყუილს, მაგალითად, მიშა იდეალურად ფუთავდა...

— იმის შეფუთვა, რაც არ არსებობს, ძალიან ძნელია. ამიტომ, რომ შეფუთო, რაღაც უნდა გააკეთო. სხვათა შორის, „აბრეშუმის გზის ფორუმი“ ძალიან კარგად გაპიარდა.

— სხვათა შორის, ეს ფორუმი პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით გაიმართა...

— ჰოდა, გადასარევი, შესანიშნავი ინიციატივაა და ნეტავ, სულ ასეთი რაღაცები ხდებოდეს! რაც შეეხება პიარს, ან ცოტა დაბნეულები არიან, ან პროფესიონალების ნაკლებობაა, ან არ იციან, რა უნდა გააპიარონ. ალბათ, უფრო არ იციან. ასე, მაგალითად: ერთის მხრივ, ამბობენ, რომ ქვეყანაში მედია თავისუფალია და მეორეს მხრივ, ეკა მიშველაძეს გადაცემას პოლიტიკური ნიშნით უხურავენ!

— ეკა, ხელისუფლების ყველაზე დაბალი რანგის ჩინოვნიკსაც კი არ უთქვამს, მიშველაძეს გადაცემა პოლიტიკური ნიშნით დავუხურეთო...

— გადაცემას იმიტომ ვხურავთ, რომ ცოლად ოპოზიციონერს გაჰყევიო და ეს პოლიტიკური ნიშანი არაა?

— შენც მოგეთმინა და მაშინ გათხოვილიყავი, როცა ხელისუფლებაში „თავისუფალი დემოკრატები“ მოვიდოდნენ!.. გამოტყდი: 2012 წელს ხმა „ოცნებას“ მიეცი?

— ის ხელისუფლება შესაცვლელი იყო, რადგან ძალიან ბევრი ცუდი და უარყოფითი დაგროვდა. ძალიან კარგია, რომ ეს ცვლილება მოხდა, მაგრამ სამწუხაროდ, რაღაცები უარესობისკენ წავიდა!

— ...სხვა არხებიდან შემოთავაზება არ გაქვს?

— დიახ, მაქვს, თუმცა არც ერთ შემოთავაზებას ჯერჯერობით არ განვიხილავ. ძალიან მინდა, რომ მუშაობა „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ გავაგრძელო, რადგან ჯერ ერთი, აქაურობა მიყვარს, მეორეც, ეს ყველას ტელევიზიაა... მოკლედ, ძალიან მინდა, თუ საქმიანობას მედიაში გავაგრძელებ, ისევ „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ ვიყო...

— ანუ, არსებობს ალბათობა, რომ მედია დატოვო და, ვთქვათ, პოლიტიკაში წახვიდე?

— ვანო, გამორიცხული არაფერია! მით უმეტეს, რომ ჟურნალისტებმა, განსაკუთრებით, პოლიტიკურ თემებზე მომუშავე ჟურნალისტებმა პოლიტიკა ბევრ პოლიტიკოსზე უკეთ ვიცით!

— ესე იგი, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება, „თავისუფალი დემოკრატების“ სახედ გიხილოთ?

— მსგავსს არაფერს ვფიქრობ ამ ეტაპზე.

— დავიჯერო, ამაზე შინ არ გიმსჯელიათ? ისე, ბუკა ყველაფერ ამაზე რას ამბობს?

— ბუკამ ძალიან კარგად იცის, ეს პროფესია როგორ მიყვარს და იმასაც ხედავს, ყველაფერს როგორ განვიცდი. ძალიან წუხს... უბრალოდ, ძალიან მომთმენი და კულტურული ადამიანია.

— ცხადია, „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ არ ვგულისხმობ, მაგრამ როგორ ფიქრობ, მედია ბიზნესია თუ არა? თუ გაინტერესებს, ჩემს აზრს აქვე გეტყვი: დიახ, მედია ბიზნესია და ვიდრე ამას საქართველოშიც არ ვაღიარებთ, ჩვენი საშველი არ იქნება!

— „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ ფულს საზოგადოება უხდის და ესეც ერთგვარი საზოგადოებრივი ბიზნესია, ანუ საზოგადოებამ ამ არხით ყველა ის ინფორმაცია უნდა მიიღოს, რისი მიღებაც სურს, მაგრამ ნეტავ, საზოგადოებას ვინმემ ჰკითხა, ბუკა პეტრიაშვილის ცოლის, ეკა მიშველაძის მიერ წაყვანილი პოლიტიკური თოქ-შოუს ყურება უნდა თუ არა?

რაც შეეხება ბიზნესს, გეთანხმები, რომ საქართველოში მედიას ბიზნესად კი არა, სამწუხაროდ, პროპაგანდის იარაღად თვლიან. როგორც კი, ჩვენთან მედია ბიზნესი გახდება და მედია-მენეჯერები, ანუ ამ ბიზნესის მმართველები მიხვდებიან, რომ საზოგადოება ბევრად უფრო მაღალი სტანდარტის პროდუქციას იმსახურებს, ყველაფერი დალაგდება!

— ...ეკა მიშველაძე, თუნდაც იქიდან გამომდინარე, წეღან დასავლური მედიაინსტიტუტების წერილები რომ ახსენე, „ოცნებისთვის“ ერთგვარი ბომბი ხომ არაა?

— ჩემი არავის უნდა ეშინოდეს, რადგან ყველანაირი ძალადობის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ მგონია, რომ ადამიანები გონიერებას გამოიჩენენ და ვიმედოვნებ, საკუთარ თავს არ დააზარალებენ და ცუდად აშენებულ შენობას კიდევ ერთ აგურს არ გამოაცლიან!

— „ოცნებელებთან“ ამ თემაზე ტეტ-ა-ტეტ გისაუბრია?

— კი... ბევრი გამომეხმაურა, შენ ხომ ასეთი და ისეთი ჟურნალისტი ხარ და ვაიმე, შენს გადაცემასაც ხურავენო?!

— ბოლოს, ეკა, დღეს რომ გადაცემა გქონდეს, მთავარ თემად რას აირჩევდი?

— „გაზპრომს“. საერთოდ, ასეთ თემებს გვერდს არასოდეს ვუვლი ხოლმე...

— მეც ასე ვარ... წარმატებებს გისურვებ, ეკა!

ესაუბრა **ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

10 № 41 (305) 21-27 ოქტომბერი

ქართული ტყუპი

ლიტერატურული, ფილოსოფიური, ჟურნალისტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე



„ეს იყო ეთნიკური წმენდა!.. ხალხს „გუდრონში“ ყრიდნენ, ბეტონში ატანდნენ და მერე, ზედ „ბულდოზერით“ გადადიოდნენ!“

„კონფლიქტში საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის კოკოითსაც, რომელსაც კარგად ვიცნობდი, ადრე კომკავშირში იყო და მერე, ჩვეულებრივ ყაჩაღად გადაიქცა, ბანდა შექმნა, ხალხს თავს ესხმოდა, ოსებიც დახოცა და ქართველებიც. ახლა კიდევ, ოსებმა ლამის ეროვნულ გმირად აქციეს ეგ ბანდიტი. კულახმეტოვსაც კარგად ვიცნობდი, ნავზოროვსაც, ეს ხალხიც დასასჯელია... მაგათი ბანდა ხშირად ჩვენს სკოლაში იჭრებოდა და გვაწიოკებდა“.

რას ჰყვებიან სოფელ ერედვიდან დევნილები აგვისტოს ომზე – დოკუმენტური მასალები ჰააგის ტრიბუნალისთვის

ჰააგის საერთაშორისო სასამართლო, 2008 წლის აგვისტოს ომის დამნაშავეების გამოსარკვევად, გამოძიებას იწყებს. ამის მიზეზად ჰააგის პროკურორმა ფატუ ბენსუდამ საქართველოს მთავრობის მიერ საქმის ძიების შეწყვეტა დაასახელა. თითქოს ყველაფერი ნათელია: ადამიანებს სახლ-კარი გადაუწვეს, აწამეს, პრაქტიკულად, მომავალი წაართვეს, თუმცა როგორც ჩანს, ბევრი რამ კარგად შეუნიღბავს ოკუპანტს, რადგან დამნაშავეების გამოვლენის პროცესი, როგორც ვარაუდობენ, დიდხანს გაგრძელდება. რაც უნდა იყოს, იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ, ვინმეს დასჯა-არდასჯით არაფერი შეიცვლება... „ქართული სიტყვა“, დევნილებზე დაყრდნობით, სისხლიანი აგვისტოს მოვლენებს კიდევ ერთხელ აცოცხლებს – ეს მასალა ჰააგის ტრიბუნალისთვის თუ არა, ისტორიისთვის მაინც იქნება! საქართველოში დევნილთა ბევრი დასახლებაა. მე კი, ქვემო ქართლში, სოფელ კოდის დევნილთა დასახლებას დილით ვესტუმრე... მართალია, წვიმდა, მაგრამ სოფლის ქუჩებში, აქა-იქ, ხალხი ჯგუფად მაინც იდგა. ვკითხე, ომზე ლაპარაკი თუ გსურთ-მეთქი. მომიგეს, ჩვენ არა, მაგრამ სხვები დაგელაპარაკებიან. ისე, ომი ომია და რაღა უნდა გითხრათ მეტიო. მერე, შორიდან მომავალი მოხუცი დაინახეს, აი, ტარიელი მოგიყვება ბევრ რაღაცას, ყველაზე ბოლოს სოფლიდან ეგ გამოვიდაო. ტარიელმა დაკოჟრილი ხელი გამომიწოდა... სკამებისკენ გადავინაცვლეთ, ყველაფერს მოგიყვები, რა მაქვს დასამალიო, – მითხრა. ჩემმა მეგობარმა ფოტოაპარატი მოიმარჯვა, თუმცა მოხუცის თხოვნით, „ჩხაკუნი“ საუბრის ბოლოსთვის გადავდეთ. მოკლედ, 2008 წლის 8 აგვისტო, სოფელი ქურთა და კიდევ ერთი, საკუთარ სამშობლოში დევნილი ადამიანის ისტორია:

– განა, ტყუილი არ შემიძლია, მაგრამ არაფერს მოგატყუებ, რაც იყო, იმას ვიტყვი. რაც თავს გადამხდა, ის დასამალი არაა. 8-ში, ცხინვალიდან რეკავდნენ, ქალაქი ქართველებმა აიღესო. ჯავაც მიწასთან გასწორებულიაო, ჩვენ გაგვიხარდა, ეიფორიაში ვიყავით, საქართველოს თავისუფლება ვის არ გაუხარდება?! გამარჯვებამ აღგვაფრთოვანა, მაგრამ იმავე ღამეს ტანკები კეხვის თავს მოადგნენ...

სრული განუკითხაობა იყო... ჩემმა ცოლმა სამშვიდობოზე გასვლა შემომთავაზა, ვუპასუხე, ჩვენ გამარჯვებულები ვართ და არსად წამოვალ-მეთქი. ცაში თვითმფრინავებიც დაფრინავდნენ, აზრზე არ ვიყავი, ვისი იყო, ჩვენების მეგონა, მაგრამ რუსების აღმოჩნდა.

მეორე დღე რომ გათენდა, სოფელში ოსები შემოვიდნენ... აივანზე გავედი... სამი ოსი ჩემს სახლში შემოვიდა, არ ელოდნენ, რომ შინ ვინმე იყო და შეხტნენ. შენ აქ რა გინდაო, ქართულად მკითხეს, თუმცა ოსური აქცენტი ჰქონდათ. ვუპასუხე, ჩემი სახლია, სად უნდა წავიდე-მეთქი. ისიც არ ვიცოდი, რომ სოფელში მხოლოდ მე და ერთი კახნიაშვილიღა ვიყავით დარჩენილები...

ერთ-ერთი ოსი მეკითხება, ბიჭები თუ გყავს და რომელიმე ქართულ არმიაში ხომ არ მსახურობსო. ვუთხარი, ერთმა საბჭოთა ჯარი გაიარა, მეორეს კიდევ დეზერტირობის გამო, დასდევდნენ ქართველები-მეთქი. არადა, ჩემი პატარა ბიჭი ქართულ არმიაში მსახურობდა და მისი ფორმა საწოლის ქვეშ მედო დაკეცილი. ერთმა შემომხედა და მომახალა, უნდა მოგკლათო, უკვე მკვდარი ვარ-მეთქი, ვუპასუხე. მეორემ იარაღზე ხელი გაუკრა და ანიშნა, არ გინდაო... მერე, ფული მოითხოვეს. რომ არაფერი აღმომაჩნდა, ტელევიზორი და DVD წაიღეს...

სხვათა შორის, რატომღაც ნორმალურად მელაპარაკებობდნენ, რა თქმა უნდა, არაფრის ეშინოდათ... ჩემი შვილის ფორმა იქვე ახლოს იდო, ტელევიზორთან და გამიმართლა, რომ ვერ ნახეს, თორემ ნამდვილად მომკლავდნენ. საბედნიეროდ, გადავრჩი.

ოსები წავიდნენ... მე სახლში დავრჩი, არ ვიცი, ალბათ ნერვებმა მიმტყუნა, ვერ დავდიოდი, მუხლებზე ვიდექი და ვხოხავდი, 20 აგვისტომდე ასეთ დღეში ვიყავი...

ჩემი თვალით ვხედავდი, თუ როგორ დათარეშობდნენ ოსები ჩემს სოფელში, 2007 წელს სახლი დამეწვა, აღვადგინეთ, მაგრამ 2008-ში ოსებმა ისევ დაწვეს... თივით სავსე საბძელიც დამიწვეს, იმდენი საქონელი წაგვართვეს და ბალახს რაღას ერჩოდნენ?

ხეივანში, ბალახებში ვიყავი გაწოლილი, ფეხზე ვერ ვდგებოდი, ოსი დამადგა. ვიცანი, მკითხა, აქ რა გინდაო. მივუგე, წასვლა არ შემიძლია-მეთქი. საჭმელსაც ძლივს ვჭამდი – ხეივანში ყურძენს, ან ვაშლს თუ ვნახავდი... ამ ოსმა წყალი მომაწოდა, ჩვენი წყალი, თორემ მაგათ საერთოდ რა აბადიათ? ერთი მომთაბარე ხალხია, ყველაფერი ჩვენგან ისწავლეს.

ნელ-ნელა გამოვჯობინდი, წყლის ზიდვა დავიწყე ჭიდან. ერთხელ, ისიც ვიფიქრე, ბარემ, აქ გამოვიზამთრებ-მეთქი, მაგრამ სახლი აღარ მქონდა, საქონელიც წამართვეს, სხვაზე არაფერს ვიტყვი... მოკლედ, ჩემი იქ დარჩენა შეუძლებელი იყო. სოფელში რაღაც მანქანა შემხვდა და იქ მსხდომებმა მითხრეს, რომ კარალეთში იყო რუსების შტაბი, სადაც გადამცვლიდნენ და სამშვიდობოზე გამომიშვებდნენ.

გზაზე გავედი... რუსი რეპორტიორები შემხვდნენ, ფოტოები გადამიღეს, გვარი, სახელი და წარმომავლობა მკითხეს და წავიდნენ. მერე, სხვა მანქანამ გამოიარა, შიგ ოსები ისხდნენ. მათ რუსებს გადამცეს, რომლებმაც „ურალით“ თამარაშენთან მიმიყვანეს... ისევ გამოვიცვალე ტრანსპორტი. საბოლოოდ, ოლქის „მილიციაში“ მიმიყვანეს. ველოდი, რომ კარალეთში გადამიყვანდნენ და ქართველებს ჩამაბარებდნენ, ამიტომ ცოტა დავწყნარდი, სტრესი მომეხსნა.

ერთი რუსი ოფიცერი მომიახლოვდა და მითხრა, ნუ გეშინია, ვიდრე აქ ხარ, ხმას ვერავინ გაგცემსო. ამის მერე ჩამიყვანეს პატიმრებთან... იქ სულ 6 ქართველი ვიყავით... ზედამხედველს ვკითხე, რას მიპირებთ-მეთქი, მიპასუხა, ჩვენი ტყვე გახდიო და აქ მოგიწევს ყოფნაო. გულიანად შევაგინე. გავბრაზდი იმიტომ, რომ მომატყუეს... 35 დღე მომიწია ტყვედ ყოფნა.

მერე, ცხინვალის ციხეში გადამიყვანეს, სადაც, ძირითადად, ოსები ისხდნენ. პატიმრები ცუდად არ გვექცეოდნენ, საჭმელსაც გვინაწილებდნენ, მტრები კი ვართ, მაგრამ ციხეში მშიერი არავინ უნდა იყოსო.

ერთი ქართველი პატარა ბიჭი მოიყვანეს, ყველაფერში ის მეხმარებოდა, ტუალეტშიც დავყავდი – ძალიან დავუძლურდი და ვეღარ ვუძლებდი სიტუაციას. ექიმს გავესინჯე, მაგრამ ასე მითხრა, ისეთ წამლებს ვერ გამოგიწერ, რომ გეშველოსო...

იმ დღესვე, ზედამხედველის ყვირილი გავიგე, აბა, „დავაით“, „დაახვიეთ“ აქედანო. გამიხარდა – იქ სამი დღეც რომ გამეტარებინა, ჩემი ძვლებიც აღარ იქნებოდა...

კარალეთისკენ უნდა წავსულიყავით... იქიდან გორში გადამიყვანეს, ჩემს შვილს შეატყობინეს ჩემი ადგილსამყოფელი და აქ ასე აღმოვჩნდი.

ორი გოგო გამითხოვდა, მაგრამ დანარჩენი ოჯახის წევრები ერთად ვართ, ორი შვილი ჰყავს ჩემს ბიჭს, ჩემი მეუღლეც ჩემთან ერთადაა.

– ბატონო ტარიელ, თქვენი აზრით, ეს ომი ვის კისერზეა?

– დღესაც ვერ ვაანალიზებ, თუ რა მოხდა... ყველაფერი, რა თქმა უნდა, რუსების ბრალია! ჩვენ რომ მართლები ვართ, ეგ ნამდვილად ფაქტია, ჩვენი მიწა წაგვართვეს და სახლები დაგვიწვეს, მეტი რაღა უნდა ექნათ?! ეს მხოლოდ დევნილების კი არა, მთელი ქვეყნის ტრაგედიაა! ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ უკან დავბრუნდეთ, სხვა მოთხოვნა არ გვაქვს, არც ფუფუნებით ცხოვრებას ვითხოვთ და არც სხვა რამე განსაკუთრებულს. აქ ყველა იმას ნატრობს, რომ საკუთარ სახლში დაბრუნდეს! ჩვენ მშვიდობა გვინდა! მთავარია, ჯანმრთელობა და ერთმანეთის მიმართ სიყვარული გვქონდეს. რთულია, შენს სამშობლოში დევნილი რომ ხარ. იქ, სადაც დავიბადე, ფეხი ავიდგი, გავიზარდე, დღეს ვეღარ მიმესვლება... მეტი არაფრის თქმა აღარ მინდა, ეს არის ჩემი გულის წადილი.

მოხუცს დავემშვიდობეთ და დასახლების ცენტრისკენ გავწიე... ისე, ომის შესახებ გამოძიებების ჭეშმარიტებაში ცოტა ეჭვი შემეპარა – მე, რიგითმა მოქალაქემ აღმოვაჩინე ადამიანები, რომლებიც თავიანთ უბედურებასა და ოკუპანტის სისასტიკეზე ჰყვებიან და სახელმწიფო, ან საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორ ვერ ახერხებენ რუსი მაღალჩინოსნების დადანაშაულებას? – ფიქრში გართული სამ ჭარმაგ მამაკაცს მივადექი:

– გამარჯობა, უფროსო, ჟურნალისტი ვარ... მიამბობთ, რა გადაგხდათ 2008-ში?

– აბა, ვინ იტყვის, შვილო, რამეს, რომელი გეტყვის? – **მომიგო ერთ-ერთმა,** – ხალხი არეულია, რამე რომ გაიხსენოს, შეიძლება, გაგიჟდეს კიდეც. ქვეყანა რამე დავტოვე, მთელი ჩემი ნაწვალები, მოყოლა რომ დავიწყო, ნორმალურად არ ჩამთვლი... 42 წელი ვიწვალე და ყველაფერი წყალმა წაიღო.

– ფოტო რომ გადაგიღოთ, თანახმა ხა-

გაგრძელება მე- 11 გვ.

ᲮᲘᲠᲘᲮᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

21-27 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ | № 41 (305) | 11

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲜᲔᲠᲝᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

რუსული გაკვეთილები

მე-10 გვერდიდან

რთ?

– არა!..

– ის მაინც მითხარით, საით წავიდე, ვინ დამელაპარაკება?

– აი, იქით, მადონას მაღაზიისკენ...

ვიდრე „მადონას მაღაზიამდე“ მივიდოდი, წინ დიაცები შემომხვდნენ. თხოვნამ არ გაჭრა – ინტერვიუზე მათაც უარი მითხრეს და „სხვა მადონა “ მიმასწავლეს. აქეთ-იქით ყურებაში, რესპონდენტებიც გამოჩნდნენ:

– ბერუაშვილი გიორგი ვარ, სოფელ ერედვიდან. სხვათა შორის, ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ ჩვენი სოფლის მოძღვარზეა დაწერილი, ჩვენს ეკლესიაში მოღვაწეობდა ის პიროვნება...

მოკლედ, ერედვი ერთ-ერთი ყველაზე ძირძველი სოფელია საქართველოში და სამწუხაროა, რომ დღეს ოკუპანტების ხელშია.

ომის ისტორია გაინტერესებთ, არა? – ომი 2008-ში არ დაწყებულა, 20 წელი ომში მოგვიწია ცხოვრება... 60 წლის კაცი ვარ და მახსოვს, კვირაობით, ჩრდილოეთიდან მომავალ ოსებს ვუსაფრდებოდით ხოლმე, გვაინტერესებდა, როგორები იყვნენ და რას აკეთებდნენ. ისინი ჩვენს ტერიტორიაზე არ ცხოვრობდნენ, ამის უტყუარი მოწმე მე ვარ და ჩემი თაობის იქაურები. შემდეგ დავასახლეთ, მივიღეთ და ახლა რომ ვუფიქრდები, ბრძენი კაცი იყო ჯავახიშვილი, ჯაყოსავით მოგვექცნენ ოსები. ჩვენი მდგომარეობა მთლიანად რუსების ბრალია, დღეს სამაჩაბლოში არცთუ ბევრი ოსი ცხოვრობს და ისინი ჩვენ დაჩაგვრას ვერასოდეს მოახერხებდნენ. რა თქმა უნდა, ეს რუსული სცენარი იყო, რომელიც მათთვის წარმატებულად გათამაშდა.

დიახ, რუსების გარეშე ოსები ვერაფერს იზამდნენ, მაგათ შრომა არ უყვართ, მიწას ვერ ამუშავებენ...

– ჰააგის სასამართლოსგან რას ელით, ან ვინაა კონფლიქტში დამნაშავე?

– პუტინი!

კონფლიქტში საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის კოკოითსაც, რომელსაც კარგად ვიცნობდი, ადრე კომკავშირში იყო და მერე, ჩვეულებრივ ყაჩაღად გადაიქცა, ბანდა შექმნა, ხალხს თავს ესხმოდა, ოსებიც დახოცა და ქართველებიც. ახლა კიდევ, ოსებმა ლამის ეროვნულ გმირად აქციეს ეგ ბანდიტი. კულახმეტოვსაც კარგად ვიცნობდი, ნავზოროვსაც, ეს ხალხიც დასასჯელია... მაგათი ბანდა ხშირად ჩვენს სკოლაში იჭრებოდა და გვაწიოკებდა.

1990 წლიდან ომში ვართ, ხან ვის გაიტაცებდნენ და ხან – ვის... 2008-ში სხვა გზა არ დაგვიტოვეს, თორემ კიდევ დავრჩებოდით იქ და ქართულ სულს შევინარჩუნებდით. თითქმის ყოველ ღამე სროლები იყო, უკვე დაღლილები ვიყავით... რასაც მოასწრებდნენ, ყველაფერს იტაცებდნენ, ადამიანები მიწის დასამუშავებლად ვერ გადიოდნენ, საქონელს ვერ ვუშვებდით თავისუფლად, ძალიან ბევრი დახოცეს, აწამეს, დააკავეს და ყველაფერი ეს 2008-მდეც ხდებოდა.

ყველაფრის თავიდათავი რუსია, ოსი ვერაფერს გაგვიბედავდა. აგვისტოს ომშიც, რომ არა ავიაცია, მაინც გავუმკლავდებოდით ყველას, მაგრამ ზევიდან გვბობავდნენ და სხვა რა გზა გვქონდა? – იქიდან ერთი ჩვენთაგანიც იმ განცდით არ გამოსულა, რომ არასოდეს დავბრუნდებით, ის არის ჩვენი მამა-პაპის მიწა, იქ არიან ჩვენი წინაპრები დამარხულები. ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით!

ბოლოს, ქართველობა უკვე დანაშაულად ითვლებოდა! ეს იყო ეთნიკური წმენდა და ამის მოწმე მე ვარ. ოსი „მორადიორები“ ჩემს სკოლას ძარცვავდნენ, რუსებს ვუთხარი ყველაფერი, მაგრამ რახან ქართველი ვიყავი, იძულებული გამხადეს, სოფლიდან წამოვსულიყავი. ვინც იქ დარჩა, თითქმის ყველა დახოცეს.

90-იანებშიც ხალხს სასტიკად აწამებდნენ, „გუდრონში“ ყრიდნენ, ბეტონში ატანდნენ და მერე, ზედ „ბულდოზერით“ გადადიოდნენ. აი, იმ ქალის ქმარს, იქ რომ ცხოვრობს, ჯერ დროშის ტარი გადააყლაპეს, შემდეგ კი, ქვები ჩაუტენეს პირში. ახლა საკაშვილს აბრალებენ ყველაფერს, მაგრამ სად იყო მაშინ მიშა, ჩვენ რომ ათასი უბედურების ქვეშ ვიყავით?!

ქალებს შეურაცხყოფას აყენებდნენ, კაცები ყველა მტრად მიაჩნდათ. ამას რუსები და ოსები კონბინირებულად აკეთებდნენ, კაზაკებიც ჰყავდათ... ჩარხებზე ჭრიდნენ ადამიანებს, მიწის ჭამას აიძულებდნენ...

ესე იგი, არ იციან, ვინ არის დამნაშავე, არა? უბრალოდ, ბრმა უნდა იყო, ეს რომ ვერ დაინახო. ძველი ფაქტებიდან დაიწყონ გამოძიება, 1989 წლის 9 აპრილიდან! არც ერთი ქართველი აღარ ცხოვრობს სამაჩაბლოში, ყველას დაუწვეს სახლები, ყველა კვალის წაშლას ცდილობენ. სამი ჯგუფი დადიოდა ჩვენს სოფელში საძარცვავად, ჯერ რუსები მოვიდოდნენ და ძვირფასეულობისგან დაგვაცარიელებდნენ, მერე, ოსები ჩამოივლიდნენ და ბოლო ნაბიჯი იყო სახლ-კარის გადაწვა.

ოსებთან შერიგება ლამის მოახერხა ერგნეთის ბაზარმა, მაგრამ აქაც რუსებმა გააფუჭეს ყველაფერი, მაგათ არ აწყობთ ჩვენი მოძლიერება. ლაპარაკი რად უნდა: ყველაფერი საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა გამოიძიოს, ჩემი აზრით, ნამდვილად მოხდა ეთნიკური წმენდა სამაჩაბლოში და ეს ფაქტები ჰაერში გამოკიდებული არ უნდა დარჩეს!

ამასობაში, პროდუქტებით დატვირთული მანქანა მოგვიახლოვდა და იქ მყოფებმაც ყურადღება სატვირთოსკენ გადაიტანეს, წარმატება მისურვეს და დამემშვიდობნენ... წამოსვლას ვაპირებდი, კიდევ ერთი დევნილი გამომელაპარაკა და მითხრა, ყველაფერი რუსების მოწყობილია და ცხინვალი თავიანთი ბაზებისთვის უნდათ. ერთი ხელწერა აქვს ამ პუტინს და რითი ვერ გაიშიფრაო.

გამაკვირვა დევნილთა შემართებამ და იმედმა... მათ ყველაფერი წაართვეს, იმედის გარდა...

დავით გალაშვილი

რას ფიქრობს ხალხი

„მარგველაშვილს ქარიზმა აკლია და ესაა მისი ნაკლი!“

2012 წლის შემდეგ, კონსტიტუციაში ჯერ კიდევ „ნაციონალების“ ზეობის დროს შეტანილი ცვლილებებით, პრეზიდენტის უფლებები შეიზღუდა და ინსტიტუტიც, შესაბამისად, დასუსტდა. ამიტომაც, ზოგი ამბობს, მარგველაშვილი გინდ იყოს, გინდ – არა, აზრი არ აქვს, ვერაფერს აკეთებსო; ზოგიც, პრეზიდენტის „პასიურობას“ მისთვის კონსტიტუციით შეზღუდულ უფლებებს უკავშირებს. რას ფიქრობს ხალხი: არის თუ არა პრეზიდენტი აქტიური და თუ არა, რისი ბრალია – პიროვნულად, გიორგი მარგველაშვილის თუ კონსტიტუციის? „ქართული სიტყვა“ საზოგადოების აზრის გაგებას ე. წ. ქუჩის გამოკითხვით შეეცადა.

დავითი, 54 წლის: – რომ ვთქვათ, ვერაფერს აკეთებსო, მცდარი იქნება, რადგან რაღაც-რაღაცებს ცდილობს. რამდენად გამოსდის, სხვა თემაა... არც აქვს უფლება, რომ ბევრ რამეში ჩაერიოს, მაგრამ იმ უფლებების ფარგლებში, რაც კონსტიტუციურად გააჩნია, რაღაცას აკეთებს. ამ სისტემის მომხრე არ ვარ, როცა პრეზიდენტის ინსტიტუტი შეზღუდულია.... მარგველაშვილმა აჩვენა, რომ პიროვნებაა. კანონიერი გზით კი, ვეტოს დადებისა და გაპროტესტების გარდა, ვერაფერს იზამს.

ილია, 36 წლის: – პრეზიდენტის უფლებები რომ შეიზღუდა, არავინ კამათობს, მაგრამ მთავარია, რომ გიორგი მარგველაშვილი ხალხმა აირჩია და, ჩემი აზრით, ხალხის სურვილს უფრო ითვალისწინებს, ვიდრე – „ქართული ოცნების“. ამიტომ, ყველაფერს აკეთებს, რაც კი შეუძლია. არც არავისთან დაპირისპირების ეშინია და არც შეკითხვებზე პასუხს გაურბის, როგორც ამას „ქოცები“ აკეთებენ.

სოფო, 20 წლის: – გაწონასწორებული და სერიოზულია... მოკლედ, ცუდი „ტიპი“ არაა და მის მიმართ ცუდად არ ვარ განწყობილი, მაგრამ გინდ ყოფილა, გინდ – არა...

გიორგი, 20 წლის: – რამდენიც გინდა, ილაპარაკე, აანალიზე, იმსჯელე და მოიკალი თავი... ფაქტია, ვერაფერს აკეთებს!

ოთო, 27 წლის: – ძალიან მომწონს და რისი საშუალებაც აქვს, ყველაფერს კარგად აკეთებს. მისცენ მეტი უფლებები და ნახონ, რასაც იზამს... ზუსტად ვერ გეტყვით, რას იზამს, მაგრამ წინსვლისთვის ბევრ ნაბიჯს გადადგამს. მთავრობას რომ უფრო მეტი უფლება აქვს, უკეთესად იქცევა, ვიდრე – პრეზიდენტი?!

ნაზი, 44 წლის: – არ შეიძლება, პრეზიდენტის უფლებები ასე შეზღუდო... ქვეყნის შიდა საკითხებს რომ თავი დაანებო, მაინც, ქვეყნის მთავარსარდალია და როგორც ფლაგმანი, მარგველაშვილი უნდა წარსდგეს ევროპულ თუ სხვა ორგანიზაციებში. შევიწროვებული უფლებების მიუხედავად, მარგველაშვილი ცუდი პრეზიდენტი ნამდვილად არ არის.

ელმირა, 50 წლის: – მომწონს ჩვენი პრეზიდენტი, რადგან ვფიქრობ, განათლებული, მშვიდი და გაწონასწორებულია. ეს თვისებები კი, ყველა ქვეყნის მმართველს უნდა გააჩნდეს, მიუხედავად იმისა, ქვეყანას რეალურად მართავს თუ არა, თუმცა ზოგჯერ ის გადაწყვეტილება, რომელსაც ჩვენი პრეზიდენტი იღებს, არ მომწონს... შეუძლებელიცაა, ყველაფერში დაეთანხმო...

ვახო, 61 წლის: – ზოგჯერ კი ცდილობს, რომ მთავრობის წინააღმდეგ წავიდეს, მაგრამ შედეგს თუ შევხედავთ, ვერაფერს ცვლის. 2016 წლის არჩევნებში შეუძლია, რომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს... როგორი პრეზიდენტია? – ამ ეტაპზე პოლიტიკური წონა არ აქვს, სუსტია.

ალექსანდრე, 22 წლის: – მის შეფასებას იმის მერე შევძლებთ, როცა გვეცოდინება, თამაშობს თუ არა... არ ვიცი, როცა მთავრობას წინააღმდეგობას უწევს, ეს წინასწარ დადგმული და შეთანხმებულია თუ მართლაც აქვს საკუთარი აზრი, რომელსაც კბილებით იცავს. უფლებები რომ შეუზღუდეს, გასაგებია, მაგრამ ის არაა გასაგები, თავის გამოჩენას რატომ ცდილობს – ქვეყნისთვის თუ საკუთარი თავისთვის...

მარიამი, 34წლის: – პრეზიდენტი მარგველაშვილი ერთადერთი დადებითი მოვლენაა ქართულ პოლიტიკაში, თავისი გადაჩეხილ-გადმოჩეხილი უფლებებითაც. მეტს არაფერს ვიტყვი!

ზვიადი, 42 წლის: – „მამენტ“, ნორმალური პრეზიდენტია... პარლამენტს უსიტყვოდ არ ეთანხმება, თავის პოზიციას გამოხატავს და წინააღმდეგობასაც უწევს.

გიო, 26 წლის: – მარგველაშვილს პიროვნული ქარიზმა აკლია და ესაა მისი ნაკლი.

თორნიკე, 18 წლის: – განათლებული პიროვნებაა, მაგრამ ამ ბრბოს ხელში ვერაფერს ახერხებს. ალბათ, ისიც განათლების საკითხია, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც უპირისპირდება მთავრობის გადაწყვეტილებებს. ვფიქრობ, გიორგი მარგველაშვილს პრეზიდენტობა არც უნდა, ვერ ვხედავ, როგორც ლიდერს. მრჩეველის ამპლუაში უფრო წარმომიდგენია, ან განათლების მინისტრად.

ზაზა, 23 წლის: – უფლებების შეზღუდვა მთავარი არაა და ამას ჩვენი პრეზიდენტი ნამდვილად ამტკიცებს. არ მეგულება ადამიანი, რომელიც მის მიმართ ანტიპატიითა განწყობილი. ქართველებს გვიყვარს გადამეტება და მაგიტომ ვამბობთ, გინდ იყოს, გინდ – არა, აზრი არ აქვსო. აბა, შეგვიცვალონ და პრეზიდენტად, ვთქვათ, გია ვოლსკი დაგვისვან... მერე ნახავთ, რა შეეძლო მარგველაშვილს და რა – არა. კი ბატონო, რაც უფრო აქტიური იქნება, უკეთესია, მაგრამ ისეთიც მაკმაყოფილებს, როგორიც არის და რაც მთავარია, საქართველოსთვის გამოსადეგია.

მოამზადა ბექა ღიბრაძემ

12 № 41 (305) 21-27 ოქტომბერი

ქართული სიტყვა

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ, ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლისის ტბის წართმევის საქმეში მამუკა ხაზარაძე ფიგურირებს?!

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა“, ლისის ტბის გასხვისების საქმესთან დაკავშირებით, სკანდალური დოკუმენტები გამოაქვეყნა. როგორც ბრიფინგზე ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, არჩილ კაიკაციშვილმა განაცხადა, გასაჯაროვდა ბიზნესმენ რამაზ ახვლედიანის მიერ 2006 წლის 4 ოქტომბერს საქართველოს მთავრობისა და თბილისის მერიის მიმართ დაწერილი განცხადება, რითიც მაშინდელმა მაღალჩინოსნებმა ბიზნესმენს უძრავი ქონება და ბიზნეს-საქმიანობა დაათმობინეს. რამაზ ახვლედიანისთვის აღნიშნული განცხადება, 9 წლის განმავლობაში, ხელმიუწვდომელი იყო. დოკუმენტის მოპოვება „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის სახით შეძლეს. ლისის ტბის დათმობის ფაქტზე, რამაზ ახვლედიანის მიმართ განხორციელებულ იძულებასა და ამჟამად არსებულ ვითარებაზე, „ქართული სიტყვა“ „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელ არჩილ კაიკაციშვილს ესაუბრა.

– არჩილ, თქვენი ინფორმაციით, რა ვითარებაში მოხდა ბიზნესის დათმობა და ეს საქმე საზოგადოებისთვის ცნობილი ახლა რატომ გახდა?

– „ახალგაზრდა ადვოკატები“ განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ სამართლიანობის აღდგენის საკითხს და ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე ადვოკატირებას. ჩვენი იურისტების მთავარი მიზანია, ცალკეულ საქმეებთან დაკავშირებით, განვახორციელოთ მონიტორინგი და შევისწავლოთ შესაძლო კანონდარღვევის ფაქტები. რამაზ ახვლედიანის საქმე ერთ-ერთი ასეთია, რომელიც ორგანიზაციის ჩართულობის შედეგად, რეზონანსული აღმოჩნდა. ჩვენ ვახორციელებთ საქმის ადვოკატირებას, ვმუშაობთ კვლევაზე, რომელსაც საზოგადოებას ნოემბრის ბოლოს შევთავაზებთ. ჩვენამდე და ახლაც, მიმდინარეობს სასამართლო პროცესი, ბიზნესმენმა 2012 წლის ნოემბერში, საქმის შესწავლის მოთხოვნით, საქართველოს მთავარ პროკურატურას მიმართა. ჩვენი ჩართულობის მიზანი კი ისაა, რომ ეს ისტორია მხოლოდ ეროვნულ დონეზე კი არა, საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც გახდეს ცნობილი, ვიცოდეთ მისი დასკვნები და რეკომენდაციები. მიმაჩნია, რომ რამაზ ახვლედიანი ერთ-ერთია, რომელიც წინა ხელისუფლების მსხვერპლი გახდა. სახელმწიფომ, მაშინდელი ფინანსური პოლიციის მეშვეობით, ბიზნესმენის მიმართ ტოტალური ზეწოლა განახორციელა და ქონება ღამის საათებში დაათმობინა. საქმეში ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, ფინანსური პოლიციის ყოფილი უფროსის, დავით კეზერაშვილისა და ყოფილი ხელისუფლების სხვა მაღალი თანამდებობის პირების უშუალო ინტერესები იკვეთება.

საქმე ეხება ლისის ტბის მფლობელ რამაზ ახვლედიანის ბიზნეს-საქმიანობას, რომელსაც ბიზნესი და საკუთრება, მაშინდელი ფინანსური პოლიციის უშუალო ზემოქმედებით დაათმობინეს. საქმის მასალების მიხედვით, 1999 წელს, რამაზ ახვლედიანმა გაიმარჯვა გამოცხადებულ კონკურსში და იჯარა-გამოსყიდვის უფლებით გადაეცა ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობები. კონკურსის პირობებით, ბიზნესმენმა სახელმწიფოს წინაშე სრულად შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები – 2004 წელს სრულად გადაიხადა გამოსასყიდი თანხა, რის შედეგადაც, აღნიშნული ქონება საკუთრებაში უნდა გადასცემოდა. შესწავლილი დოკუმენტების მიხედვით, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის განკარგულების საფუძველზე, 2006 წლის 14 ივლისს, ლისის ტბის მიმდებარედ არსებული 63.5 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, პირდაპირი განკარგვის წესით, საკუთრებაში გადაეცა რამაზ ახვლედიანს, 267 ჰა არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი კი, პირდაპირი განკარგვის წესით, საკუთრებაში გადაეცა ს.ს. „ლისის ტბას“. პრეზიდენტის განკარგულებითვე, განსაზღვრული პირობები უნდა შესრულებულიყო 2006 წლის 31 დეკემბრამდე. კერძოდ, უნდა დაწყებულიყო ლისის ტბის რეაბილიტაციის პროცესი, მომხდარიყო აღნიშნული ტერიტორიის დასუფთავება, ლისის ტბის კომპლექსის განვითარების აქტის მომზადება, შესაბამისი ნებართვების მიღების შემდეგ კი, უნდა დაწყებულიყო მშენებლობა და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ პირობების უმეტესობა უკვე შესრულებული იყო, 2006 წლის 10 ნოემბერს, საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ახალი განკარგულება და ძალადაკარგულად გამოაცხადა რამაზ ახვლედიანისთვის 2006 წლის 14 ივლისს გადაცემული ლისის ტბის ნაკვეთები. პრეზიდენტმა ახალი განკარგულების მიზეზად ბიზნესმენის მხრიდან შეუსრულებელი ვალდებულებები დაასახელა, რაც საქმეში არსებული ერთი დოკუმენტითაც არ მტკიცდება.

– თუკი ბიზნესმენის მხრიდან განსაზღვრული პირობების შესრულებამდე არსებობდა გონივრული ვადაც, ახალი განკარგულების მიღებას ყოფილმა პრეზიდენტმა რა სამართლებრივი საფუძველი დაუდო?

– პრეზიდენტმა ახალი განკარგულება სწორედ იმ ვითარებაში გამოსცა, როდესაც რამაზ ახვლედიანის მხრიდან ყველა პირობა უკვე შესრულებული იყო და 2006 წლის 14 ივლისის განკარგულებითვე აღიარებული ამ პირობების შესრულების ვადაც – 2006 წლის 31 დეკემბერი ჯერ არ იყო დამდგარი. შესაბამისად, როდესაც პირობების შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა ჯერ ისევ არსებობდა, ამ ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარეც, ვადის გასვლამდე მსჯელობა, რომ ბიზნესმენმა რომელიმე ვალდებულება არ შეასრულა, წარმოადგენდა უსაფუძვლო და უკანონო გადაწყვეტილებას. სინამდვილეში, მოხდა შემდეგი: სახელმწიფომ, მაშინდელი ფინანსური პოლიციის სახით, პირდაპირი ზეწოლა განახორციელა და წარმატებული ბიზნეს-საქმიანობის ჩამორთმევა დაისახა მიზნად. 2004 წლის 4 ნოემბერს, რამაზ ახვლედიანი მაშინდელ ფინანსურ პოლიციაში დაიბარეს და ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმობა მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, პატიმრობით დაემუქრნენ. რამაზ ახვლედიანი იძულებული გახდა, თბილისის მაშინდელი მერიისა და საქართველოს მთავრობის სახელზე დაეწერა განცხადება და ეღიარებინა, რომ 1999 წლის საიჯარო ხელშეკრულებით, ასევე, პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის განკარგულებით ნაკისრი ვალდებულებები ვერ შეასრულა და მოითხოვა საიჯარო ხელშეკრულების გაუქმება, რომლის მიხედვითაც, მას გადაეცა ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია და რომელიც ბიზნესმენს უკვე გამოსყიდული ჰქონდა. წერილში რამაზ ახვლედიანმა უარი განაცხადა პრეზიდენტის განკარგულებით გადაცემულ 63,5 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში მიღების უფლებაზეც. განცხადება 4 ნოემბერს დაიწერა, თბილისის მთავრობაში ოფიციალურად დარეგისტრირდა 8 ნოემბერს, 9 ნოემბერს კი, თბილისის ყოფილი მერი, გიგი უგულავა წერილით მიმართავს მიხეილ სააკაშვილს და ატყობინებს, რომ ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია უკვე „ასათვისებელი“ იყო, ბიზნესმენის განცხადების ხელმოწერიდან მე-6 დღესა და თბილისის ყოფილი მერის მიმართვიდან მეორე დღეს, ანუ 10 ნოემბერს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი გამოსცემს ახალ განკარგულებას და რამაზ ახვლედიანს 1999 წელს შეძენილ, 2004 წელს კი პრეზიდენტის განკარგულებითვე გადაცემულ ქონებას ართმევენ. ამდენად, რამაზ ახვლედიანის საქმეში ღია და აშკარა დანაშაულის ნიშნები იკვეთება. რამაზ ახვლედიანმა, რომელმაც მნიშვნელოვანი ინვესტიცია განახორციელა ლისის ტბის განვითარებისთვის, ფლობდა და უძღვებოდა ბიზნესს, შეასრულა სახელმწიფოს წინაშე ყველა ნაკისრი ვალდებულება, სახელმწიფო ზეწოლის შედეგად, პირადი თავისუფლების შენარჩუნების ხარჯზე, უარი თქვა საკუთრებაზეც და ბიზნესზეც. როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, საკუთრების დათმობას ხელი შეუწყო იმ ბიზნეს-პარტნიორებმაც, რომელთა მოქმედებებშიც სახელმწიფოსთან ფარული გარიგებები იკვეთება. ლისის ტბის ამჟამინდელი მფლობელი „ფროფერთი დეველოპმენტ ჰოლდინგია“, რომლის მფლობელიც, წარსულში, რამაზ ახვლედიანის ბიზნეს-პარტნიორი მამუკა ხაზარაძეა. საქმის შემდგომ სამართლებრივ ქრონოლოგიაში სწორედ მამუკა ხაზარაძის კეთილსინდისიერების საკითხი იკვეთება.

– მამუკა ხაზარაძის კეთილსინდისიერების საკითხის გამოკვეთაში კერძოდ, რას გულისხმობთ?

– ამ საკითხს საფუძვლიანად ვსწავლობთ. ამიტომაც, არ მჩვევია დოკუმენტების გარეშე საუბარი. ჩვენს ხელთარსებული მტკიცებულებებით, „თიბისი ბანკის“ აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე, მამუკა ხაზარაძის მიმართ, საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ბევრი კითხვა არსებობს. ყველა კითხვა, მერწმუნეთ, ლეგიტიმურია. ფაქტი ერთია: ლისის ტბის ამჟამინდელი მფლობელი „ფროფერთი დეველოპმენტ ჰოლდინგია“, რომლის მფლობელიც, წარსულში რამაზ ახვლედიანის ბიზნეს-პარტნიორი მამუკა ხაზარაძეა. როგორც ბატონმა რამაზმა საჯაროდ განაცხადა, კარგია, რომ ლისის ტბა არსებობს თბილისისთვის და ვითარდება, ცუდი ისაა, რომ ყოველივე ეს, პარალელურ რეჟიმში, უშუალოდ რამაზ ახვლედიანის გარეშე ხდება. იმას, თუ რატომ მოხდა ასე, ბუნებრივია, აქვს არა ვარაუდები, არამედ, მტკიცებულებები. ჩვენი სამართლის ჯგუფი, ამჟამად, კვლევის სწორედ აღნიშნულ ეტაპზეა. მნიშვნელოვანი საჯარო ინფორმაცია მივიღეთ ქონების მართვის ეროვნული სააგენტოდან, სხვადასხვა უწყებიდან. კვლევა თითქმის დასრულებულია და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უახლოეს პერიოდში გახდება.

– რა ეტაპზეა საქმის წარმოება და რა მოლოდინი გაქვთ?

– საქმეს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი სწავლობს. სამწუხაროდ, არ ვფლობ ინფორმაციას, თუ რა ეტაპზეა საგამოძიებო მოქმედებები. არსებული ინფორმაციით, დეპარტამენტში 180 საქმეა. არ ვიცი, რატომაა უსაშველო ან რა ხარჯთან არის დაკავშირებული, რომ პროკურატურამ 180-ივე განმცხადებელს წერილი გაუგზავნოს და შეატყობინოს, საქმეების მიმდინარეობა რა ეტაპზეა. ეფექტური კომუნიკაცია მთლიანად უგულვებელყოფილია, რაც, რასაკვირველია, ძალიან სამწუხაროა, რადგან კიდევ უფრო მეტად აუცხოებს მოქალაქეების ნდობას საგამოძიებო ორგანოს მიმართ და სამართლიანობის აღდგენის მოლოდინი უინტერესო ხდება. ამიტომაც, მივმართავ პროკურატურას, როგორც რამაზ ახვლედიანის საქმეზე, ასევე, ყველა სხვა საქმეზე, ეფექტური კომუნიკაციის გამოყენებას მიმართოს. ეს საქმის ნახევარია.

ესაუბრა ნატა შამათავა

რამაზ ახვლედიანის „გაკულაკების“ უცნობი დეტალები – „ახალგაზრდა ადვოკატები“ სკანდალურ დოკუმენტებს ასაჯაროებს

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

KA000088897521915

№8041

07 / აგვისტო / 2015 წ.

ა(ა)ი „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელს, არჩილ კაიკაციშვილს

ბატონო არჩილ,

თქვენი 2015 წლის 17 ივლისის N309 (პრეზიდენტის ადმინისტრაციაში რეგისტრაციის N1/14779; 20.07.2015) განცხადების პასუხად გაგაცნეთ „ლისის ტბის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით განკარგვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის N382 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის N713 განკარგულების დამოწმებული ასლი, ასევე აღნიშნულ განკარგულებასთან დაკავშირებულ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დოკუმენტების ასლები.

დანართი: 5 (ხუთი) ფურცელი

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი

ეკატერინე ჯაფარიძე



საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

№ 713 2006 წლის 10 ნოემბერი ქ. თბილისი

„ლისის ტბის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით განკარგვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის N 382 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლისის ტბის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით განკარგვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის N 382 განკარგულება.

მიხეილ სააკაშვილი

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲛᲘᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ



1) სამართლის მიმართულებით კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპია) სპეციალობაზე მესამე საფეხური (წინაპირობა: საბაზო განათლების (9 კლასი) ატესტატი), მეოთხე საფეხური (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მესამე საფეხურის დიპლომი), მეხუთე საფეხური (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მეოთხე საფეხურის დიპლომი ან დიპლომის არქონის შემთხვევაში სტუდენტის პირადი ბარათი).

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ — 60 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ (ᲝᲠᲘ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘ), ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲔᲑᲘᲗ;

სწავლის საფასური **1200** ლარი.

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ — 60 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ (ᲝᲠᲘ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘ), ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲔᲑᲘᲗ;

სწავლის საფასური **1500** ლარი.

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ — 60 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ (ᲝᲠᲘ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘ), ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲔᲑᲘᲗ;

სწავლის საფასური **1500** ლარი.

კურსდამთავრებულს ენიჭება კრიმინალისტის შესაბამისად მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

2) მცირე ბიზნესის მწარმოებლის სპეციალობის მეოთხე (წინაპირობა: საშუალო განათლების დამადასტურებელი ატესტატი) და მეხუთე საფეხურზე (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მეოთხე საფეხურის დიპლომი ან დიპლომის არქონის შემთხვევაში სტუდენტის პირადი ბარათი).

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ 60 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ (ᲝᲠᲘ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘ);

სწავლის საფასური **1500** ლარი.

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ — 120 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ (ᲝᲗᲮᲘ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘ);

სწავლის საფასური **1500** ლარი (წლიური).

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ“ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ:

ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲡ ᲔᲜᲘᲭᲔᲑᲐ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ.

ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ 1 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲓᲐᲜ 25 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲐᲛᲓᲔ.
ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ 28 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ.

ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲜᲣᲡᲮᲐ: ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲐᲢᲔᲡᲢᲐᲢᲘ, ᲕᲐᲟᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ,

2 ᲤᲝᲢᲝ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ (3X4), ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲐ, ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ Ქ. **55**
ᲢᲔᲚ.: 2960104
tbuniver.edu@gmail.com

14 № 41 (305) 21-27 ოქტომბერი

ქართული ენა

ლიტერატურა. ჟურნალისტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

მსოფლიოს აუტიზმის ეპიდემია ემუქრება?!

რა დაავადებაა აუტიზმი, იკურნება თუ არა და რატომ არ ანიჭებენ აუტისტებს შეზღუდული შესაძლებლობის პირის სტატუსს

2025 წლისთვის მსოფლიო დიდი თავსატეხის წინაშე დადგება – აშშ ჩატარებული კვლევებით, ყოველი მეორე ახალშობილი აუტისტური სპექტრის აშლილობით დაიბადება. როგორ ემზადება საქართველო აუტიზმის ეპიდემიასთან საბრძოლველად? – „ქართული სიტყვა“ „საქართველოს აუტიზმის ასოციაციის“ პრეზიდენტ სოფიო კერესელიძეს ესაუბრა.

– ქალბატონო სოფიო, როგორც ვიცი, აუტიზმი შედარებით ახალგაზრდა დაავადებაა...

– აუტიზმი, მართლაც, ახლადაღმოჩენილი დაავადებაა, რომელიც პირველად პირველი მსოფლიო ომის დროს ექიმმა ქანელმა აღწერა. მანამდე ფიქრობდნენ, დაავადება ბავშვთა შიზოფრენიის ერთ-ერთი სახეობა იყო, თუმცა აღმოჩნდა, რომ აუტიზმი ნეიროგანვითარების დარღვევაა, რომელიც ფსიქიური აშლილობისგან განსხვავდება. როგორც შემდგომმა კვლევებმა აჩვენეს, ადექვატური, ინტენსიური და სწორი ინტერვენციის შემთხვევაში, დიაგნოზის დასმაც ხერხდება და მკურნალობაც.

– დაავადება რა ასაკში ვლინდება?

– სამწუხაროდ, სამი წლის ასაკამდე დიაგნოზს ვერ სვამენ, მაგრამ რისკის ფაქტორს განსაზღვრავენ. ამის მერე იწყება ადრეული ინტერვენცია, რომელიც ორწლიან ABA თერაპიას გულისხმობს და მდგომარეობა მკვეთრად უმჯობესდება. კვლევებმა ისიც აჩვენეს, რომ სხვადასხვა ფორმის აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ადამიანები გარემოსთან შესაძლოა, სრულიად ადაპტირებულნი იყვნენ, გახდნენ წარმატებული ხელოვანები, მეცნიერები. ამის მაგალითია დენვერის უნივერსიტეტის პროფესორი თემფლ გრენდინი, რომელიც 60 წლამდეა და ძალიან აქტიური ცხოვრებით ცხოვრობს. ამ ქალბატონზე ფილმიც კი გადაიღეს, სადაც ნაჩვენებია „აუტიზმი შიგნიდან“. ფილმში კარგად ჩანს, თუ რა სირთულეებს აწყდება, როგორია მის მიერ აღქმული გარე სამყარო, რაც განსხვავებულია ჩვეულებრივი ადამიანისგან. აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ქალმა შეძლო, საზოგადოების სრულფასოვანი წევრი გამხდარიყო – მისდევს მესაქონლეობას, კითხულობს ლექციებს.

– დაუნის სინდრომი ზედმეტი ქრომოსომაა. აუტიზმის გამომწვევი მიზეზები დადგენილია?

– აუტიზმი ნეიროგანვითარების დარღვევაა, რომლის მატერიალური სუბტრატი ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუმცა ვარაუდობენ, რომ არსებობს დაავადების მიმართ გენეტიკური განწყობა, რომელიც შეიძლება, აუტიზმის სპექტრის აშლილობით გამოვლინდეს, ან არ გამოვლინდეს. აუტიზმის გამომწვევი ზუსტი მიზეზი კი, ჯერჯერობით ვერავინ დაადგინა.

– შესაბამისად, დაავადების თავიდან ასაცილებლად პრევენციაც შეუძლებელია, არა?

– დიახ, პრევენცია შეუძლებელია. ვარაუდობენ, რომ დაავადების გამოწვევას ხელს ჰაერის მძიმე მეტალებით დაბინძურება უწყობს.

– თუ ასეა, მაშინ დაავადებულთა რიცხვი დღითი დღე მატულობს?

– აუტიზმის სპექტრის აშლილობის შემთხვევები ყოველწლიურად მატულობს. ახლახან, უახლესი ამერიკული კვლევები გამოქვეყნდა, სადაც ვარაუდი გამოთქვეს, რომ 2025 წლისთვის ყოველი მეორე ახალშობილი რისკის ჯგუფის მქონე იქნება...

– გამოდის, რომ მსოფლიო აუტიზმის ეპიდემიისთვის უნდა მოემზადოს?

– დიახ, უნდა მოვემზადოთ. დღეს მსოფლიოში აუტიზმის სინდრომიანი პაციენტების რაოდენობა ბევრად აღემატება შაქრიანი დიაბეტის, ონკოლოგიური დაავადებისა და სხვათა სიხშირეს, რაც ფრიად საგანგაშოა. კი ვამბობთ, რომ ოპერატიულები უნდა ვიყოთ, მაგრამ ოთხი წელი დაგვჭირდა, რომ აუტიზმის სპექტრის აშლილობის ინტერვენციის სახელმწიფო პროგრამა დაფინანსებულიყო. თუ ამ ტემპით ვივლით, ყველაფერი უფრო გართულდება. ჯობს, სახელმწიფომ ინვესტიცია თავიდანვე ჩადოს, რათა შემდეგ გაცილებით მეტი თანხის გაღება არ დასჭირდეს... აუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მხოლოდ სახელმწიფო კი არა, საზოგადოება, პედაგოგები და ჯანდაცვის სოციალური სამსახურებიც უნდა ჩაერთვნენ, რათა ერთი ბავშვიც არ დარჩეს საბავშვო ბაღის, სკოლისა თუ უმაღლესი სასწავლებლის გარეშე.

– აუტისტი ადამიანი შეზღუდული შესაძლებლობის პირის სტატუსით სარგებლობს?

– სტატუსს ჯერ არ ანიჭებენ, მაგრამ იმედია, უახლოეს მომავალში მიანიჭებენ.

– სტატუსის მინიჭება რატომ ჭირს?

– ქართული კანონმდებლობით, სტატუსს მხოლოდ ფსიქიატრი სვამს, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით კი, ამას მულტიდისციპლინარული ჯგუფი აკეთებს, რომელიც თერაპევტის, ნევროლოგის, მეტყველების, ოკუპაციური თერაპევტისა და კლინიკური ფსიქოლოგისგან შედგება. ფსიქონევროლოგიური დისპანსერის ფსიქიატრს კი, შესაბამისი კლინიკური გამოცდილება არ აქვს. ფსიქიატრები ბავშვებს, ვისაც ქცევითი, ან მეტყველების დარღვევები აქვთ, სხვადასხვა დიაგნოზს უსვამენ. მიმაჩნია, რომ ეს არასწორია. ნუსხაში, რის საფუძველზეც ადამიანს სტატუსი ენიჭება, აუტიზმის სპექტრის აშლილობაც უნდა იყოს მითითებული, რაც მეტად რთული პროცესია, მაგრამ შეუძლებელი არაფერია... როცა ბავშვს სტატუსი თავისი მდგომარეობით არ აქვს მინიჭებული, ეს იმას ნიშნავს, რომ სპეციფიკური სერვისი არ მიეწოდება. მაგალითად, ცერებრალური დამბლით დაავადებულებს ეს სტატუსი სახელმწიფო პროგრამაში მითითებული აქვთ და შესაბამის სარეაბილიტაციო კურსს გადიან, აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებს კი, რეაბილიტაცია აქამდე არ უფინანსდებოდათ. სექტემბრიდან კი, ერთი წლით, დაფინანსება თბილისის მერიამ ითავა. წესით და კანონით, რეაბილიტაციის კურსი ჯანდაცვის სამინისტრომ უნდა დააფინანსოს და მან მთელი საქართველო უნდა მოიცვას. როგორც ჩანს, გადაწყვიტეს, რომ ჯერ მხოლოდ თბილისი დაეფინანსებინათ, რადგან ამ პროექტის რეგიონებში განხორციელებას სირთულეები ახლავს.

– მაინც, რა სირთულეები?

– პროგრამის ასამოქმედებლად შესაბამისი სპეციალისტები არ ჰყავთ...

– ქალბატონო სოფიო, თქვენი ასოციაცია როდის შეიქმნა?

– 2009 წლის 9 სექტემბერს, ილიას უნივერსიტეტთან მემორანდული დაიდო, სადაც აუტიზმის პირველი ცენტრი გაიხსნა. აუტისტ ბავშვებთან „მწვანე სახლიც“ მუშაობს, რომლის მეთოდოლოგიაც ფსიქოანალიზზეა დაფუძნებული. ჩვენთან ინტენსიური მკურნალობაცაა შესაძლებელი – ბავშვებს ცხრა საათი ვამეცადინებთ და ისეთი შედეგები მივიღეთ, რომ არც ველოდით.

– ამ შედეგს, ასე ვთქვათ, ადგილობრივი გამოცდილებით მიაღწიეთ?

– ბევრი ლიტერატურა გვქონდა და ერთმანეთს ვასწავლიდით. ჩემს ამერიკულ გამოცდილებასაც ვუზიარებდი. გარდა ამისა, ყოველწლიურად ამერიკელი პროფესორებიც ჩამოდიოდნენ და საზაფხულო სკოლაში ლექციებს კითხულობდნენ, მშობლებსაც ხვდებოდნენ. ასე რომ, დღეს ილიას უნივერსიტეტის „ბავშვის განვითარების ინსტიტუტში“ აუტისტი ბავშვებისთვის სრულყოფილი სერვისი გვაქვს.

– რეაბილიტაციის პროგრამა ფასიანია?

– დიახ, ფასიანია. მართალია, მერია აფინანსებს, მაგრამ სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის ეს საკმარისი არაა – კვირაში ერთ შეხვედრას მოიცავს.

– აუტისტები ჩვეულებრივი ბავშვები არ არიან. როგორ ხდება მათი საზოგადოებასთან ინტეგრირება?

– ნორვეგიის განათლების სამინისტროს დაფინანსებული პროექტით, თბილისის რამდენიმე სკოლაში აუტისტი ბავშვებისთვის ინტეგრირებული კლასებია გახსნილი, თუმცა 14 წლის ასაკის ზემოთ ბავშვებისთვის, პრაქტიკულად, არაფერი არსებობს.

– როგორ იმსხვრევა სტიგმა?

– ჩემი დაკვირვებით, საზოგადოება მეტ-ნაკლებად მზადაა, რომ ეს ბავშვები საკუთარ წევრებად მიიღოს.

– საქართველოში აუტიზმის სტატისტიკა არსებობს?

– არა.

– ასეთ შემთხვევაში, სტრატეგიის შემუშავება, ალბათ, გაჭირდება, არა?

– სტატისტიკის შედგენისას სხვა ქვეყნების გამოცდილება ავტომატურად გადმოაქვთ, რაც იმას გულისხმობს, რომ საქართველოს მოსახლეობის, დაახლოებით, 1% აუტიზმის აშლილობით უნდა იყოს. თუ გავიხსენებთ, თუ რამდენია ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა, ეს ციფრი ძალიან დიდია.

– ისე, დაავადებას ეროვნულობა აქვს?

– არა, მეთოდოლოგიაც საერთაშორისოა. ჯერჯერობით ამერიკული ბორდი უპირატესობას ABA თერაპიას ანიჭებს, რომელიც მსოფლიოში გამოცდილი და აპრობირებულია.

– ე.ი. „საქართველოს აუტისტთა ასოციაცია“ ჯერჯერობით მხოლოდ თბილისით შემოიფარგლება?

– 2010 წლიდან, მხოლოდ ეს მოვახერხეთ. ზუგდიდში კადრების გადამზადებას დიდი ენთუზიაზმით ველოდებით. აჭარაშიც გვქონდა მცდელობები, მაგრამ ჯერ გამოხმაურება არ გვაქვს.

– აუტისტი ბავშვის მშობელმა ყურადღება რას უნდა მიაქციოს?

– პრევენცია ნულოვანი ასაკიდან იწყება – დედამ შვილს ბევრი უნდა ელაპარაკოს და მასთან სწორად იურთიერთოს.

– აუტიზმის დიაგნოზის დასასმელად ქართველი პედიატრები მზად არიან?

– ნეიროქირურგიის ცენტრს ჰქონდა პროგრამა, სადაც პირველადი სამედიცინო სპეციალისტების გადამზადება ხდებოდა. სამწუხაროდ, ბევრი პედიატრიც ამ უნარს ვერ ფლობს. არ ვიცი, რა მექანიზმები უნდა ამოქმედდეს, რომ ეს სავალდებულო გახდეს. ამ საკითხს, ალბათ, ისევ ჯანდაცვის სამინისტრომ უნდა მიხედოს. საჭიროა აუტიზმის სახელმწიფო პოლიტიკის დამკვიდრება. სხვათა შორის, ამის მცდელობა გვქონდა – „აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების შესახებ“ კანონპროექტი შევიმუშავეთ, რომელიც პარლამენტსა და ჯანდაცვის სამინისტროში გავაგზავნეთ. ერთხელ, ამ საკითხზე შეხვედრაც გვქონდა და ყველაფერი ამით დამთავრდა. მიმაჩნია, რომ პროცესი ძალიან ნელა მიდის, რაც არასახარბიელოა.

– მაინც, როგორია აუტიზმის სინდრომის ბავშვი?

– ამ ბავშვებს ქცევითი აშლილობა ახასიათებთ, კომუნიკაციას ვერ ახერხებენ, რაც გარემოსთან შეგუებას ხელს უშლის და აგრესიულებიც ხდებიან, მაგრამ ქცევითი თერაპიით ამის მოწესრიგება შესაძლებელია.

– ე.წ. ქცევითი თერაპიის გამოყენება მშობლებსაც ხომ შეუძლიათ?

– თუკი მშობელი ფსიქოლოგია, გარკვეულწილად, რაღაცას შეძლებს, მაგრამ მაინც ვერ შეძლებს, პრობლემას თავი ბოლომდე გაართვას.

ესაუბრა ნათია გოგიტიძე

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ქართული სიტყვა

21-27 ოქტომბერი | № 41 (305) | 15

ლიტერატურა. ენერგეტიკა. პოლიტიკა

გზა ჟაობისაკენ

კომუნისტური „ჰეფი ენდი“

დღეს დედას სასამართლო პროცესი გაიმართა. მე არ წავსულვარ. ასე მგონია, ჩემი ადგილი იქ არაა. რა გავაკეთო, არ ვიცი. გამიძლებს ნერვები? — ძნელი საყურებელი იქნება, როგორ შემოიყვანს ბადრაგი დედას. მოსამართლე ხის ჩაქუჩს დააბრახუნებს მაგიდაზე. პროკურორი საეტაპო სიტყვით გამოვა, ქადაგად დავარდება, ბრალდებების კორიანტელს დააყენებს. ადვოკატი თავისას გაირჯება, ხელებს უმწეოდ გაასავსავებს. დაზარალებულები, ვაი-ვიშის, სამართლიანობის გამარჯვების იმედით, მოწმედ გამოძახებისას, მთელი დამაჯერებლობით ირატრატებენ, გუდას პირს მოხსნიან — არაფერი სიმართლის გარდა! თავაწეულები სკამებზე დასხდებიან, დაიწყებენ გაუგებრობაში მოხვედრილი გვრიტის პოზიორობას. გაუმაძღარი სიხარულით დაელოდებიან უზენაეს განაჩენს.

ასეც მოხდა — სამი წელი მიუსაჯეს. სასჯელს ქალთა კოლონიაში მოიხდის.

სამართალი აღსრულდა!

სამართალმა პური ჭამა!

მომჩივანი პუბლიკა უკმაყოფილოდ შეიშმუშნა: სამი წელი, ასე ცოტა? არ ეხატებათ გულზე განაჩენი. ბუზღუნებენ. მეტის მისჯას მოითხოვენ. იმდენად გათავხედდნენ, თავს ნებას აძლევენ, სახელმწიფოს სამართლის ნორმებს უწუნებენ.

მოსამართლემ თვალები გადაუბრიალა:

— დამეკარგენით აქედან, სანამ მთელები ხართ, თორემ ამ ქალბატონის გვერდზე მიგსვამთ, როგორც ქრთამის მიცემაში თანამონაწილეებსო...

გაუმარჯოს საბჭოთა სასამართლოს, ყველაზე ჰუმანურს მსოფლიოში!

მინდა, დავთვრე.

გზაზე გადავიდე.

ფიქრებში გართულს, „ვოლგამ“ გადამიაროს, მაგრამ მძღოლს რას ვერჩი? — დაიჭერენ და ორი ოჯახი გაუბედურდება.

ცოცხალი ვარ, ცოცხალი!

წყალში ვდგავარ, ბალღამი მიკიდია.

დავმუნჯდი! ხმას აღარ ვიღებ. ბევრი ცდილობს ჩემდამი მზრუნველობის გამოჩენას. ოჯახი სარჩენია. დიდი არჩევანის წინაშე დავდექი.

ეზოში კრება გაიმართა. ერთი მეზობელი მშენებლობაზე მეპატიჟება. მეორე — რქებისა და ჩლიქების კანტორაში. მესამე — ტყავის დამამზადებელ ფაბრიკაში. მოფიქრებისთვის ერთი დღე მომცეს. მეორე სართულის ლოჟიდან თამარა დეიდამ წარბი შეიკრა. უკმაყოფილებას ვერ მალავს:

— რა მშენებლობა, რის საამქრო. კომბინატორად გინდათ აქციოთ ბავშვი? — ფეხი შინაურულად, საგარეო ფლოსტებში შერგო, — წამოდიო.

უსიტყვოდ მივყვები. ეზოდან გავედით. ქუჩას დავუყევით. თამარა დეიდა, ,,სვეტსკი“' ქალია, ძველი ,,არისტაკრატკა“. გზაში თანატოლივით გამიბა საუბარი:

— ახლა, პარკში მივდივართ, ჩემს დისშვილს თეატრი აქვს. მთავარი რეჟისორია. ვეტყვი, რამე მოგიძებნოს. შეღავათს გავაკეთებინებ. დარჩენილ ერთ წელს არ გაგაცდენინებთ, სკოლაშიც ივლი. უსწავლელს არ დაგტოვებთ. ატესტატი გინდა. ჯერ მივიდეთ, ვნახოთ. რა დროს შენი მშენებლობაზე მუშაობაა. ეგენი სულ გაგიჟდნენ. მთლად ახალგაზრდა ბიჭი ხარ. არსად გაიქცევა ტყავის გაძრობა ფაბრიკაში.

შემომხედა, ბავშვივით გადაიკისკისა. ჩემს გულში სიხარულის ჩამკვდარი სიმი გამოაცოცხლა. ჰაერი იმედით გაიჟღინთა. ნაბიჯებს თავდაჯერებულობა შესძინა.

— რას ვამბობდი? გამახსენდა. აკაკისთან იქნები, ილიასთან, ვაჟასთან. ინტელიგენტ ხალხში იტრიალებ. მშენებლობაზე არანაკლები რუტინული სამუშაო გექნება. სცენის მტვერს ჩაისუნთქავ, თუმცა რას ვლაქლაქებ, მივალთ, დავილაპარაკებთ. ვნახოთ. ხალხი კეთილია, ხელს არ გვკრავენ...

მუსაიფ-მუსაიფში ქუჩის ბოლოში გავედით. ტრამვაის ლიანდაგი შუაზე გადავჭერით. პარკის შესასვლელისკენ გავეშურეთ. ცაში ატყორცნილ ხეებში შეყუჟული ჩიტები ჟღურტულებენ: — ბიჭო გოგია, ბიჭო გოგია, მრავალხმიანობაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. ჩვენ გზას გალობით მოაცილებენ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მინდა მჯეროდეს...

პარკში შევედით. კულტურისა და დასვენების, ვიღაც რევოლუციონერი იმანოს სახელობისაა. კარუსელებზე ბავშვები ქანაობენ. არის ერთი გნიასი. პატარა ზღაპარში გეგონება თავი. საბავშვო ორთქმავალმა დაიკივლა. საქვაბურის მილიდან კვამლი ამოაფრქვია. გვერდებიდან ორთქლი გამოუშვა. ბურუსში ჩაიძირა მთელი სადგური. ვაგონები შეირწნენ. ტაატით გასრიალდნენ რელსებზე. დახუნძლული, ყიჟინითა და ჟრიამულით...

ჩუქ-ჩუქ-ჩუქ...

მივადექით ხის საზაფხულო თეატრის შენობას. გარეშემოვუარეთ. ბოლო ფლიგელში კიბეს ავუყევით. თამარამ, აქ დამელოდეო. დიდხანს არ მომიწია ლოდინმა. მალევე დამიძახეს. შევედი დირექტორის კაბინეტში. იქ დამხვდა ორმოციოდე წლის მამაკაცი. თამარას დისშვილი, მაესტრო ამირანი. კაი დიდი ხნის ნაცნობივით მიმიღო. დაიწყო საუბარი. ლაპარაკობს, თან ხელებს იშველიებს. გეგონება, ორკესტრს ხელმძღვანელობს, ფორტეპიანოზე უკრავსო. ამ ხელების მოძრაობას ემორჩილება მუსიკა, სცენიდან მოსმენილი, ფარდა — შერხეული მსახიობის მღელვარებისგან, კულისები, მაყურებელი.

ვაიმე!

ლამის თავში შემოვირტყა, ისე გამაბრუა ამ კაცმა თეატრზე ლაპარაკით. ტუზი დამეცა. გასვლა აღარ მინდა თეატრიდან.

ისა ამინი

ტუალეტის ქაღალდზე დაწერილი დღიური

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ქართული სიტყვა“ №30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40)

ასე მგონია, აქ დავიბადე. მერე ტყვედ წამიყვანეს. მაესტროს ხელებმა იავნანასავით იმოქმედა და გააღვიძა წარსული. მინდა, ხელები გავშალო და ვიცეკვო. დავლურით შემოვიარო მთელი ქვეყანა. ჰაერში ავხტე. მინდორში ვიკოტრიალო. პურის ყანაში თავთავები შევაგროვო. ყაყაჩოების მდელოზე წამოვწვე. ალბათ, მიხვდით, თავში რიგზე არ მაქვს. ჭანჭიკი მოშვებულია. ნუ ინაღვლებთ, ყველაფერს მოევლება. როგორც იტყვიან, ზემოთ არავინ დარჩენილა. ახლა კი თეატრში ვრჩები.

რა სჯობია, სპექტაკლის წინ კულისებში ბოდიალს. საგრიმიორო ოთახებში მსახიობები ემზადებიან. შენთვის არავის სცხელა. შენ კი გცხელა, თან როგორი გაფხორილი დადიხარ. თანამონაწილე ხარ ამბებისა, რომელიც აქ გათამაშდება. მზადა ხარ, შეასრულო ნებისმიერი დავალება: პროჟექტორში ნათურას ვცვლი. კულისებს ვასწორებ. ფარდას დავხურავ. დეკორაციას თავის ადგილს მივუჩენ. მაესტრო, როგორც თანატოლს, დაგყვება. შენს მაგივრად აკეთებს ყველა წვრილმანს. ეს ასე, ის ისე. ეს სოფიტი აიწიოს. პორტალი გასწორდეს. ცოტა ბრაზიც გიპყრობს. ბრძანებას იძლევა, თვითონვე ასრულებს. შენ გასაკეთებელს აკეთებს. გვიანღა ხვდები, ბრიყვო, გასწავლის, გიხსნის, თამაშობს. მიძინებულ არტისტს აღვიძებს შენს სულში. კარგია. მუღამს იჭერ. გიხარია და აჰყვები ამ თამაშს. მუდმივად თუ ჯიბეში ჩაიყოფ ხელებს და ჯიბის ბილიარდს აათამაშებ, დარჩები სიცოცხლის ბოლომდე მესამე ბორცვის მეათე ხის ძირში ქამა სოკოდ. სხვაც რომ არაფერი, ჩემს სიფათზე ამოიკითხა, ყველაფერი რიგზე არ მაქვს. თავს არაფერი მოვწიო ფარცაგი. არადა, ჩემს სულიერ მდგომარეობას ჰაერივით სჭირდება მამა, დამრიგებელი. ორიოდე გამამხნევებელ სიტყვას ოქროს ფასი აქვს ჩემთვის. ლამისაა, ღამეც აქ, თეატრში დავრჩე და დავიძინო. მზადა ვარ, თეატრის მოხუც დარაჯ დიანოზას უკვდავების წყლის მოსატანად გავეგზავნო (მაღაზიიდან ორი ბოთლი ღვინო!)

ხელფასი ასორმოცდაათი მანეთი დამენიშნა. მეტი ხელშეწყობა რაღა გინდათ?! — სკოლის მოსწავლე ვარ, არ დაგავიწყდეთ. შეთავსებით, — სცენის მუშა. ჩემი ახალი თანამდებობა მახალისებს. დიახაც, არ გავუცვლი არაფრისდიდებით ციხის უფროსს, რაიკომის მდივანს, უშიშროების საბჭოს თავმჯდომარესა თუ ვაშლის გამყიდველს. მშვიდობაში მოგახმაროთ, ბატონებო. ჩემი საქმე საპატიოა. არაფრით ჩამოუვარდება თქვენსას.

პირველი ხელფასით ძირგამოვარდნილი ფეხსაცმელი გამოვცვალე, რომლის დახეული გვერდებიდან ფეხის თითებს გულმოდგინებით ჰქონდათ შესწავლილი და ნაგემი ასფალტის მტვერი,სკოლის პარკეტზე დაყრილი ნახერხი და შხაპუნა წვიმის სისველე. თამარა დეიდა გამარჯვებას ზეიმობს მეზობლებსა ზედა...

რაღაც დიდი ენერგიის მოზღვავება ვიგრძენი. ცოტა გამოვიხედე ცხოვრებისკენ, რომელიც ჩემთვის მტკვრის ხიდთან დამთავრდებოდა, ისე ვიყავი გულაცრუებული ამ სოფლის მიმართ.

ჩემი სახლიდან პარკამდე მისვლას ათი წუთი სჭირდება. დილით ექვს საათზე, როგორც კი დააგუგუნებს რადიო საბჭოთა კავშირის ჰიმნს, წამოვხტები, ხელ- პირს ვიბან. კედებსა და სპორტულ შარვალ-მაისურ-

გაგრძელება მე-15 გვ.

16 № 41 (305) 21-27 ოქტომბერი

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲒᲖᲐ ᲭᲐᲝᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ

ᲛᲔ-15 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ში გამოწყობილი მივემართები ბაღში. დილაობით პარკი სავსეა ჯანსაღი ცხოვრების მიმდევარი ადამიანებით. დარბიან. წრეს ურტყამენ ბაღს. სავარჯიშოებს ასრულებენ. ერთი ინფარქტგადატანილი ექიმი, დილიდან შუადღემდე, დარბის, დაძუნძულებს. რამხელა ნებისყოფაა – საკუთარი თავი სნეულებისგან გამოჰყავს. ეტყობა, ტკბილია სიცოცხლე. მეც დავრბივარ. ორ-სამ წრეს შემოვურბენ ბაღს. რამდენიმე სავარჯიშო ილეთს ვასრულებ. თეატრის დარაჯს გავესაუბრები.

დიღმელი არსენა, არღანზე მოქეიფე, სულ მუდამ შექეიფიანებულია. დარაჯების უმეტესობა ასეა. არსენას მოუხდება გვარად ფანტიაშვილი. ფულის ხარჯვა უყვარს. მეორე დარაჯი, დიანოზა ყურუმსაღი მოხუცია. მეორე მსოფლიო ომშია ნამყოფი. ომის საზარელ თავგადასავალს ისე იუმორისტულად მოყვება, სიცილით ვიგუდები. მეორე შვეიკია.

– გამარჯობა, დიანოზ!

– შენი გამარჯობა რად მინდა. აგე, ორ ნაბიჯში გასტრონომია, ორი ბოთლი ღვინო, „გარეჯი“, ეგ იქნება გამარჯობაცა და აღმასვლაცა, გენაცვლება დიანოზა პაპა.

ფული როცა მაქვს, ვყიდულობ. დიანოზა „გასწორებულშია“. იმ შემთხვევაში, მეინახეობას თუ არ გავუწევ, უკმაყოფილოა. ბურტყუნებს დათვივით:

– განა, მე „ბასიაკი“ ვარ. სად გეჩქარება, სკოლაში? მოიცა, მე მოგიყვები მთელ სკოლასა. ივარჯიშე? ყოჩაღ! ერთი „სტაქანი“ გადაჰკარი, ხასიათზე მოხვალ. გონება გაგეხსნება. დარდი ნურაფრისა გექნება. დანარჩენს მე დავლევ, შენი ჭირიმე. ეს ისე, თორემ სავსე ბოთლს რა გააჩერებს. თაფლი იყოს, ბუზი ბაღდადიდან მოფრინდებაო. მაძებრებივით არიან, თითქოს სუნი იკრესო.

უცებ, საიდან სადაო, ნაძვნარიდან გამოყოფს თავს რომელიმე ღვინის მოყვარული მსუნაგი დარაჯი, გვერდით მდებარე ობიექტიდან.

ვარჯიში დამთავრებულია. მივდივარ სახლში. ადგილი უბანში, რომელსაც საკვანძოს ვეძახით, დილაადრიან სავსეა ლოთბიჭებით. თათარიახნად დალევენ ცოტას. სამსახურებში მიდიან. ზოგიერთი იქვე რჩება მთელი დღის განმავლობაში. ძირითადად, – პენსიონერები. დიდის ამბით ვესალმებით ერთმანეთს. გუმანით ხვდებიან, ალბათ, მათ მომავალ თანამოაზრეს, საკვანძოს მომავალ თანამშრომელს...

სპექტაკლში მომცეს პატარა დავალება: დეკორაცია ვარ. სცენის უკანა მხარეს ვდგავარ, ჯოხზე წამოცმული, დიდი შავი ნაჭერი მაღლა მაქვს აწეული. ქოხის შესასვლელს განვასახიერებ. მეორე მოქმედებისას, პატარა ეპიზოდში, მოკუნტული ვზივარ. თავზე კვადრატული ზომის ფანერა მაქვს დაკოსებული. რესტორანია ვითომ. მაგიდის მოვალეობას ვასრულებ. ხედავთ, რამხელა გარღვევაა კარიერაში? სცენის მუშის საქმიანობას მსახიობ სტატისტობაც დაემატა. ერთი დაგანახათ, როგორი გაფხორილი დავდივარ კულისებში. ვიდრე სცენაზე გავალ, ისეთი სახე მაქვს მიღებული, გეგონებათ, ჰამლეტის მონოლოგს ვკითხულობ ან, სულაც, დეზდემონა მყავს მისახრჩობი. როლში შევდივარ. არ მომეკაროთ. შინაგანი სამყარო არ ამიფორიაქოთ, თორემ ქოხი თუ ავწიე ალმაცერად, რეჟისორის გენიალური ჩანაფიქრი დაირღვევა. მაგიდა პროპორციულად თუ არ დავიკავე, იდეური ხაზი აირევა, რაც სპექტაკლის ხარისხზე დამღუპველად ცუდ კვალს დატოვებს. ნაბიჯებს ფრთხილად ვადგამ, არაფერს წამოვედო. გაცნობიერებული მაქვს, ჩემს მხრებზე გადადის შოუს მთელი სიმძიმე. რამე ფარსაგი რომ დამემართოს, ხომ ჩავარდა წარმოდგენა.

დამთავრდა სპექტაკლი, გავედით ბოლოში. ფარდა დავხურე. გაისმის ტაში. მსახიობები სცენაზე ბრუნდებიან. მოწიწების და მადლიერების ნიშნად, მაყურებლის წინაშე თავს ხრიან.

დიანოზა, თავის საყარაულო ოთახში, პატარა სადებიუტო ბანკეტს მიწყობს. საპატიო სტუმრები ადგილზე არიან, ბროწეულის ყვავილივით გაწითლებული ცხვირებით: პირველი დარაჯი დიღმელი არსენა,

პირველი მეხანძრე, დიღმელივე მიტო, საწყობის გამგე ოტო, პარკის მუდმივი ბინადარი, სახლიდან გამოქცეული კულტურული ბომჟი ვასია. დიანოზამ, დარაჯთ ყარაულმა, ღვინის გახსნილ ბოთლზე თავისი განუყრელი, ფრონტისდროინდელი ჯაყვა მიაწკარუნა, სიტყვა მოითხოვა: სმენა იყოს და გაგონება:

– დღეს ჩვენ მოწმენი გავხდით ახალი გენიის დაბადებისა. ნათლობა შედგა სცენაზე ამომავალი ვარსკვლავისა. წარმატება ვუსურვოთ. სადილობისას და ვახშმობისას მის მაგიდას, სამ ბოთლზე ნაკლები ღვინო არ მოკლებოდესო.

მეხანძრე მიტომ, შიში ნურაფრის გექნებაო, შენს დიდებულ ნაჭრის ქოხს ხანძრის საშიშროება არ დაემუქრება. აქა ვარ, ჩემი იმედი გქონდეს. ცეცხლსაქრობი ბალონები მზადყოფნაში მაქვს მოყვანილი. ერთი დიდრონი ყუთიც სილითაა გამოტენილი, გვერდზე ჩამოკიდებული ლაპლაპა ნიჩბითაო.

არსენამ, პირველმა დარაჯმა, ულვაშებზე ხელი მოისვა, მრავალმნიშვნელოვნად ჩაახველა, თვალი ჩამიკრა. ერთი, ნება დამრთონ, შენ მაგიდას ჩემი არღნით დავამშვენებდი. კარგი იქნებოდა, ერთი ბოთლი მაინც მიეხატათ ზედაპირზე. ოდნავ შეტოკტებოდი, მოცეკვავე ბოთლი ქეიფის ეშხზე მოიყვანდა მაყურებელსო.

ვასია კომბაინივით მიადგა სუფრას. გემრიელად ილუკმება. სამხატვრო საბჭომ ვეღარ მოითმინა, საყვედური აკადრა. დებიუტია, ბიჭს ერთი-ორი სიტყვა უთხარი, შეაგინე მაინცო.

ვასიამ პირი იდაყვით გაიწმინდა. ძეხვის ნაჭერს დანანებით მოწყვიტა თვალი. თავისკენ მიაჩოჩა. თანამეინახეებს შეხედა ნიშნისმოგებით, დაჯავშნულიაო. ჭიქა ასწია:

– ამიერიდან შენი ტალანტის გულშემატკივარი ვარ. დრო თავზესაყრელადა მაქვს. ოჯახს მე არ ვახსოვარ. ყოველ საღამოს დავესწრები წარმოდგენას. ბუკეტი შენ არ გჭირდება. კარგად იცი, არც მაგის გასაჭირია – ყვავილებს მიაქვს ბაღი. იმედია, მალე დაგაწინაურებენ. ახლო მომავალში გიხილავთ, როგორ ვირტუოზულად შეასრულებ და მოირგებ მესამე ბორცვის პირველ სოკოს, სადარბაზოს ანჯამებზე ჩამოკიდებულ კარის, გიტარის სიმების, მდინარეზე გადებული ხიდის მოაჯირის. კედელზე ჩამოკიდებული თოფის, რომელიც გაისვრის, ბოლოს და ბოლოს, როლს. იმდენის ტრაკი გექნება, კვირაში ერთხელ გვაქეიფებ, დუქანში დუდუკებზე. დასაწყისისთვის ეს სუფრა ვიკმაროთ. ქოხი გაქვს, რაც მთავარია, მაგიდაც. ჯერ ჩვენ გაგიშლით მაგიდაზე პურ-მარილს. მომავლის დუქან დუდუკებზე ხვალემ იზრუნოს.

ვასიამ, „ტაბურეტკა“ მომაწოდეთო. იღლიაში დოლივით ამოიღლიავა. არსენამ სავარცხელზე გაზეთის ნაგლეჯი გადაფინა, პირთან მიიტანა, შეუბერა. გეგონება, ნაღდი დუდუკი მოსთქვამს. დიანოზამ და მიტომ ყელები სირინოზებივით მოიღერეს. იეთიმ გურჯული ააქვითინეს, „ცივ ზამთარში უსახლკაროდ, სიცივეში გავატარე...“ პუბლიკამ მიმიღო, შემაქო, მომავალი დამისახა და დამლოცა...

მოკლე რეზიუმე: ვიდრე წერას გავაგრძელებ და თავს მოგაბეზრებთ, ასე და ამგვარად, ვინაიდან და რადგანაც, ვირი მოუკვდა მაგდანას, რისიც ყველაზე ძალიან მეშინოდა, გადავრჩი... მეც და კაცობრიობაც. დედამიწა არ გაჩერებულა. შავებიც არ ჩაუცვამთ გლოვის ნიშნად ადამიანებს. ცოტათი დავლაგდი. მინდა, ისევ მივუბრუნდე სასამართლო ამბებს. წინა გვერდზე რაც გადმოვალაგე, გული ბოლომდე ვერ მოვიფხანე.

როგორც გითხარით, დედას სასამართლოზე არ წავსულვარ. მაგრა ტეხავს. ვერ წარმომედგინა, სასამართლო დარბაზში ჯდომა, საბრალდებო დასკვნის მოსმენა. ალბათ, ერთი-ორის დაინვალიდებას ან მოხრჩობას მოვასწრებდი, მაგრამ რაღაც არ მჯერა. ნებისყოფა არ მეყოფოდა. ბებიაჩემი დაესწრო, ერთი-ორი დაქალიც. სამი წელი მიუსაჯეს. სულ მთლად ბოლო მომიღო რომელიღაც გაზეთში გამოქვეყნებულმა კრიმინალურმა ქრონიკამ, სადაც ეწერა: მიუსაჯეს ამას და ამას, გვარი, სახელი. დაბადებულს ამა და ამ ადგილას, სამი წელი თაღლითობისთვის. პატიოსან მოქალაქეებს მოტყუებით სძალავდა ფულს, პირდებოდა ქალაქში ჩაწერას, ბინებით დაკმაყოფილებას. ქრონიკა მთავრდებოდა მდარე, იაფი აზროვნებით. ამ დროს არ ეძინათ და ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს მილიციის მუხლჩაუხრელი მუშაკები, რომლებიც ერთგულად დგანან სიფხიზლის სადარაჯოზე. რას გამოაპარებ მათ გამჭრიახ თვალს. დამნაშავის ავ განზრახვას დროულად მიღებული კონტრზომების პასუხად, წარმატებულად დაგეგმილი ოპერაციის შედეგად, მძიმე და ხანგრძლივმა თვალთვალმა ნაყოფი გამოიღო, დამნაშავეს საკადრისი მიეზღო. მაშ, რა ეგონა, კოკა წყალს ყოველთვის ვერ მოიტანსო.

მე ვინ რას მეკითხება, თორემ რატომ არ მიუსვამენ გვერდზე იმ ცოდვისშვილებს, ვისაც ფულები მოჰქონდათ? კანონს რა, არ არღვევდნენ? ეს ხომ იგივე ქრთამია. ასე რომ, ნურას უკაცრავად, გოიმებო. დედას არ განვიკითხავ. მეცოდება, ასე არიფულად რომ ჩავარდა. არ გაუმართლა. ვინც შემომედავებით და მეტყვით, არ ხარ მართალიო, განა, მთელი ქვეყანა არ ატყუებს ერთმანეთს?! რა გიყოთ. რაც უნდა გულზე მჯიღი

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-17 ᲒᲕ.

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲒᲖᲐ ᲭᲐᲝᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ

ირტყათ, ვერაფერს შევცვლი. თავდაპირველად ისე ვბრაზდებოდი, მზად ვიყავი, დედა მომეკლა, შუაზე გამეხლიჩა. აი, როგორი შავბნელი აზრები მომდიოდა. ღირსი ვარ, აკვანშივე მოვეკალი გამჩენს. რატომ უნდა მომეკლა დედა? — განა, რომელი გათახსირებული იმპერიის დედოფალია. მე კი, იმპერიის ტახტის მაძიებელი. კიდევ კარგი, მოსამართლემ დანაპირები არ შეასრულა, გაბრიყვებულები არ მიუსვა გვერდზე დედაჩემს. ლატარიაში არ გაუმართლათ. ნახევარზე მეტი არც მოსულა. შეშინდნენ. ბევრ მათგანს იმდენი ფული აქვს, მართლაც, გაუჩნდებოდა მოსამართლეს კითხვა, ხელფასზე ზიხარ, საიდან ამდენი ფულიო?

მომჩივნებს ეგონათ, სასამართლო სისტემა გულში ჩაიხუტებდა, დაუყვავებდა, თავზე ხელს გადაუსვამდა, პირში შაქარყინულს ჩაუდებდა. აბა, დედას ერთი კაპიკი აეღო დაუკითხავად სახელმწიფო ხაზინიდან, გააციმბირებდნენ. თაღლითობის მუხლი ასეთი ყოფილა: ორიდან ხუთ წლამდე. სახელმწიფოს მოქალაქეები ფეხებზე ჰკიდია. ახია მაგათზე! გქონდათ ფული. ვერ ხარჯავდით. რატომ არ შემოიტანეთ ბანკში? ჰოდა, მეყოლეთ ვარდივით. მომჩივან მოწმეებს, ფული რის ვაინაჩრობით რომ შეაკოწიწეს, ჩაეცვათ, დაეხურათ, ექეიფათ, ოქრო შეეძინათ, მუთაქებში შეენახათ. ვინც არ იჩივლა, დიდი ღლავები არიან და ჭკვიანები, დიდი ფულებით მეღვინეობა-მეხილეობიდან. ხმას არ ამოიღებენ მიდღემჩი. პირიქით, შვებით იწმენდენ შიშისაგან გაოფლილ ხელებს, რომ მათი გვარები არ ამოტივტივდა. აი, ვის გაუყენებდნენ შორეულ მოგზაურობაში უფასო საგზურით, უვადოდ. არ მეწყინება, მათ ქონებას მატება ჰქონოდეს. რაც მეტი გაქვს, მჭამელიც მეტია. სადაა სამართალი, დედაჩემის ნიჭის ერთი პროცენტი მაინც გამომყოლოდა. ეჰ, რამდენს გაყიდინებდით ქალაქ ანარაში ვილებს?! ამიტომ, ახლა ერთს დავიღრიალებ, ღრმად ჩავისუნთქავ, ამოვისუნთქავ, გონებას მოვიკრებ, მივაფურთხებ ამეებს.

თეატრში მივრბივარ. თეატრიდან — სკოლაში. სკოლიდან ისევ თეატრში მაგვიანდება. თქვენთვის არ მცალია, უსაქმურებო, ჭორიკანებო, ათასი ჯურის ვიგინდარებო. გასტროლებზე მივდივარ. მინდა, მთელმა ქვეყნიერებამ იხილოს ჩემი ნაჭრის ქოხი, ჯადოსნური ოთხკუთხა მაგიდა. ახლა, ჰაერივით მჭირდება ოვაციები, ძახილი გულის წასვლამდე, ასეთი ქოხი არ აშენებულა. ასეთი მაგიდა კაცობრიობას არ ახსოვს.

ბრავო...

ბიის...

მოვიარე შორი გზები — მოსკოვები, ხარკოვები, ლენინგრად-პეტერბურგები. თავის მინსკებიანად და კიევებიანად. პარიზამდე მივედი. ცოტა დამაკლდა, ოკეანესაც გადავლახავდი, მაგრამ სექტემბერი, შემოდგომა ახლოვდება, სკოლა მეწყება.

ჩემმა ქოხმა და მაგიდამ განსაკუთრებით დიდი მოწონება დაიმსახურა სუსტი სქესის წარმომადგენლებში. რომ არა მაგათი თანადგომა, სპექტაკლების შემდეგ. სასტუმროს ნომერში, იაფფასიანი სასმელი და ანჯელიკებთან კოტრიალი, ხელს ავიღებდი სამსახიობო მოღვაწეობაზე.

თვითმფრინავი კავკასიონის თავზე შემოფრინდა თუ არა, ბუმბერაზი, ყინულოვანი მთების დანახვისას, გული სიამაყით ამევსო. ჩემი სახლი ვიგრძენი, მშობლიური კერიის სითბო. დავფრინდით თბილისის აეროპორტში, მთელი დასი ბარგის მისაღებად წავიდა. ტაქსები იქირავეს, ჩემოდნები ჩააღაგეს და სახლებისკენ მოუსვეს. საბარგო განყოფილებაში არც შევსულვარ. არც არაფერი შემიძენია, ზიზილ-პიპილოები. ტაქსის ფული ვინ მომაშავა? ავტობუსით მგზავრობას გავწვდები. შემიძლია, ერთი-ორსაც გადავუხადო მგზავრობის საფასური.

უბანში მივედი. ჩემს ქუჩაზე შევუხვიე. კუნაპეტი ღამეა. ოთახში შუქი ანთია. გულმა რეჩხი მიყო. კარს მივაწექი, ღიაა. შევაღე, რას ხედავს ჩემი თვალები: დედა დამხვდა, ხალხო, სახლში! სიხარულით იმხელა ხმაზე დავიკივლე, არა მარტო ჩვენი ეზოს, ყველა მეზობელი გავაღვიძე. მთვარემ და ვარსკვლავებმა გაიგონეს ჩემი ღრიალი. დედამიწაზე ჩამოიხედეს, მიზეზი იკითხეს, გაიგეს, რაც ხდება. კაშკაშს უმატეს. ამნისტია გამოვიდა, დიდი ვეებერთელა — დედას ექვს თვემდე მოუწია ნარის ხეხვა. ერთი

ჩემს გულში ჩაგახედათ. გარეგნულად არაფერს ვიმჩნევ. არც იმის უფლება მივეცი, თავზე ხელი გადამისვას და მომეფეროს. გული? ეს ოხერი გული, სიხარულისა და აღტაცების მარშს აგუგუნებს. სახლში რა გამაჩერებს. დედას მუდარის მიუხედავად, ამ შუა ღამეს გარეთ, ქალაქში წავედი სახეტიალოდ. მთელ დუნიას მინდა მოვუყვე ჩემი ბედნიერება.

ქალაქი ღრმა ძილს შეუპყრია. მანქანები კანტი-კუნტად მოძრაობენ. სიონამდე მივედი. იეთიმ გურჯის ძეგლთან ჩავიმუხლე, სიმღერა შემოვძახე: ,,გამარჯობა, ჩემო თბილის-ქალაქო, დაკარგული შენი შვილი მოვედი“.

ვინ გაცალა — თავს მილიციონერი წამომადგა. იმხელა ღიპი ადევს, ბაყბაყდევი გეგონება. ჩემნაირს ათს გადაყლაპავს.

— ვინა ხარ, ამ შუაღამისას რა გაყროყინებს?.. საბუთები მაჩვენეო.

დავიწყე ფათური პიჯაკის ჯიბეებში. ბედად, წიგნების ქვითარი ამოყვა ხელს. ქვითარის ერთ მხარეს ჩემი გვარი აწერია, მეორეზე — „უილიამ შექსპირი. ხუთტომეული“.

— აი, ესა მაქვს, უფროსო, — ქვითარი მივაწოდე ღიპუცას.

მილიციონერმა ქვითარს დახედა, ლამპიონის შუქს მიუშვირა. კითხულობს გაჭირვებით:

— უ-ი-ლ-ი-ა-მ შე-ქსპ-ირი, — დაიბნა, ეხამუშა გვარ-სახელი. შემეკითხა, — ვაილიამი გქვია და შექსპირია შენი გვარი?

აღარ მითქვამს, მეორე გვერდი ენახა, სადაც ჩემი ნამდვილი გვარ-სახელი ეწერა. თავი დავუქნიე, გახლამთ-მეთქი. ქვითარი უგერგილოდ მომაწოდა. ხედავს: ვერაფერს გამომრჩება. მთვრალი არ ვარ, არც — დებოშიორი.

— წადი, შვილოსან, მაგრამ ერთი ეს მითხარი, შენმა მშობლებმა უკეთესი სახელი ვერ დაგარქვეს, ან შექსპირი სადაური ჩვენებური გვარიაო? გეგულება ასეთი გვარის ბიძაშვილებიო?

— რას მელაპარაკებით, ბატონო უფროსო, სოფელში, სადაც დავიბადე, ერთი დიდი უბანია, შექსპირებით დასახლებული.

— კარგი, წადი, გიშვებო.

წამოვედი გამხიარულებული. ნეტავ, გვარი მეკითხა...

რა დაიმალება ქალაქში, გაიგეს, გამოვიდაო. იმათ, ვინც უჩივლეს დედას, სიარული დაიწყეს, ფულს ითხოვენ. დედამ, ყველა მევალე ერთ დღეს დაიბარა, მნიშვნელოვანი განცხადება მინდა გავაკეთოო.

როცა მოგროვდნენ ეზოში დაზარალებულები, სკამი გამოიტანა დედაჩემმა, ფეხმორთხმით დაჯდა და ოფიციალურად გამოუცხადა:

— გთხოვეთ, ცოტა მოგეცადათ, არ გეჩივლათ. საციხედ გამიმეტეთ, მიჩივლეთ. ჩემი თავი დააჭერინეთ. სახელმწიფომ ამნისტიით გამათავისუფლა. წადით ახლა და სახელმწიფოს მოსთხოვეთ ფული. მე ხელები დამიბანიაო.

ხმა ვერ ამოიღეს, ჩუმად გაიკრიფნენ...

ბოლო, მეათე წელია: სკოლას ვამთავრებ. გამოცდები მივასიკვდილე. ატესტატი ავიღე. გამოსაშვები ბანკეტიც გადავიხადეთ. უმაღლესში შევიტანე საბუთები. პირველი გამოცდა ისტორიაში მაქვს. საგამოცდო ბილეთი ავიღე. პირველი კითხვაა: რომელ წელს მოხდა ჩუდის ტბაზე ბრძოლა?

ისევ ჩუდის ტბა. ისევ მონღოლები, ლიტველების უნია, იმპერატრიცები და ბოიარები. ჩვენს ისტორიას როდის შემეკითხებით? საგამოცდო ბილეთი იატაკზე დავაგდე, კარი გამოვიხურე, უნივერსიტეტის ეზო დავტოვე.

ქალაქის ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე როგორ ამოვყავი თავი, ვერ ამიხსნია. ზაფხულიც გასულა. ინტერნატის მესერთან როგორ მოვხვდი? მესერის ცხაურთან პირველკლასელი ბავშვი დგას, ნაბოლარა წიწილასავით მობუზულა. ხელებით მესერის რკინის ძელაკებს ჩაბღაუჭებია, ცდილობს, გამოძვრეს, ვერ ეტევა, არ უშვებს დამპროექტებელი. არადა. საცაა, რკინის ჩიტი გამოივლის. ვერცხლისფრად მოლაპლაპე. განა, დიდი მანძილია? — ორი ნაბიჯი და გამანადგურებელში აღმოჩნდები. ჩაჯდები, გადაუფრენ ინტერნატს. ფურცლებს ჩამოყრი გამაფრთხილებელი წარწერით: „სასწრაფოდ, ყველამ დატოვეთ ტერიტორია!“ ცოტა ხანში მოტრიალდები, დაზვერავ. ადგილი ცარიელია. მესამე გადაფრენაზე, ღილაკს თითს დააჭერ. აუჰ, რამდენი პატარა შეგიყვარებს?!..

მინდა, გამოველაპარაკო პატარა ინტერნატელს:

— როგორა ხარ, კოლეგა?

იფიქრებს, გიჟია ვიღაც, ჩემი გამჭირვებიაო.

უხმოდ ჩავილაპარაკე, მოითმინე პატარავ, შენი თვითმფრინავიც ჩამოივლის.

სასაფლაოსკენ გადავუხვიე. გაბო და მიხო ვინახულე. გადაირივნენ ჩემი დანახვისას. საფლავს თხრიდნენ. ცოტა ხანი დაგვიცადე, მიცვალებულს მოიყვანენ, დავმარხავთ, ორი წელი არ გვინახიხარ. დავსხდეთ საფლავის ქვებზე, ფილოსოფიის თემაზე ვიქეიფოთ, თან განვიხილოთ რაციონალური მარცვალი ჰეგელის დასკვნით თეორიაშიო.

სამი საათია დაწყებული. კატაფალკამ პროცესიით ჩვენკენ გადმოუხვია. შუა გზაზე გაჩერდა. ვიწრობი იწყება. მიცვალებული გადმოიღეს, „დვარეცი“ მხრებზე შეიდგეს, სამარისკენ გამოემართნენ ვიწრო ბილიკით. ახლოს როცა მოვიდნენ, თვალებს არ ვუჯერებ: კუბოში მე ვწევარ. მოსამძიმრენი ყველა ჩემი ახლობელია. დედა შავებშია, ტირის, სახეს იხოკავს. მეზობლები აწყნარებენ. დედასთან მივირბინე:

— დედა, ეს მე ვარ, ვერ მიცანი, არ მოვმკვდარვარ.

დედა ვერ მამჩნევს. მთელი პროცესია ჩამოვიარე. ყველას ხელი შევახე. ვანჯღრევ მგლოვიარეებს. ვერაფერს ვაგებინებ. მე ვარ ნამდვილი თუ ესენი, ყველანი მოჩვენებაა? ტყუპისცალი თუ მყვანდა, დედა ხომ ერთია. დედა რატომ ვერ მცნობს?

მაწონი, „მალაკო“, რძეე — ყურში დილის საარივით შემოფრინდა მემაწვნე ბაირამას ბაიათი. თვალი ავახილე. კოსტია კარზე იფხოჭნება. ბაირამა, თავის უცვლელ პროგრამას არუპორებს:

— „მაცონიი“.

კოსტია ბანს აძლევს: მიაუუ.

ბაირამა: „მალაკოო“.

კოსტია: „მიაუუ“.

ბაირამა: რძეე.

კოსტია: „ქვშიაუუ“...

ანდ ტჰე ენდ!

18 № 41 (305) 21-27 ოქტომბერი

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

არა-ჩვეულებრივი გვერდი

მსოფლიოში ცნობილ მდიდარ ბრიტანელებს შორის წლებია, ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ქართველ მომღერალ ქეთი მელუას უკავია... ახლახან, გაზეთმა „სანდი თაიმსმა“ ბრიტანეთისა და ირლანდიის მდიდარ ადამიანთა მეგზური – Rich List 2014 გამოაქვეყნა, რომელიც წლეულს ოცდამეექვსედ გამოიცა და მასში ბრიტანეთის ათასზე მეტი უმდიდრესი ადამიანის შესახებაა საუბარი. უმდიდრესთა შორის მომღერალი ქეთი მელუაც მოხვდა – ქართველი მომღერალი გაერთიანებული სამეფოს 30 წლამდე 50 უმდიდრეს ახალგაზრდას შორის დასახელდა, რომლის ქონებაც 12 მილიონ ფუნტს შეადგენს.

წლების განმავლობაში დამსახურებული არაერთი პრიზი და მილიონობით გაყიდული ალბომი და, რაც ყველაზე მთავარია, საპატიო ადგილი გინესის რეკორდების წიგნში – ასეთია ცნობილი ქართველი მომღერლის ბიოგრაფიის ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალები.

ქართველი მუსიკოსი 1984 წელს, ქუთაისში დაიბადა. თავდაპირველად თბილისში, ბებიასთან იზრდებოდა, შემდეგ კი, საცხოვრებლად ბათუმში გადავიდა, სადაც მამა კარდიოლოგად მუშაობდა.

საქართველოდან ქეთის ოჯახი 1993 წელს წავიდა და ბელფასტში დასახლდა. 1998 წელს კი, მელუები ირლანდიიდან ბრიტანეთში გადავიდნენ, სადაც ქეთიმ კათოლიკური სკოლა და დომინიკური კოლეჯი დაამთავრა.

საქართველოსა და ბელფასტში არსებული არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობის ფონზე, ქეთის სამომავლო გეგმები ხან ისტორიკოსობას უკავშირდებოდა, ხან – პოლიტიკოსობას, თუმცა მისი მომავალი ძირეულად 2000 წელს შეიცვალა, როცა 15 წლის გოგონამ მონაწილეობა ბრიტანეთის სატელევიზიო არხ ITV-ის მიერ ჩატარებულ კონკურსში – „Stars Up Their Nose“ მიიღო.

კონკურსზე ქეთიმ Badfinger-ის ცნობილი სიმღერა – „Without You“ შეასრულა და გაიმარჯვა. მისი მომავალი სწორედ ამ გამარჯვებამ გასაზღვრა.

2003 წლის ზაფხულში, ქეთიმ, პროდიუსერთან ერთად, მზადება სადებიუტო ალბომისთვის დაიწყო. იმავე წლის ნოემბერში გამოვიდა ალბომი „Call Off The Search“, რომელიც 2004 წლის იანვრისთვის ბრიტანული ჰიტ-პარადების სათავეში იდგა და მწვერვალზე 6 კვირა დაჰყო.

გამოსვლიდან 5 თვის შემდეგ, უკვე გაყიდული იყო ალბომის 1.8 მილიონი ასლი და 2004 წელს მელუა დიდ ბრიტანეთში ყველაზე გაყიდვად ქალ შემსრულებლად აღიარეს.

19 წლის ქეთი ერთ-ერთ კონცერტზე გამოსვლის შემდეგ თვით ინგლისის დედოფალს წარუდგინეს, რომელმაც ასე მიმართა:

– რადიოში თქვენი სიმღერა მოვისმინე, ის ძალიან სასიამოვნოა!

წარმატებული დებიუტიდან, დაახლოებით, ორი წლის შემდეგ, ქეთის მეორე ალბომი გამოვიდა, რომელიც მაშინვე გაყიდვების ლიდერი გახდა, ანუ ევროპის მასშტაბით, ალბომის 3.5 მილიონი ასლი გაიყიდა. გაყიდვების რაოდენობით კი, ალბომმა დიდ ბრიტანეთში, ჰოლანდიაში, ნორვეგიაში, დანიასა და ისლანდიაში პირველი ადგილი დაიკავა.

ქეთი მელუას მსოფლიო პოპულარობას ხაზს უსვამს ჰოლანდიელი თაყვანისმცემლების მიერ გაკეთებული საჩუქარი: ამსტერდამელმა სელექციონერებმა ქეთი მელუას სახელობის ტიტა გამოიყვანეს, რომელსაც „Tulipa Katie Melua“ უწოდეს.

ქეთის მესამე სტუდიური ალბომი – „Pictures“ 2007 წლის ოქტომბერში გამოვიდა და მალევე ბრიტანეთში პლატინის ხარისხი მოიპოვა, ამასთან, 2007 წლის ერთ-ერთ ყველაზე გაყიდვად დისკად იქცა – გამოსვლიდან 8 თვეში ალბომის 1.5 მილიონი ას-

გაგრძელება მე-19 გვ.

რამდენ მილიონს ფლობს ქეთი მელუა

რისთვის შეიყვანეს გინესის რეკორდსმენთა წიგნში და რა უთხრა ბრიტანეთის დედოფალმა ქართველ მომღერალს

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲐᲠᲐ-ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲛᲔ-18 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ლი იყო გაყიდული. შესაბამისად, „სანდი თაიმის“ მიერ გამოქვეყნებულ ბრიტანეთის 30 წლამდე უმდიდრეს მომღერალთა სიაში ქეთი მელუამ მეშვიდე ადგილი დაიკავა – იმხანად მისი ქონება 18 მილიონი ფუნტ-სტერლინგად შეფასდა.

მანამდე კი, მომღერლის კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: 2006 წლის 2 ოქტომბერს, ქეთი მელუა გინესის რეკორდების წიგნში შეიყვანეს, რამეთუ მან კონცერტი ზღვის დონიდან ყველაზე ღრმა ადგილას გამართა – მელუამ და მისმა მუსიკალურმა ბენდმა ჩრდილოეთის ზღვაში მდგარ გაზის ჭაბურღილზე, 303 მეტრით ზღვის ქვეშ მდებარე შახტაში არაჩვეულებრივი კონცერტი ჩაატარეს. 2007 წელს კი, დოკუმენტური ფილმი – „Concert Under The Sea“ გამოვიდა...

„ᲑᲘ-ᲰᲘ-ᲔᲜ. ᲒᲔ“

ზურა მეგრელიშვილის ფოტო

ჯანსულის სიცილნათელები

ხევსურული

მიხარის, კარგად შაგყურებ,
მსურს, გემოვნება ჩაგიცხრო,
ბიჭავ, გიხდება საყურე,
იქნებ, პომადაც წაიცხო?!

ოდიოტური

ძველმა დრომ გადაიარა,
დრო-ჟამი დადგა ბოზური,
შენ საძულველი კი არა,
შენა ხარ ოდიოზური.

მოდელი

შენ საქართველო აღარ გცნობს,
გაქვს სიძულვილის ორდენი,
მინდა, მსოფლიოს გავაცნო
შენი დედიკოს მოდელი.

ესკალაცია

თუმცა, ყველაფერი
„ბლესკად“ მაცვია,
არ ვიცი რაა
„ესკალაცია“.

სიცილი

ჩვენს თბილისში
ყველაფერი მარტივია,
ამიტომაც,
იცინიან, არ ტირიან.

„ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადა“

სიძულვილი მისდევს კვალს,
შუბლზე ბოღმა გაცხია,
რა თქმა უნდა, შენს ვარსკვლავს
ვერასოდეს გახსნიან.
დახვალ ვისი შეკვეთით?
ვინა ხარ და რა „სირი“,
რამ დაგბადა ეგეთი
ბოროტი და თახსირი?

თბილისური ჭადრები

თბილისის მოძულევ,
რაც უნდა გავეშდე,
იცოდე, მაღლიდან
სად უნდა დაეშვე.
ვინა სთქვა თბილისი
ჭადრების გარეშე,
ან ლექსი ვინა სთქვა
რითმების გარეშე?
ისე ვით ივლისი
დარით და ავდარით,
მე მიყვარს თბილისი
და მისი ჭადარი.

გაქცეულს!

ოღონდ ისევ დაბრუნდე და
რას არ ებრძვი, რას არ ცდილობ,
ბერძნულად ხარ „ანეგდოტი“,
ქართულად ხარ სასაცილო.
ახლა, ალბათ, შიშის გამო
„ჩარეცხილებს“ აღარ იტყვი,
ამერიკამ კარგად იცის
შენი ზომა-„გაბარიტი“.
შენს ბედ-იღბალს უცხოეთში
ესკორტივით მიუშვიხარ,
ფრანგულად ხარ „ეტალონი“,
ბოროტების ნიმუში ხარ.

დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024

9 772298 002004 47922

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი,
არმაზ სანებლიძე,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:
ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი
რეგისტრირებულია
რეგიონალური
ცენტრის
(საგადასახადო
ინსპექცია) მიერ.
რეგისტრაციის №22851

მისამართი:
26 მაისის
მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90

E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოძველებს თავისუფალი პრესის პრინციპით